პალიტრა მედია

ლელო 80 წლისაა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 აპრილი **სამშაბათი** 2014
№071 (14 292) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა ცხადაძე დინამოში ბრუნდება?




გუშინ „ლელომ“ ერთობ საინტერესო ინფორმაცია შეიტყო - არ არის გამორიცხული, სეზონის დასრულების შემდეგ თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნოს. საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ კაპიტანს „დინამოს“ ფეხბურთელის რანგში ოთხი სეზონი (1988-89 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე, 1990-91-ში საქართველოს ჩემპიონატში) აქვს ნათამაშები. 2005 წელს, უკვე მთავარი მწვრთნელის პოსტზე, „დინამოსთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. 2006 წელს ცხადაძემ ჩემპიონობა ბოლნისის „სიონთან“ ერთადაც იზეიმა. მერე, ერთი ხანობა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა, 2009 წლის ზაფხულიდან დღემდე კი ბაქოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელია. სამწუხაროდ, გუშინ ვერც ცხადაძეს დავუკავშირდით და „დინამოშიც“, ჯერჯერობით, არაფერი იციან სავარაუდო ცვლილებასთან დაკავშირებით. არადა, ინფორმაცია ისეთია, „უტყუარი“ რომ ეთქმის...

# თაღლითები



## უეფამ 5 ქართული გუნდი ჩაწყობილ თამაშებში ამხილა

სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ ვერდიქტი გამოიტანა

↳2



## არგენტინის მტერი არგენტინაა

↳9

ინტერვიუ არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალეხანდრო საბელიასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიბინძურე ზედაპირზე ამოდის

ექსკლუზივი



ზვიად ქორიძე

## ზვიად ქორიძე

## გარიგებებში ლამის ყველა ქართული კლუბი მონაწილეობდა

**ქართული საფეხბურთო სამყარო კიდევ ერთხელ შეზანზარდა: უეფას ინფორმაციებზე დაყრდნობით, რამდენიმე ქართული გუნდი გარიგებულ მატჩებში მონაწილეობაშია ეჭვმიტანილი. თუ რა ხდება ამ თემის ირგვლივ, სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის წევრის, ჩვენი კოლეგა ზვიად ქორიძის ინტერვიუდან შეიტყობთ. მისი თქმით, ახლა ფედერაციისა და გამოძიების ნამუსზეა, შორს წავლენ, გარიგებული მატჩების მონაწილეებს მსუბუქად დასჯიან თუ მხოლოდ შეშფოთდებიან:**

- ჯერ შევთანხმდეთ, რომ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე არაფერს მკითხავთ, - გვითხრა ქორიძემ საუბრის დასაწყისშივე, - რადგან ფედერაციის მოთხოვნით, სადისციპლინო კომიტეტის წევრები საიდუმლოების შენახვის დოკუმენტზე ხელს 4 წუთის განმავლობაში ვაწერდით.

**- ძნელი კი იქნება, მაგრამ შევთანხმდით... სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება უკვე ცნობილია - გუნდებს მხოლოდ ფინანსური სასჯელები აკმარეთ. უფრო მკაცრად დასჯაზე, მაგალითად, ლიგიდან დაქვეითებაზე ან ქულების დაკლებაზე არ გიმსჯელიათ?**

- არა, რადგან სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლის შესაბამისად, კომიტეტის წევრებს გარიგებებში შემჩნეული კლუბების მხოლოდ სამი ფორმით დასჯა შეგვიძლია: 1) დავაკლოთ 3-დან 9 ქულამდე; 2) მოვხსნათ თასის გათამაშებიდან; 3) დავუწესოთ ფულადი სასჯელი. ანუ წესდებაში ლიგიდან დაქვეითება გათვალისწინებული არც არის. თანაც, ეს დასჯის პირველი შემთხვევა იყო და პრევენციული სადისციპლინო სანქციების დაწესება ვამჯობინეთ. ანუ ეს იყო გაფრთხილება, რომ შემდეგში მსგავსი რამ არ გაბედონ.

**- რამდენად საფუძვლიანია ეს ბრალდებები?**

- ამ შემთხვევაში, ჩვენ უეფას ინფორმაციას ვეყრდნობოდით, რომელიც, თავის მხრივ, თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემის მოხსენებით ბარათებს ენდობა. მოკლედ, უეფამ ეს ყველაფერი დეტალურად შეისწავლა. ჩვენ კი უფლება გვქონდა, გარიგებაში შემჩნეული კლუბები ყოველგვარი გამოძიების გარეშე დაგვესაჯა.

**- თუ ფლობთ კონკრეტულ ინფორმაციებს, გუნდები გარიგდნენ შედეგებზე, კუთხურ-ყვითელ ბარათებზე თუ რაზე?**

- ძალიან ბევრი ფაქტი გამოვლინდა. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა გუნდები ქულების გაცვლაზე შეთანხმდნენ. ინფორმაცია არსებობს კონკრეტულ შედეგებზე, გოლების რაოდენობაზე, ბურთების სხვაობაზე...

**- საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ფსონებს სად ილებდნენ?**

- აზიის სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ტოტალიზატორებს უეფა მუდმივად აკონტროლებს. როგორც ჩანს, საკმაოდ აწყობილი სისტემა მუშაობდა - ფსონებს ილებდნენ არა მხოლოდ შედეგებზე, არამედ, ეგრეთ წოდებულ „ცოცხალზეც" და ასე შემდეგ.

**- გარიგებებში მონაწილე პერსონებიც ცნობილია?**

- თუ არ მეშლება, მათი გვარები ცნობილია სპორტული სამართლიანობის ჯგუფის წევრებისთვის. ახლა ფედერაციასა და მისი აღმასკომის წევრებზეა დამოკიდებული, სადამდე წავა გამოძიება, რომელი გუნდი და პიროვნება რა ფორმით დაისჯება... შესაძლოა, კრიმინალური ფაქტები გამოსაძიებლად შსს-ს გადაეცეს.

**- ამ მაქინაციებით დიდი თანხებია მოპოვებული?**

- დეტალურად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ საკმაოდ სოლიდურ თანხებზეა ლაპარაკი.

**- უეფას მიერ მოწოდებულ სიაში თუ არის ის თამაშები, რომელში მონაწილეობისთვისაც 2011 წელს ფეხბურთის ფედერაციამ 5 ფეხბურთელი დასაჯა?**

- როგორც ვიცი, ერთი ასეთი თამაშიც დასახელდა.

**- საერთოდ, უეფას სიაში ბევრი გუნდი მოხვდა?**

- სადისციპლინო კომიტეტმა ფინანსური სასჯელები დაუწესა იმ გუნდებს, რომლებზეც უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან ინფორმაცია სამჯერ და მეტჯერ მიაწოდეს.

**- ამ სიაში უმაღლესი და პირველი ლიგის ბევრი კლუბი მოხვდა?**

- თითო-თითოჯერ ლამის ყველა კლუბი ფიგურირებს.

**- ?!**

- დიახ, სამწუხაროდ, ასეა. მაგრამ უეფას რეკომენდაციაა, რომ მხოლოდ 3-ჯერ და მეტჯერ მოხვედრილი კლუბები დაისაჯონ. ასე რომ, გარიგებულ მატჩებში შემჩნეული კლუბები უეფას უნდა უმადლოდნენ, ყველა რომ არ დავსაჯეთ.

**- ვინ არიან საქმეში გარეულები - კლუბები, მოთამაშეები, პრეზიდენტები?**

- ამას სპორტული სამართლიანობის ჯგუფის წევრები შეისწავლიან და დაადგენენ.

**- ნამდვილი კატასტროფაა!**

- ფაქტია, ეს ყველაფერი მძიმე მოსასმენი იყო. მიმაჩნია, რომ სწორედ ეს მასშტაბური უზნეობა გახდა მიზეზი, რის გამოც ქართულ ფეხბურთს გულშემატკივარი დააკლდა.

**- ნუთუ დარჩა კლუბი, რომელიც უეფას ამ სიაში არ მოხვდა, თუ ქართულ ფეხბურთს საბოლოოდ უნდა გადავუსვათ წითელი ხაზი?**

- საბედნიეროდ, ასეთი რამდენიმე კლუბი ნამდვილად არის. კარგი იქნება, თუ დასჯილი კლუბები გულშემატკივრებს მომხდარზე გულწრფელად დაელაპარაკებიან და მათ, მინიმუმ, ბოდიშს მაინც მოუხდიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩაწყობილი მატჩების ირგვლივ

## სადისციპლინო კომიტეტმა ეჭვმიტანილი კლუბები დასაჯა

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სფფ-ის სპორტული სამართლიანობის ჯგუფის შუამდგომლობა განიხილა. იქ იყო ლაპარაკი 2010/11 და 2012/13 წლების სეზონების მატჩების შესახებ, რომლებზეც უეფამ სფფ-ს აცნობა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებულ პატაკებს ეფუძნებოდა.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, სპორტული სამართლიანობის ჯგუფმა, სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლის შესაბამისად, იმ კლუბებზე მოითხოვა პრევენციული სადისციპლინო სანქციების გატარება, რომელთა შესახებ უეფამ აცნობა. იყო ინფორმაციები, რომ ამ მატჩების შედეგებზე თუ მათი მიმდინარეობისას ტოტალიზატორებში საეჭვო მანიპულაციები ხდებოდა. პარალელურად, ამ მატჩების ჩამონათვალი საეჭვო თამაშების შემსწავლელ კომისიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცემა.

სფფ-ის მოქმედი სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პრევენციული ხასიათის სანქციები შემდეგ კლუბებს დაუწესეს: **მეტალურგი (რუსთავი) - 20 ათასი ლარი; კოლხეთი (ფოთი) - 20 ათასი ლარი; დილა (გორი) - 23 ათასი ლარი; მერანი (მარტვილი) - 23 ათასი ლარი; სიონი (ბოლნისი) - 25 ათასი ლარი.**

*„განმარტების სახით გეტყვით, რომ კლუბებს ფულადი სანქციები დაუწესდათ უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებული პატაკების რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, მეტად დაჯარიმდა ის გუნდი, რომელიც უეფას პატაკში ყველაზე მეტჯერ მოხვდა. უეფას ეს ინფორმაციები კონფიდენციალურია და კონკრეტული, საეჭვო მატჩების გასაჯაროება არ ხდება. სფფ-ის სპორტული სამართლიანობის ჯგუფის განცხადებით, დღევანდელი მდგომარეობით, არსებობს ინფორმაცია საეჭვო მატჩებისა და მასში მონაწილე სხვა კლუბების შესახებ, რომელზეც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ახლო მომავალში, ამ მატჩებში მონაწილე კლუბების წინააღმდეგ აღიძვრება სადისციპლინო პროცედურები სფფ-ის შესაბამის სადისციპლინო ორგანოებში"*, - ვკითხულობთ სფფ-ის პრესსამსახურის ცნობაში.

ერთი სიტყვით, არაფერი დაფარული არ არის. ნელ-ნელა, ქართული ფეხბურთის კულისებში დაფარული ფეკალიებ ზედაპირზე ამოდის და და არავინ უწყის, დარჩა კი მასში ისეთი, ვისაც ეს სიბინძურე არ შეხებია. გულშემატკივარი კი ბრიყვი არ არის. ცარიელი ტრიბუნები არა იმდენად ჩემპიონატის დაბალი დონის, არამედ, უფრო ამ სიბინძურის შედეგია, თორემ გაჭირვებაში საყვარელ გუნდს ზურგს არავინ აქცევდა...

**მერაბ მამულაშვილი**

მოვლენების კვალდაკვალ

## ლადო ბურდული

## ტალახს ნუ მესვრით!

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა, ასე ვთქვათ, პრევენციული ხასიათის სანქციები ერთბაშად ხუთ კლუბს დაუწესა და მათ 20-დან 25 ათას ლარამდე გადახდა დააკისრა. განმარტების სახით გეტყვით, რომ კლუბებს ფულადი სანქციები დაუწესდათ უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებული პატაკების რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, მეტი ჯარიმა აქვს იმ გუნდს, რომელიც უეფას პატაკში ყველაზე მეტჯერ მოხვდა - „მეტალურგი" და „კოლხეთი" სამ-სამჯერ, „დილა" და „მერანი" ოთხ-ოთხჯერ, ხოლო ბოლნისის „სიონი" - ხუთჯერ.**

**დასჯილ კლუბებს შორის „ლიდერი" ბოლნისის „სიონი" ყოფილა. ამ გუნდის მწვრთნელთან და, პარალელურად, კლუბის გენდირექტორ ლადო ბურდულთან სულ სხვა თემაზე ვგეგმავდით ინტერვიუს. ბურდულის „სიონმა" ხომ თვენახევრის განმავლობაში, ზედიზედ ორჯერ, თბილისში დაამარცხა „დინამო", რაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა და კიდევ - ლადო ბურდული არის ერთ-ერთი იმათგანი, ვინც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის მხარდამჭერია.**

**მასთან ინტერვიუსთვის ამ თემაზეც გვქონდა კითხვები მომზადებული, მაგრამ აგერ, ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებამ გეგმები ცოტა აგვირია. ამიტომ, საუბარი სწორედ ჩაწყობილი მატჩების თემით დავიწყეთ, მერე კი დაგეგმილზეც გადავედით...**



ლადო ბურდული გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

- იმ ხუთი მატჩიდან, რომელსაც ჩაწყობილად მიიჩნევენ, „სიონში" მე მხოლოდ ერთმა თამაშმა მომიწია. მახსოვს, ბოლნისში „ბათუმს" ვმასპინძლობდით. 12 გუნდიდან ჩვენ მე-10 ადგილზე ვიყავით, „ბათუმი" მე-11 იყო. ორივეს ჩვენი პრობლემა გვქონდა და თამაშის „გასაკეთებლად" არ გვეცალა. ითქვა, რომ ეს შეხვედრა ყვითელი ბარათების სიჭარბით გამოირჩეოდა. ყვითელი ბარათების რაოდენობაზე კი, დამეთანხმებით, პასუხისმგებელი მსაჯია. მერე კი ამბობდნენ, „სიონის" ხელმძღვანელობამ ამ მატჩთან დაკავშირებით რეაგირება არ მოახდინაო. კი, მაგრამ, ვკითხულობ - ვინ უნდა დამესაჯა? ჩემთვის კონკრეტული ფაქტი არ მოუწოდებიათ და ეჭვებით არავის დამსჯელი მე არ ვიყავი და არც ვარ. მომაწოდონ ფაქტი, რომ რომელიმე ფეხბურთელი რაიმე სახით არის გასვრილი და პირველი მე ვიქნები, ვინც იმ ფეხბურთელის მიმართ სათანადო სანქციებს გაატარებს. ისე კი, ვიმეორებ, ეჭვებით საუბარი და, მით უმეტეს, ეჭვის საფუძველზე კლუბის 25 ათასი ლარით

მე-3 გვერდზე »

# შევემზადოთ!..




დინამო-სიონი 0:1. გამარჯვების გოლი თორნიკე აფციაურმა (№32) გაიტანა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ერთი-ორი მოულოდნელი შედეგი, ორი „შემოტრიალებული“ თამაში, „მეგრული დერბი“, „იმერული დერბი“, ჩემპიონის... მეოთხე (!) საშინაო მარცხი, „გურიას“ უკვე 26-მატჩიანი უფრეო სერია.

აი, ასეთი „დამაინტრიგებელი“ და მოვლენებით „დახუნძლული“ აღმოჩნდა XXVI ტური. თანაც, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენს ჩემპიონატში ინტრიგა „გაცოცხლდა“ და ქართველმა გულშემატკივრებმაც, ვინ იცის, იქნებ სეზონის ფინიშისკენ მაინც „შეიხედონ“ სტადიონებისკენ, მით უფრო, რომ სანანებლად საქმე მართლაც არ ექნებათ: „უცნაურობები“ თუ „მოვლენების უეცარი შემოტრიალებები“ ამ სეზონს (უმაღლესშიც და პირველ ლიგაშიც) ნაღდად არ აკლდა, მაგრამ ეს ყველაფერი მონაგონი იქნება იმასთან, რაც წინ გველოდება.

ოღონდ, ახლავე უნდა „შევამზადოთ“ ქომაგები, რომ სეზონის ფინიშისკენ სტადიონზე მისულთ არაფერი გაუკვირდეთ: პერმანენტული ადრეული ცვლილებები, წითელ-ყვითელი ბარათების სიუხვე, „უცნაური“ გოლები და ასე შემდეგ; მთლიანობაში კი, ალბათ, მაინც საამაყოდ უნდა გვქონდეს საქმე: მსგავსი არაპროგნოზირებადი ჩემპიონატი ხომ არსად არის!

ეგ კი არა, ჩემპიონის ვინაობაც რომ, ფაქტობრივად, გარკვეული გვეგონა, თურმე არც მასე ყოფილა საქმე...

## დინამო და სიონი: სხვადასხვა რაკურსი

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: „დინამომ“ ამ სეზონში 5 მატჩი წააგო და აქედან, 4 - საკუთარ მოედანზე! თანაც, ბოლნისის „სიონმა“ იმდენი მოახერხა, რომ თვენახევრის განმავლობაში „დინამოს“ სტუმრად ორჯერ მოუგო! მსგავსი რამ კი საქართველოს ჩემპიონატები ისტორიაში (როცა ერთსა და იგივე გუნდთან „დინამო“ ორ საშინაო მატჩში დამარცხებულიყო) ბოლოს 2004-05 წლების სეზონში მოხდა.

თუმცა, ქუთაისის „ტორპედოსთან“ იმ ორივე საშინაო წაგებას „დინამოსთვის“ ხელი არ შეუშლია, რომ ჩემპიონი გამხდარიყო. რა თქმა უნდა, ხანგრძლივ სეზონს წაუგებლად იშვიათად თუ რომელიმე გუნდი ატარებს, მაგრამ „დინამო“ რომ წაგებებს (თანაც - საშინაოს) დაეჩვია, ამას ვერავინ უარყოფს; თანაც, ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა უკვე დაამყარა ერთი ანტირეკორდი: ამ სეზონამდე ზედიზედ სამი საშინაო მატჩი არასდროს წაეგო...

აი, „სიონმა“ კი ამ გამარჯვებით უსერიოზულესი განაცხადი გააკეთა საპრიზო სამეულში დამკვიდრებისათვის; ეგ კი არა, ლადო ბურდულის გუნდმა მომდევნო ტურში „ზესტაფონსაც“ თუ მოუგო, „სიონს“ უკვე მეორე ადგილის დაკავების შანსიც გაუჩნდება. ბურდული ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ დებიუტანტი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „სიონმა“ 16 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 11 მოიგო, 3 ფრედ ითამაშა და მხოლოდ 2 წააგო!

არანაკლებ შთამბეჭდავია „სიონის“ შედეგები მეორე ეტაპზე: ბოლნისელთა გუნდი ერთადერთია უმაღლეს ლიგაში, ოთხივე მატჩი რომ მოიგო! დაბოლოს, „დინამო“ -“სიონის“ მატჩის ერთადერთი გოლის ავტორზეც: 34 წლის **თორნიკე აფციაურმა** ამ სეზონში მეორე გოლი გაიტანა და ორჯერვე... „დინამოს“ კარში!

## სერიები, სერიები...

უკვე ხუთი ტურია, „გურია“ თუნდაც 1 ქულის ალებას ვერ ახერხებს: 9 მარტს, „ჩიხურასთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩის მოგების შემდეგ **დავით მახარაძის** გუნდმა ზედიზედ 5 მატჩი წააგო! თუმცა, ეს წარუმატებელი სერია „გურიას“ სატურნირო მდგომარეობაზე არანაირად არ აისახება: რაც მთავარია, გუნდი ზედა ექვსეულშია, ანუ, დაქვეითების საფრთხე არ ემუქრება, ხოლო საპრიზო სამეულში მოხვედრას კი არც არავინ ითხოვს.

ალსანიშნავია, რომ ამ ბოლო ხუთ მატჩში „გურიამ“ მხოლოდ 1 გოლი გაიტანა და ეს, გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **ვილი ისიანმა** მოახერხა. ალსანიშნავია, რომ 23 წლის ფორვარდი 9 გოლით „გურიას“ საუკეთესო ბომბარდირიც არის და, რაც მთავარია, თავის კარიერაში ყველაზე შედეგიან და წარმატებულ სეზონს ატარებს.

... 7 მატჩია „ჩიხურას“ მოუგებელი სერია გრძელდება: **სოსო ფრუიძის** გუნდმა ბოლოს 26 თებერვალს გაიმარჯვა. სწორედ ამ წარუმატებელი სერიის გამოც არის, რომ „ჩიხურას“ ძალიან მცირე შანსი დარჩა საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო შედეგი (სამეულში მოხვედრა) ეჩვენებინა.

„ჩიხურა“ ახლაც დამარცხდა, თანაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ძირითადში დაბრუნებული, 26 წლის **რატი წინამძღვრიშვილის** გოლით პირველი ტაიმი მოიგო, მაგრამ შესვენების შემდეგ თავი გამოიჩინეს შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა: 20 წლის **ვახტანგ ჭანტურიშვილმა** და 21 წლის **თორნიკე კაპანაძემ**. ალსანიშნავია, რომ კაპანაძემ „ზესტაფონის“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა, მაშინ, როცა პირველ ეტაპზე, „ტორპედოში“ ასპარეზობისას, მეტოქეთა კარი ხუთჯერ აილო.

დაბოლოს, კიდევ ერთ უსიამოვნო სერიაზეც: „დილამ“ ზედიზედ მესამე საშინაო მატჩი წააგო და საერთოდაც, გორელებს საკუთარ მოედანზე 8 დეკემბრის მერე აღარ მოუგიათ. თუმცა, „დილასთვის“ ჩემპიონატი ხომ მაშინ „დამთავრდა“, ზედა ექვსეულში როცა ვერ მოხვდა. იქ, „ქვემოთ“ კი, რა მნიშვნელობა აქვს, მეშვიდე ადგილზე გავა გუნდი, მერვეზე თუ - მეცხრეზე?..

## სადებიუტო გოლები

გასულ ტურში რამდენიმე ფეხბურთელმა შეძლო ამ სეზონში პირველი გოლის გატანა: „ტორპედოს“ 22 წლის გარემარბმა **ირაკლი ლექვთაძემ**, „მერანის“ 19 წლის მცველმა **ლევან გეგეჭკორმა**; „ვიტ ჯორჯიას“ 17 წლის შემტევმა **მათე კვირკვიამ** სულაც სადებიუტო გოლი გაიტანა უმაღლეს ლიგაში.

გარკვეული პაუზის მერე შეძლეს უმაღლეს ლიგაში თავის გამოჩენა „მეტალურგის“ 25 წლის თავდამსხმელმა **ბესიკ ჩიმაკაძემ** და „მერანის“ 25 წლის ნახევარმცველმა **ალექსი ბენაშვილმა**. აი, რაც შეეხება სადებიუტო მატჩს, ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონატში პირველი შეხვედრა ჩაატარა 20 წლის **დავით ხურციძემ**.

**გია ტუხაშვილი**

### XXVI ტურის სიმბოლური ნაკრები




მოვლენების კვალდაკვალ

# ტალახს ნუ მესვრით!

მე-2 გვერდიდან

დასჯა, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. თორემ, ვისაც ასეთი ბრალდება დაუმტკიცდება, მომხრე ვარ, მომავალში მას საერთოდ აეკრძალოს ქართულ ფეხბურთში საქმიანობა.

**- კეთილი. ახლა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შესაძლო გაზრდასთან დაკავშირებით გკითხავთ. ვიცით, რომ ამ იდეის ერთ-ერთი მხარდამჭერი თქვენც ხართ. რა არგუმენტები გაქვთ ამ იდეის სასარგებლოდ?**

- ჩემი აზრით, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის ხელშემწყობი იქნება, თორემ საქმეს თუ თავიდანვე უიმედოდ შევხედავთ, მაშინ იმის თქმაც შეგვეძლება, რომ უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს 10 გუნდიც ვერ დააკმაყოფილებს. გუნდების რაოდენობის გაზრდით უფრო მეტ ფეხბურთელს მიეცემა უმაღლეს ლიგაში თავის გამოჩენის შანსი; ახალგაზრდებს მეტი სტიმული ექნებათ, რომ უმაღლესი ლიგის კლუბში მოხვდნენ; ასაკობრივი კლუბების საშუალებით მეტ ბავშვს ექნება უმაღლესი ლიგის კლუბში მოხვედრის საშუალება... მესმის, კითხვას ახლა ინფრასტრუქტურაზე შემომიბრუნებთ...

**- ნამდვილად შემოგიბრუნებთ. გამართული ინფრასტრუქტურა ხომ ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია?**

- მე კი გეტყვით, რომ მთავარი რაც არის - უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი კეთილმოწყობილ სტადიონზე ითამაშებს. ბოლნისსა და მარტვილში სტადიონები თამაშების სამასპინძლოდ აგვისტოში იქნება მზად. ჩემი ინფორმაციით, ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს იმ ქალაქებში, სადაც სტადიონები ჯერ მოწესრიგებული არ არის. ისიც ვიცი, რომ, მაგალითად, ბათუმში, სტადიონის მშენებლობისთვის შესაბამისი ადგილი უკვე გამოყოფილია, მანამდე კი „ბათუმი“, ალბათ, ქობულეთში ითამაშებს. მესმის, რომ „დინამოსა“ და „ზესტაფონს“ უჯობთ, ერთმანეთს სეზონში ოთხჯერ შეხვდნენ და საკუთარი კლასი ასეთი მატჩებით აიმაღლონ, ვიდრე სხვა კლუბებს 10:0 მოუგონ, მაგრამ სწორედ იმ სხვა კლუბების ახალგაზრდა ფეხბურთელებიც ხომ შედარებით მაღალი კლასის გუნდებთან თამაშით უნდა გაიზარდონ?! პირველი ლიგის 4 საუკეთესო გუნდის ვინაობა, ფაქტობრივად, უკვე გარკვეულია, მაგრამ დარწმუნებით ვერავინ იტყვის, რომ ან „ბათუმს“ ან „შუქურას“, „კოლხეთსა“ თუ „სამტრედიას“ უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდი დღეს უეჭველი მოუგებს.

**- კი, მაგრამ, ფეხბურთი ხომ მხოლოდ სტადიონი არ არის? უმაღლესი ლიგის 16 გუნდი დამატებითი ხარჯიცაა...**

- არის, მაგრამ განვითარებაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? მაგალითად, აი, იმ 1.3 მილიონიდან, რომელიც პროექტის თანახმად კლუბმა სახელმწიფოსა და ფედერაციისგან უნდა მიიღოს, შესაძლებელია, რომ არაფერი აილოს, თანხა ფედერაციაში დატოვოს, ოღონდ, იქვე დააფიქსიროს, რომ ამ ფულით ფედერაციამ კლუბისთვის ყოველწლიურად რაღაც გააკეთოს. ხუთწლიანი პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ეს პროექტი ითვალისწინებს, ფედერაციამ კლუბისთვის ერთ წელს ერთი საქმე გააკეთოს, მეორე წელს - მეორე და ასე შემდეგ. ერთ წელიწადს სტადიონი იქნება კეთილმოწყობილი, მეორე წელიწადს - ბაზა, მესამე წელიწადს ავტობუსი იქნება და ასე შემდეგ.

**- სახელმწიფოს 1.3 მილიონი თუ მთლიანად ინფრასტრუქტურას მოხმარდა, ხელფასებს, მგზავრობისა და სხვა ხარჯებს ვინ გაისტუმრებს?**

- ის, რაც ვთქვი, მხოლოდ მუნიციპალურ კლუბებზეა გათვლილი, თორემ კერძო კლუბები თავს ისედაც გაიტანენ. 1.3 მილიონის გარდა კი, კლუბებს მუნიციპალიტეტიც დააფინანსებს და წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, კლუბმა ბიუჯეტი ან 1.3 მილიონით, ანდაც მუნიციპალიტეტის ფულით უნდა დაგეგმოს.

**- პირადად თქვენ რას გეგმავთ? „სიონის“ გენერალური დირექტორი ხართ და თან ის მწვრთნელი, რომელმაც თბილისში „დინამო“ თვენახევარში ორჯერ დაამარცხა. სერიოზულად აპირებთ სამწვრთნელო საქმის გაგრძელებას?**

- ვაპირებ კი არა, ასეც იქნება. B და A ლიცენზია უკვე მაქვს და ცოტა ხანში პრო-ლიცენზიაზე სწავლასაც შევუდგები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა მომზადების კურსები გავიარე. A ლიცენზიის შემდეგ გარკვეული პრაქტიკაა საჭირო, რომ პრო-ლიცენზია აილო.

**- ისე, პრო-ლიცენზიის მფლობელი მწვრთნელებიც გვახსოვს და თქვენზე გაცილებით გამოცდილებიც, მაგრამ „დინამოს“ ზედიზედ დამარცხება ვერ მოუხერხებიათ...**

- „დინამოს“ ორჯერ დამარცხება ერთი-ორად იმიტომაც მიხარია, რომ იმ ხალხის მოლოდინი გავაქარწყლე, რომლებიც ზედა ექვსეულში „სიონისგან“ „დინამოსთვის“ გარანტირებულ 6 ქულას ვარაუდობდა. „დინამოს“ ზედიზედ ორჯერ დამარცხება, არა მგონია, შემთხვევითობა იყოს. თვენახევრის წინათ, ბევრმა ტალახი მესროლა - აქაოდა, თამაში ჩაწყობილი იყოო. ახლა სად არის ის ხალხი? რატომ არაფერს ამბობენ?! ძალიან გთხოვთ, რასაც არ ვიმსახურებ, იმას ნუ ამბობთ. ლადო ბურდული სერიოზულად ფიქრობს სამწვრთნელო საქმის გაგრძელებაზე და ისეთს არაფერს გააკეთებს, რომ მომავალში წინ დაუხვდეს. სამწვრთნელო საქმეს ახლა ვიწყებ და იმედია, ჩემთვის ეს საქმე წარმატებული იქნება...

**- ...და ამ საქმის უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდით, ალბათ.**

- კიდევ უფრო მეტზე ვფიქრობ და იმედია, ჩემი საქმიანობა მომავალში გაცილებით მრავლისმთქმელი იქნება, ვიდრე დღესაა... ლადო ბურდული ჯერ მხოლოდ დიდი გზის დასაწყისშია.

**კობა ინასარიძე**

● პრესკონფერენცია

# გულშემატკივარი პრესინგს იწყებს

**სამართლიანად ამბობენ, რომ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საზოგადოების პასიურობაა. სწორედ ამ კუთხით იყო მნიშვნელოვანი საფეხბურთო კავშირ „პრესინგის" დაარსება. მისი დამფუძნებლები - ბესიკ ზედელაშვილი, ზურაბ ფხაკაძე და ვახტანგ ზარნაძე - ფეხბურთის გულშემატკივრები არიან. ამ ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ გულშემატკივრებს მეტი აქტიურობა მოეთხოვებათ; რომ პასიური გულშემატკივრობა დანაშაულია; რომ ვითარების გამოსწორება შესაძლებელია სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების (იურისტების, ფინანსისტების, მარკეტოლოგების) და საინტერესო იდეების მქონე ადამიანთა გაერთიანებით...**

„პრესინგის" დამფუძნებლებმა, რომელთაც სპორტული მედიის წარმომადგენლებიც უერთდებიან, შაბათს პრესკონფერენცია გამართეს.

„ჩვენ პოლიტიკური ან ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებულ რომელიმე ჯგუფს ან მათ მოწინააღმდეგეებს არ განვეკუთვნებით. ეს გახლავთ ახალგაზრდა ადამიანების კავშირი, რომლის მიზანიც ქართული ფეხბურთისთვის პროექტების მომზადება და განხორციელებაა. აგრეთვე, პრობლემების ობიექტურად შესწავლა და საზოგადოებისა და სათანადო ორგანოებისთვის მათზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება გვსურს. სამწუხარო ისაა, რომ დღეს ქართულ ფეხბურთში დამკვიდრებულია პრობლემების მიჩქმალვისა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების პრაქტიკა. ამ დროს, დასამკვიდრებელია პასუხისმგებლობის მაქსიმალურად მაღალი სტანდარტი, რომ აქტუალური საკითხებისადმი ასეთი მიდგომა ვერავინ გაბედოს", - ამბობს **ბესიკ ზედელაშვილი.**

მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობა ქართული ფეხბურთის განვითარებით დაინტერესდა და შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელმაც ქართული ფეხბურთის განვითარების გეგმა უნდა დაამტკიცოს. პრესკონფერენციაზე ამაზეც ილაპარაკეს:


პრესკონფერენციაზე

„ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებული პროექტი ზედაპირული და რეალურობიას მოწყვეტილია. პროექტის მიხედვით, 3 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ქართულ ფეხბურთში 100 მილიონი ლარის ინვესტირებას გეგმავს. ავტორები აყალიბებენ ფინანსების განკარგვის სქემას, რაც გულისხმობს მთლიანი თანხის უშუალოდ კლუბებისთვის მიწოდებას ინვესტირებითა და საპრიზო ფონდით. ფეხბურთის განვითარებისთვის კი საჭიროა საძირკვლის მშენებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ფუჭი და წყალში გადაყრილი იქნება. წარმოდგენილი პროექტით კი გამოდის, რომ 3 წელი თანხები ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ ცალკეული კლუბების სტაბილურად გამოსვლას მოხმარდება, მერე კი ფედერაციას მორიგი სამწლიანი გეგმის იმედად ყოფნა მოუწევს. არადა, ამ 100 მილიონისგან ყველა ფეხბურთის განვითარებას ელის. ამის შემდეგ უნდა მოხდეს დეტალური ანალიზი, არის თუ არა პროექტის ღირებულება ადეკვატური. სახელმწიფოს დახმარება კი მხოლოდ მაშინ იქნება შედეგის მომტანი, თუ განვითარება მიმართული იქნება ფეხბურთის საბოლოო კომერციალიზაციისკენ. ამ კუთხით უნდა გადაიდგას თანმიმდევრული და მიზანმიმართული ნაბიჯები, რაც შედეგს აუცილებლად მოიტანს".

„პრესინგის" დამფუძნებლებმა საქართველოს ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშების შესახებაც თქვეს:

„ჩაწყობილი თამაშები ერთ-ერთი მტკივნეული თემაა. სამწუხაროდ, ქართველი სამართალდამცავების უკანასკნელი მცდელობა, ამ საქმეში ჩარეულიყვნენ და დამნაშავეებისთვის საკადრისი მიეზღოთ, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის რბილი დასჯით დასრულდა. არ გვაქვს იმის ილუზია, რომ კონკრეტულ ფაქტებს სწრაფად გამოავლენთ, ან სამართალდამცავი უწყებები ყველაფერს უმალ გამოიკვლევენ. ასე მარტივად არავინ გაიშიფრება. ამ საქმეების გამოძიება და მომავალში თავიდან აცილება მხოლოდ საზოგადოების დაკვეთის შემთხვევაშია შესაძლებელი. რაც მეტი ადამიანი ჩაერთვება პრობლემების განხილვაში, მით უფრო მეტად დაინტერესდებიან პროკურატურა და სხვა შესაბამისი ორგანოები, დამნაშავეების დასჯა კი მათი პრესტიჟის საქმე გახდება. ბევრი ფიქრობს - ყველა მატჩი რომ გამოიძიონ, ქართულ ფეხბურთში დასაქმებული ლამის ყველა პიროვნება დასაჭერი გახდება. მსგავსი პრობლემა მსოფლიოს უამრავ ქვეყანას კარგად გააზრებული და კონკრეტულ სიტუაციაზე მორგებული კანონებით გადაუჭრია, რომელსაც ლუსტრაცია და ამნისტია ჰქვია. მსგავსი მოდელის შექმნა საქართველოშიც შეიძლება, თუ სახელმწიფოს ნება იქნება".

პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა რამდენიმე ჩანაფიქრიც გაამხილეს: „თანამედროვე ფეხბურთი წარმოადგენს სპორტულ ბიზნესს, რომელშიც წარმატებისთვის აუცილებელია თანამედროვე სპორტული მენეჯმენტის დანერგვა და გამოყენება. ამავე დროს, ბევრი ფეხბურთელი სრულფასოვან და კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას მოკლებულია. თავის მხრივ, სპორტულ ექიმებსაც არ აქვთ საშუალება, კვალიფიკაცია აიმაღლონ. ეს საკითხები მოუწესრიგებელია და ამ მიმართულებებითაც ვმუშაობთ".

**მერაბ მამულაშვილი**

● პირველი ლიგა. XXI ტური

## A ზონა

### ალგეთი-საპოვნელა 0:3

10.04. თბილისი. ტორპედო-ავაზა

0:1 ლ. გაბრიჭიძე (37), 0:2 ვ. ჭრელაშვილი (65), 0:3 ა. ბუცხრიკიძე (83-პენ)

ალგეთი: ლ. ეზიეშვილი, რ. კიკალიშვილი, ი. ალასანია, გ. ჭოველიძე, ე. ანიგბო, მ. კობერიძე, ი. ჯოჯიშვილი (71. გ. ყურულაშვილი), გ. ჩიქოვანი (71. ბ. ფოჩხუა), ზ. ტიელიძე (74. ბ. ლაბუჩიძე), ი. სვანიძე, ა. ონუაკლისი (60. გ. ტვილდიანი).

სათადარიგოები: გ. პატარქალიშვილი, ჯ. სულაქველიძე, მ. ძიძიგური

მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, ზ. ენდელაძე. თ. ჯიმშელეიშვილი (86. ა. ლილუაშვილი), ა. ბუცხრიკიძე, ს. შულლაძე, ლ. ცხადაძე (46. ვ. ჭრელაშვილი), ს. ცქიფურიშვილი (77. ზ. აბულაძე), ვ. მურადაშვილი (87. ბ. ბარბაქაძე), ბ. ფოცხვერაშვილი (46. ნ. სირაძე), ლ. გაბრიჭიძე.

სათადარიგო: ვ. კახეთელიძე

მწვრთნელი: მირიან გეწაძე

გაფრთხილება: ა. ონუაკლისი, გ. ჭოველიძე - ზ. აბულაძე

გაძევება: ე. ანიგბო

არბიტრი: შ. ქუხილავა

### სქური-ადელი 2:0

10.04. წალენჯიხა. საშა კვარაცხელია

1:0 ა. მიქენაია (81), 2:0 ი. კუტალია (90)

სქური: დ. კეკელიძე, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ლ. მორგოშია, გ. სალია (53. ი. კუტალია), გ. შელია (90. ბ. სვანიძე), ლ. გაბუნია, ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია (90. დ. შონია), გ. კვირკვია (70. კ. სოსელია).

სათადარიგოები: ი. ქარდავა, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელი: გიორგი ციკოლია

ადელი: გ. შერვაშიძე, ნ. ნულუკიძე (86. ი. ღოღობერიძე), ზ. მჟავანაძე (86. თ. ხაბელაშვილი), ი. ფუტკარაძე, ვ. ივანიაძე, ლ. ჯინჭარაძე (65. ა. ვარშანიძე), გ. ცაბუტაშვილი, ზ კონცელიძე (59. ე. ბერიძე), გ. ჟორდანია (59. დ. რუხაია), გ. ქოქოლაძე, ლ. კარაკულიანი.

სათადარიგოები: გ. თურმანიძე, თ. გიორგაძე

მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი

გაფრთხილება: გ. სართანია, ა. მიქენაია

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

### იმერეთი-გაგრა 2:4

10.04. ხონი. ცენტრალური

0:1 გ. გოგატიშვილი (21), 1:1 ნ. ჩიხლაძე (39), 1:2 გ. გოგატიშვილი (52), 1:3 რ. ცაცკრიალაშვილი (59), 2:3 ო. ტორაძე (74-პენ), 2:4 რ. ცაცკრიალაშვილი (87)

იმერეთი: ნ. ბანძავა, თ. ხარებავა, გ. ქირია (71. გ. ხვიჩია), გ. ხელაძე (68. დ. ხაბურძანია), ლ. გაჩეჩილაძე (33. დ. კუხალაშვილი), თ. ბაბუნაშვილი (64. ჯ. კილაძე), ო. ჭანკვეტაძე, ო. ტორაძე, გ. გენძეხაძე, ნ. ჩიხლაძე, მ. აშვეთია.

სათადარიგოები: გ. მანაგაძე, ი. გოგატიშვილი, ს. მეძველია

მწვრთნელი: დავით ჭელიძე

გაგრა: ჯ. რეჭია, ც. ხარაბაძე, გ. სიჭინავა, გ. ნიჟარაძე (76. გ. მაისურაძე), გ. ჯგერენაია, ნ. ნოზაძე, ვ. ჭაბუკიანი, რ. ცაცკრიალაშვილი (89. ი. გაბესკირია), ბ. ქარდავა (87. ა. მუსელიანი), ზ. ქარდავა, გ. გოგატიშვილი.

სათადარიგოები: მ. რამიშვილი, ს. კარტოზია, ც. მოსიაშვილი, ზ. ლირდალაძე

მწვრთნელი: თენგიზ სიჭინავა

გაფრთხილება: თ. ხარებავა - ზ. ქარდავა

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

### კოლხეთი (ფ)-ჩხერიმელა 4:0

10.04. ოზურგეთი. ცენტრალური

1:0 თ. ფარულავა (20), 2:0 გ. კრასოვსკი (37), 3:0 შ. კვანტალიანი (44), 4:0 ა. სარსანია (53)

კოლხეთი: ლ. ძაგანია, ლ. კუკავა, თ. ფარულავა (67. პ. ცხვიტარია), გ. კრასოვსკი (67. გ. ნარსია), ბ. ხოშტარია (55. თ. ბეჩეხია), ვ. ნემსაძე, ა. ქორჩილავა, კ. ბარამიძე, ლ. გულუა, ლ. ყიფიანი (46. ა. სარსანია), შ. კვანტალიანი (61. მ. ლორია).

სათადარიგოები: თ. შარაშენიძე, რ. ხვიჩია

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

ჩხერიმელა: გ. ნიქაბაძე (43. ი. მურადაშვილი), მ. კოპალიანი (50. თ. კიკნაძე), თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, გ. ჯიმშელეიშვილი, შ. ბაბუნაშვილი, გ. კიკნაძე, გ. ხარაბაძე (53. დ. ქარსელაძე), ლ. ჩაჩიბაია (46. გ. ზაქარაშვილი), დ. პეტავა (36. გ. თურმანიძე), ს. ჭიკაიძე.

მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილება: ბ. ხოშტარია - დ. პეტავა, გ. ხარაბაძე

გაძევება: შ. ბაბუნაშვილი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

### კახეთი-დინამო 2 (თბ) 2:5

10.04. თელავი. გივი ჩოხელი

1:0 კ. მადუბუიკე (10), 1:1 ბ. ზივზივაძე (22), 2:1 მ. ლომიძე (44), 2:2 ს. ლობჟანიძე (59), 2:3 მ. ჯიშკარიანი (75), 2:4 მ. ჯიშკარიანი (81), 2:5 ბ. ზივზივაძე (88)

კახეთი: გ. აბულაშვილი (63. დ. მეფარიძე), ზ. ვარდუაშვილი, გ. ლომიძე, გ. მურველაშვილი, თ. ვარდუაშვილი, გ. ბააკაშვილი (86. გ. აბურჯანია), დ. ლორთქიფანიძე, გ. კვირკველია, გ. ტყეშელაშვილი, გ. ჯინიკაშვილი (69. დ. მიქაძე), კ. მადუბუიკე.

სათადარიგოები: გ. ჩიტალაძე, გ. ფხაკაძე, ლ. მაჭარაშვილი, მ. უჩხუკიშვილი

მწვრთნელი: როსტომ თორღაშვილი

დინამო 2: ნ. დაუშვილი, ვ. ბაჩიაშვილი, გ. სამხარაძე, ს. გურეშიძე, ნ. კვეკვესკირი, ზ. ჯაფიაშვილი, გ. გურეშიძე (69. გ. დიასამიძე), ს. ლობჟანიძე, გ. ერისთავი (82. დ. ვოლკოვი), მ. ჯიშკარიანი (88. თ. მაკასარაშვილი), ბ. ზივზივაძე.

სათადარიგოები: ლ. ისიანი, ლ. შინდაგორიძე, ლ. თათხაშვილი, მ. ქაჯაია

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

გაფრთხილება: დ. ლორთქიფანიძე, კ. მადუბუიკე - ნ. დაუშვილი, ნ. კვეკვესკირი

არბიტრი: თ. ხუჭუა

მეშახტე-შუქურა 1:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუქურა | 19 | 15 | 3 | 1 | 62-16 | 48 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 19 | 15 | 2 | 2 | 45-10 | 47 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 20 | 12 | 3 | 5 | 59-26 | 39 |
| 4. გაგრა | 20 | 10 | 6 | 4 | 41-23 | 36 |
| 5. საპოვნელა | 19 | 10 | 3 | 6 | 34-19 | 33 |
| 6. მეშახტე | 19 | 7 | 5 | 7 | 32-32 | 26 |
| 7. ალგეთი | 19 | 8 | 2 | 9 | 29-32 | 26 |
| 8. ჩხერიმელა | 19 | 6 | 4 | 9 | 24-41 | 22 |
| 9. სქური | 20 | 6 | 2 | 12 | 22-42 | 20 |
| 10. იმერეთი | 20 | 5 | 3 | 12 | 21-45 | 18 |
| 11. ადელი | 20 | 4 | 3 | 13 | 24-56 | 15 |
| 12. მერცხალი | 19 | 4 | 2 | 13 | 17-39 | 14 |
| 13. კახეთი | 19 | 4 | 2 | 13 | 22-48 | 14 |

### მომდევნო ტური

**15 აპრილი**

გაგრა-ალგეთი
საპოვნელა-კოლხეთი (ფ)
ჩხერიმელა-მეშახტე
დინამო 2 (თბ)-მერცხალი
ადელი-იმერეთი

**16 აპრილი**

შუქურა-კახეთი

## B ზონა

### ჭიათურა-კოლხეთი (ხ) 3:0

11.04. ჭიათურა. თემურ მაღრაძე

1:0 თ. მუმლაძე (54), 2:0 ლ. კუჭაშვილი (71), 3:0 ნ. გაფრინდაშვილი (90-პენ)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ი. ტყებუჩავა (78. ო. კურტანიძე), ლ. ცუცქირიძე, გ. გაფრინდაშვილი, გ. ოქროპირიძე, ა. ბაბლიძე, გ. ბარბაქაძე, ს. ქავთარაძე (33. ლ. კუჭაშვილი), თ. ნადირაძე (89. გ. მეცხოვრიშვილი), გ. სამყურაშვილი, თ. მუმლაძე.

სათადარიგოები: გ. პაპუაშვილი, ი. ცერცვაძე, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ლ. გოგენია, ც. ბუკია, ლ. ვართაგავა, ვ. ფირცხელავა, გ. ლომაია (63. პ. გაბრავა), ლ. წურწუმია, ლ. მეფიშვილი, ი. გერგაია (74. გ. ბუცხრიკიძე).

სათადარიგოები: გ. პაჭკორია, ლ. ქაშიბაძე, ლ. ჭურღულია, მ. ლატარია

მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

გაფრთხილება: გ. სამყურაშვილი, ლ. კუჭაშვილი - ლ. ვართაგავა, ც. ბუკია, გ. ლომაია, ლ. გოგენია

გაძევება: ა. ბაბლიძე - ო. ფიფია

არბიტრი: მ. ურუშაძე

### სასკო-დილა 2 2:1

10.04. თბილისი. 35-ე სკოლის სტადიონი

1:0 გ. არახამია (56), 2:0 ვ. არველაძე (65), 2:1 გ. ბერიძე (70)

სასკო: ა. ნონოხი, გ. სეფიაშვილი (46. თ. გაფრინდაშვილი), ა. ინწკირველი, გ. მაჩაიძე (59. გ. ქობულაძე), დ. გაგნიძე, დ. დილმელაშვილი, გ. შენირული (46. გ. სარჯველაძე), შ. ფირუზაშვილი (63. ვ. არველაძე), ე. ეგიაზარიანი (30. გ. არახამია), ა. სოფრომაძე, გ. ზარია.

სათადარიგოები: გ. ჯოხაძე, ლ. ბრაჭული

მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი

დილა 2: ბ. შეყრილაძე, ლ. მანაგაძე (23. კ. მელაშვილი), კ. ღალანიძე (76. ი. ბერიძე), ა. ჩაკვეტაძე, მ. აფხაზავა, გ. კაშია (76. ნ. გაბელია), ლ. შენგელია, გ. გაფრინდაშვილი, გ. ჯაყელი (69. ლ. ქოჩლაძე), ი. კერძევაძე, გ. ბერიძე.

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

გაფრთხილება: გ. შენირული, ა. ინწკირველი

არბიტრი: გ. ავაზაშვილი

### ბახმარო-სულორი 1:0

11.04. ჩოხატაური. ბორის პაიჭაძე

1:0 ლ. მაჭავარიანი (23)

ბახმარო: გ. ძაძამია, გ. ბერიშვილი, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე, გ. შათირიშვილი, ლ. ჯანგიძე, მ. გიორგაძე (90. დ. ჩაჩუა), დ. მამუდოვი, გ. ტუხაშვილი, ლ. მაჭავარიანი (73. ლ. ნაკაიძე), ხ. დიდია.

სათადარიგოები: ა. შონია, გ. კუჭავა, კ. კალანდაძე, ლ. ცენტერაძე, ვ. პარასკევაშვილი

მწვრთნელი: რამაზ უჯმაჯურიძე

სულორი: გ. ბერძენაძე, ი. გამრეკლიძე (42. გ. ხეცურიანი), ბ. ბელქანია, ლ. გაბუნია, ა. როხვაძე, ჯ. პაპავა (60. მ. ნაფეტვარიძე), თ. ძაგნიძე (35. ნოდ. გიორგაძე) გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, ბ. სულაბერიძე, დ. კუჭუხიძე (90. გ. გენძეხაძე).

სათადარიგოები: ბ. ბახტაძე, ი. გიორგაძე, ს. თვალავაძე

მწვრთნელი: გიორგი კუტივაძე

გაფრთხილება: გ. ძაძამია - ა. როხვაძე, გ. ბრეგვაძე, გ. შენირული

არბიტრი: კ. ჭაჭუა

### მაჭახელა-საბურთალო 2:0

11.04. ხელვაჩაური. ცენტრალური

1:0 თ. ბერიძე (27), 2:0 ლ. ხოხონიშვილი (40)

მაჭახელა: შ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, გ. კაჭკაჭიშელი, ბ. დემურაძე (27. ლ. ხოხონიშვილი), ლ. რამიშვილი, მ. ჟვანია, ლ. ხაჭაპურიძე, გ. ფალავანდიშვილი (90. ს. ცინცქილაძე), ა. ლაბაძე (52. გ. სირაბიძე), თ. ბერიძე (63. დ. რაფავა), დ. დოლიძე (80. ნ. ქორიძე).

სათადაგოები: ა. ბაციკაძე, მ. ხარშილაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

საბურთალო: ო. გოშაძე, გ. მარგველაშვილი, რ. კაკიაშვილი, თ. სტეფნიაშვილი (46. გ. თვარაძე), გ. ხარაიშვილი, გ. თევზაძე, რ. ბარამიძე (67. გ. წივილაშვილ), ი. ბიძინაშვილი (52. ი. რუხაძე), ლ. ბლიაძე (46. თ. ნადარაია), რ. გოცირიძე, გ. ჩაბრაძე (51. გ. გოშთელიანი).

სათადარიგოები: ბ. ქურდაძე, ვ. მამუჩაშვილი

მწვრთნელ: გია ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: დ. ბერუაშვილი, ლ. რამიშვილი, გ. ფალავანდიშვილი, ლ. ხაჭაპურიძე - გ. ხარაიშვილი, გ. წივილაშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

### დინამო (ბთ)-სამგურალი 5:0

11.04. ქობულეთი. ჩელე-არენა

1:0 ი. სიხარულიძე (28), 2:0 გ. გოგიტიძე (43), 3:0 გ. ფიფია (45), 4:0 კ. მაკარიანი (70), 5:0 ა. მუჯირი (74)

დინამო: მ. ალავიძე, ვ. ქორიძე, ბ. ტეტუნაშვილი, გ. ჟვანია, ა. სუხიაშვილი, გ. გოგიტიძე, ბ. ჭკუასელი (46. ვ. თევდორაძე), ა. მუჯირი (78. დ. ადეიშვილი), ი. ჩირიკაშვილი (67. კ. მაკარიანი), გ. ფიფია (46. ბ. მახარაძე), ი. სიხარულიძე (66. ა. აბუსელიძე).

სათადარიგოები: ნ. აშბა, გ. თებიძე

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ბ. ბიბილაშვილი, ნ. შალამბერიძე (77. ხ. უგრეხელიძე), თ. ჯანაშია, უ. ბანძელაძე, ა. მეტონიძე (77. ა. ფანცხავა), თ. ბრეგვაძე, ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე (58. ზ. კუხალაშვილი), გ. ბუხაიძე (61. ო. ჩინჩალაძე), გ. თევდორაძე.

სათადარიგოები: ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ფანცხავა, გ. ლობჟანიძე

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

არბიტრი: დ. სანოძე

### სამტრედია-ლოკომოტივი 2:3

11.04. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 ზ. ქანთარია (2), 2:0 ზ. ქანთარია (18), 2:1 ლ. ზარანდია (35), 2:2 დ. ჯიქია (47), 2:3 ნ. ნივნივაძე (68)

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, ბ. გედენიძე, თ. შალიკაშვილი, გ. პაჭკორია, თ. კაკუშაძე, თ. მოსიაშვილი (88. ა. ბაგაშვილი), გ. მელქაძე, ლ. ბაკურაძე (84. ზ. ქურდობაძე), შ. კერძევაძე (72. თ. კიკაბიძე), ი. პავლიაშვილი (65. ა. დვალიშვილი), ზ. ქანთარია (77. ზ. ხაჭიპერაძე).

სათადარიგოები: გ. ალავიძე, მ. გოგია[illegible]

მწვრთნელი: გელა სანაია

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, დ. მთივლიშვილი, გ. გაბაძე, ო. კუსიანი (51. ნ. სანდოხაძე), დ. უბილავა, ნ. ნივნივაძე (90. რ. ჩიტეიშვილი), გ. აბურჯანია, ლ. კიკაბიძე, ჯ. ყანჩაშვილი (77. ო. პატარკაციშვილი), ლ. ზარანდია (83. გ. ლუკავა), დ. ჯიქია (72. მ. გავაშელიშვილი).

სათადარიგოები: ა. გუგუშვილი, ბ. საჯაია

მწვრთნელი: ვასილ მაისურაძე

გაფრთხილება: თ. შალიკაშვილი - გ. გაბაძე, გ. აბურჯანია, ჯ. ყანჩაშვილი

გაძევება: თ. შალიკაშვილი - ნ. სანდოხაძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ბეთლემი-სტუ 1:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 21 | 16 | 2 | 3 | 48-21 | 50 |
| 2. დინამო (ბთ) | 21 | 16 | 1 | 4 | 49-12 | 49 |
| 3. მაჭახელა | 21 | 14 | 5 | 2 | 36-12 | 47 |
| 4. სასკო | 21 | 13 | 2 | 6 | 40-21 | 41 |
| 5. ჭიათურა | 21 | 11 | 2 | 8 | 36-30 | 35 |
| 6. ლოკომოტივი | 21 | 10 | 2 | 9 | 51-33 | 32 |
| 7. სამგურალი | 21 | 8 | 4 | 9 | 34-43 | 28 |
| 8. საბურთალო | 21 | 7 | 4 | 10 | 30-29 | 25 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 21 | 7 | 4 | 10 | 27-46 | 25 |
| 10. ბეთლემი | 21 | 7 | 3 | 11 | 23-31 | 24 |
| 11. სტუ | 21 | 7 | 2 | 12 | 35-46 | 23 |
| 12. დილა 2 | 21 | 5 | 4 | 12 | 24-39 | 19 |
| 13. ბახმარო | 21 | 2 | 7 | 12 | 24-57 | 13 |
| 14. სულორი | 21 | 2 | 2 | 17 | 11-48 | 8 |

### მომდევნო ტური

**16 აპრილი**

ლოკომოტივი-დინამო (ბთ)
სამგურალი-ბეთლემი
სტუ-მაჭახელა
საბურთალო-ბახმარო
კოლხეთი (ხ)-სასკო
დილა 2-სამტრედია

**17 აპრილი**

სულორი-ჭიათურა

● ევროპის თასი-საქართველო

# ფინალისტები ცნობილია

კვირას „ევროპის თასი-საქართველოს" გათამაშების შესარჩევი ეტაპი დასრულდა. ტურნირს საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, ბერლინის „ჰერტას" მცველის, **ლევან კობიაშვილისა** და მისი მეგობრების მიერ დაარსებული საერთაშორისო ფონდი - „კობი და მეგობრები" - ატარებდა.

გათამაშებაში 2001 წელს დაბადებულთა 44 გუნდი მონაწილეობდა და ლამის მთელი საქართველო მოიცვა: აჭარა-გურიაში გამარჯვებული ქობულეთის „შუქურა" გახდა, სამეგრელო-ზემო სვანეთში - „ზუგდიდი", იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმში - ქუთაისის „ტორპედო 2011", აღმოსავლეთ საქართველოში - „შიდა ქართლი".

ყველაზე გვიან, ბოლო 4 ფინალის საგზური თბილისში გათამაშდა: A ჯგუფში თბილისის „დინამოს" აკადემიამ გაიმარჯვა, B ჯგუფში - „ავაზამ", C ჯგუფში - „საბურთალომ", ხოლო D-ში - „ნორჩი დინამომ".

ეს 8 საუკეთესო გუნდი გამარჯვებულს ფინალურ ეტაპზე, 26 და 27 აპრილს თბილისში გამოავლენს. „ევროპის თასი-საქართველოს" გამარჯვებული ბერლინის ტურნირზე „კობი და მეგობრების" ფონდის დაფინანსებით გაემგზავრება.

**მერაბ მამულაშვილი**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტურის შეჯამება



ბაიერნი-დორტმუნდი 0:3. კევინ გროსკროიტცისა და ფრანკ რიბერის ორთაბრძოლა

# კრიზისი, რომელიც კრიზისი არცაა

**„ბაიერნს“ გერმანიის ჩემპიონობა განაღდებული რომ არ ჰქონდეს, მიუნხენური კლუბის ამჟამინდელ მდგომარეობას დაუფიქრებლად დავარქმევდით კრიზისს, მაგრამ რაკი ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა ბუნდესლიგის მიმართ ინტერესი დაკარგა, კრიზისზე საუბარი, რა თქმა უნდა, მართებული არ იქნება. სამაგიეროდ, აბსოლუტურად მართებულია მარკო როისის ქება - „დორტმუნდის“ ლიდერი ბრწყინვალე ფორმაშია.**

მას მერე, რაც ჩემპიონმა ჩემპიონობა გაინაღდა, მიუნხენის „ბაიერნს“ არაფერი გამოსდის. თუმცა ამაზე ახლა ყურადღების სერიოზულად გამახვილება დაახლოებით იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ გვეთქვა, სეზონი 28-ე ტურში რომ დანყებულიყო, რეკორდმაისტერი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების კანდიდატი იქნებოდაო. ასე შევხედავთ, თუ ისე, ფაქტია, რომ ბოლო სამი ტურის ცხრილს თუ შევადგენთ, „ბაიერნი“ მე-17 ადგილზე აღმოჩნდება და „ნიურნბერგს“ მხოლოდ ერთი ქულით აჯობებს (ფრანკებს ბოლო სამი თამაში ხომ ნაგებული აქვთ).

უშუალოდ დორტმუნდის „ბორუსიას“ „ბაიერნმა“ ზედიზედ მესამე საშინაო თამაში ვერ მოუგო. ამავდროულად, შაბათს დაფიქსირებული 0:3 ამ ოთხიდან მესამე წაგება იყო. ცნობისათვის, ახლო წარსულში მიუნხენელებს თვით „კიოლნთან“ უფრო უარესი სტატისტიკა ჰქონდათ: 2003-დან 2010 წლამდე „ბაიერნი“ საკუთარ კედლებში „კიოლნს“ ზედიზედ ხუთი თამაში ვერ უგებდა.

ამ დროისთვის ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ **მარკო როისია**, რომლის ფორმის პიკი მადრიდის „რეალის“ შემდეგ უკვე „ბაიერნმაც“ გამოსცადა. 24 წლის როისს დორტმუნდელთა მესამე გოლამდე „ბორუსიას“ უკანასკნელ 9 გოლში უშუალო მონაწილეობა ჰქონდა მიღებული - 7 გოლისა და 2 საგოლე პასის სახით.

ამ სეზონში „ჰოფენჰაიმის“ თამაშების ყურება კარგი სპექტაკლის ცქერას ნიშნავს. „სოფლელებმა“ „აუგსბურგის“ კარისკენ 26-ჯერ დაარტყეს, აუგსბურგელებმა კი - 23-ჯერ. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ხსენებულ შეხვედრაში 90 წუთის განმავლობაში კარისკენ 49 დარტყმა დაფიქსირდა, რაც ბუნდესლიგის რეკორდია მას მერე, რაც კარისკენ დარტყმების რაოდენობა ოფიციალურად აღირიცხება - ეს კი 2004/05 წლების სეზონიდან ხდება. ამდენი დარტყმების ფონზე მატჩის ანგარიში (2:0 ჰოფენჰაიმელთა სასარგებლოდ) ბევრს სასაცილოდ მოეჩვენება.

„ჰამბურგს“ ამ სეზონში ძალიან რომ უჭირს, ამაზე დიდხანს აღარ ვისაუბრებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩრდილოგერმანული კლუბი სერიული ანტირეკორდების დამყარებას აგრძელებს. დეკემბრის დასაწყისიდან თებერვლის შუა რიცხვებამდე „ჰამბურგმა“ ზედიზედ 7 მარცხი რომ იგემა, ამის შესახებ ადრეც ვწერდით. ახლა კი ჰანოვერში წაგება (1:2) ზედიზედ მეშვიდე გასვლითი მარცხი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ „ჰამბურგი“ 2000/2001 წლების სეზონშიც შავ დღეში იყო - მაშინ გუნდმა სულაც ზედიზედ 8 გასვლითი მატჩი წააგო.

30 ტურის შემდეგ „ჰამბურგი“ სარელეგაციო მე-16 ადგილზეა და დღევანდელი მდგომარეობით, რელეგაციაზე „პადერბორნთან“ ორრაუნდიანი დუელი მოუწევს.



ტურის გმირი

**მარკო როისი (დორტმუნდი)**

ბუნდესლიგის 30-ე ტურის შემდეგ გაზეთმა „ბილდმა“ ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის სახელდახელო გამოკითხვა ჩაატარა. კითხვა ასე ჟღერდა: რომელი გერმანელი ფეხბურთელია ამჟამად საუკეთესო ფორმაში, ანუ, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს მუნდიალზე პირველ რიგში? გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მარკო როისი დაასახელა...

საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| 1. არიენ რობენი | ბაიერნი | 24 | 2.38 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 20 | 2.38 |
| 3. რალფ ფერმანი | შალკე | 18 | 2.50 |
| 4. მარკო როისი | დორტმუნდი | 26 | 2.52 |
| 5. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 30 | 2.62 |
| 6. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 30 | 2.68 |
| 7. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 28 | 2.71 |
| 8. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 25 | 2.79 |
| 9. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | გლადბახი | 30 | 2.80 |
| 10. ტონი კროოსი | ბაიერნი | 27 | 2.81 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 29 | 17 | 11 | 28 |
| 2. მარკო როისი | დორტმუნდი | 26 | 14 | 11 | 25 |
| 3. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 29 | 14 | 10 | 24 |
| 4. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 28 | 17 | 6 | 23 |
| 5. ადრიან რამოსი | ჰერტა | 29 | 16 | 7 | 23 |
| 6. მაქს კრუზე | გლადბახი | 30 | 11 | 11 | 22 |
| 7. თომას მიულერი | ბაიერნი | 27 | 12 | 9 | 21 |
| 8. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 20 | 9 | 12 | 21 |
| 9. რაფაელი | გლადბახი | 30 | 14 | 6 | 20 |
| 10. იოზიპ დრმიჩი | ნიურნბერგი | 29 | 16 | 3 | 19 |

სიმბოლური ნაკრები




გერმანიის თასი. 1/2 ფინალი

# გვარდიოლა: ფინალში გასვლა სავალდებულოა!

## დორტმუნდს დღეს მძიმე ბრძოლა ელის, ბაიერნს ხვალ - იოლი გასეირნება?

**15 აპრილი**

**დორტმუნდი-ვოლფსბურგი 22:30**

სავარაუდო შემადგენლობები

**დორტმუნდი (4-1-4-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სოკრატისი, ჰუმელსი, დურმი - კელი - როისი, მხითარიანი, იოიჩი, გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** გრიუნი - ტრეში, ნალდო, კნოხე, მ. შეფერი - ლუის გუსტავო, ჟუნიორ მალანდა - დე ბრუინი, არნოლდი, პერიშიჩი - ოლიჩი.

**16 აპრილი**

**ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი 22:30**

სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - შვაინშტაიგერი, ტ. კროოსი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ზიპელი - დიკი, ორბანი, ტორეხონი, ლიოვე - კარლი, იენსენი - მატმური, იდრისუ - ცოლერი, ლაკიჩი.

„ჰო, - ამბობს **ხოსეპ გვარდიოლა**, - *„ჩვენ მართლაც დავკარგეთ რიტმი, მაგრამ სასწრაფოდ უნდა დავიბრუნოთ!“*

„დორტმუნდთან“ 0:3-ზე წაგებამ ხასიათი პეპსაც წაუხდინა, მაგრამ ბავარიელთა ესპანელი დამრიგებელი მაინც სიმშვიდეს ინარჩუნებს, რადგან ბუნდესლიგაში წაგებით ბევრი არაფერი ფუჭდება. გვარდიოლასთვის უფრო მნიშვნელოვანი ხვალინდელი მატჩია: „ბაიერნი“ გერმანიის თასის ნახევარფინალში მეორებუნდესლიგელ „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობს.

ეს „კაიზერსლაუტერნი“ „ბაიერნისთვის“ ზოგადად ძალიან სუსტი მეტოქეა, მაგრამ თუ მიუნხენელები „ჭკუას არ მოუხმობენ“ და ისე ითამაშებენ, როგორც „ჰოფენჰაიმთან“ (3:3), „აუგსბურგთან“ (0:1) და „დორტმუნდთან“ (0:3) იასპარეზეს, იოლი გასეირნება არ შედგება. თანაც, გერმანიის თასზე ყველა ეტაპი ერთმატჩიანია და ცხადია, რომ „კაიზერსლაუტერნი“ სეზონის უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში წარმოუდგენლად მოტივირებული იქნება.

*„ფაქტია, რომ „კაიზერსლაუტერნთან“ გაცილებით უკეთესად უნდა ვითამაშოთ, ვიდრე „დორტმუნდთან“, თორემ შეიძლება საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ. „კაიზერსლაუტერნზე“ ზერელე დამოკიდებულება არ ივარგებს,“* - ეს „ბაიერნის“ სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** სიტყვებია. გაგახსენებთ, რომ „კაიზერსლაუტერნმა“, რომელიც ელიტაში დაბრუნებისთვისაც იბრძვის, მეოთხედფინალში „ლევერკუზენი“ 1:0 დაამარცხა.

*„გერმანიის თასის ფინალში გასვლა სავალდებულოა,“* - ამბობს გვარდიოლა და დასძენს, „კაიზერსლაუტერნთან“ ექსპერიმენტირებას არ ვაპირებო. თუმცა პეპი „დორტმუნდთან“ მატჩის წინაც ასე ამბობდა...

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს: ის დღეს შედგება და ამ თამაშში უფრო მეტი ინტრიგაა, რადგან „დორტმუნდი“ „ვოლფსბურგს“ მასპინძლობს. **იურგენ კლოპის** შეგირდებსაც და „მგლებსაც“ თასის ფინალში გასვლა ძალიან უნდათ. ასე რომ, თუკი გერმანელი მიმომხილველები „ბაიერნს“ მაინც იოლ გასეირნებას უწინასწარმეტყველებენ, „დორტმუნდისა“ და „ვოლფსბურგის“ დაპირისპირებაში უალრესად დაძაბულ ბრძოლას ელიან.



„ბაიერნის“ თავკაცი ხოსეპ გვარდიოლა ჰეთთრიკს უმიზნებს, ამისათვის გერმანიის თასის ფინალში გასვლა აუცილებელია

ამბები

### ჩიგერჩი ჰერტაში რჩება

22 წლის საყრდენი ნახევარმცველი **თოლგა ჩიგერჩი** ბერლინის „ჰერტაში“ რჩება. ეს უკანასკნელი დედაქალაქურ კლუბში „ვოლფსბურგიდან“ იყო განათხოვრებული, ახლა კი გადაწყდა, რომ „ჰერტა“ იჯარის ხელშეკრულებაში ჩადებულ პუნქტს გამოიყენებს და ჩიგერჩის გამოისყიდის. ბერლინელებს მისი ტრანსფერი 1.5 მილიონი ევრო უჯდებათ - ჩიგერჩი „ჰერტასთან“ კონტრაქტს 2017 წლამდე აფორმებს.

### ტრაორე გლადბახში მიდის

„შტუტგარტის“ 25 წლის გარემარბი **იბრაჰიმა ტრაორე** მომავალი სეზონიდან კარიერას მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ გააგრძელებს. ეს ინფორმაცია „გლადბახმა“ გუშინ ოფიციალურად დაადასტურა. შემტევი ნახევარმცველი, რომელსაც ბუნდესლიგის 71 მატჩში 6 გოლი აქვს გატანილი, მიონხენგლადბახელებთან კონტრაქტს 2018 წლამდე აფორმებს.

*„ტრაორე ძალიან სწრაფი და ტექნიკური გარემარბია, რომელიც ჩვენს წინა ხაზს მნიშვნელოვნად გააძლიერებს,“* - ამბობს „გლადბახის“ სპორტული დირექტორი **მაქს ებერლი** გვინეელ ფეხბურთელზე.

### ბაიერნმა როდე დაადასტურა

ამ ტრანსფერის შესახებ ორიოდე თვის წინ გახდა ცნობილი, ახლა კი ოფიციალურად დადასტურდა: ფრანკფურტის „აინტრახტის“ ნიჭიერი საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან როდე** კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს. 23 წლის ფეხბურთელი რეკორდმაისტერს ზაფხულიდან შეუერთდება - მის კონტრაქტს ვადა 2018 წლამდე ექნება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## ● არგენტინა. ტორნეო ფინალი. XIII ტური



„ესტუდიანტესი“ ისევ ერთპიროვნულად გალიდერდა

# სტუდენტები სათავეში

მე-13 ტურის შემდეგ, არგენტინის ჩემპიონატის პირველ პოზიციაზე ისევ „ესტუდიანტესი“ გადავიდა, რომელმაც თავისი მატჩი მოიგო, თანალიდერებმა, „კოლონმა“ და „სან ლორენსომ“ კი ქულები დაკარგეს...

განსაკუთრებით გასაკვირი „სან ლორენსოს“ მარცხი იყო - **ედუარდო ბაუსას** გუნდს, „ლანუსის“ სახით ძლიერი მეტოქე კი ჰყავდა, მაგრამ ჩემპიონის განადგურება მაინც მოულოდნელი იყო. სტუმრებს თინეიჯერებმა მოაგებინეს - 18 წლის **მარკოს ასტინამ** ანგარიში გახსნა, მოგვიანებით კი ორი საგოლე გადაცემა გააკეთა. ასევე, გამორჩეული იყო 19 წლის **ხორხე ვალდესი**, ვინც დუბლი შეასრულა. საბოლოოდ, შეხვედრა 1:4 დასრულდა, რის გამოც შეწყდა „სან ლორენსოს“ 13-მატჩიანი საშინაო წაუგებელი სერია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში „ლანუსი“ მეტოქეს თითქმის ყოველთვის ამარცხებს. თავად განსაჯეთ: ბოლო გამარჯვება „სან ლორენსომ“ „ლანუსთან“ 2008 წელს მოიპოვა, იქიდან მოყოლებულ ჩატარებულ 12 შეხვედრაში კი 9 მარცხი განიცადა და მხოლოდ სამი მატჩი დაასრულა ფრედ.

„ესტუდიანტესმა“ „კილმესს“ საუკეთესო ბომბარდირის, **გვიდო კარილიოს** კარგი თამაშის წყალობით სძლია. 22 წლის ფორვარდმა **სილვიო დულჩიჩის** კარში ორი გოლი გაიტანა და პირადი რეკორდი დაამყარა - ერთ ჩემპიონატში შვიდი გოლი კარილიოს აქამდე არ გაუტანია. კიდევ ერთი ბურთი კი სწორედ დულჩიჩის ანგარიშზეა, რომელმაც 34-ე წუთზე საკუთარი კარი დალაშქრა.

### განიავებული მომენტების წვიმა

ადრეც არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: როდესაც „რივერ პლეიტი“ „მონუმენტალზე“ თამაშობს, სანახაობა გარანტირებულია. ამ სეზონში არ ყოფილა შემთხვევა, რომ „ლოს მილიონარიოსის“ საშინაო შეხვედრაში 10-მდე, ხანდახან 15-მდე 100-პროცენტიანი მომენტი არ შექმნილიყო. გამონაკლისი არც „ატლეტიკო რაფაელასთან“ გამართული შეხვედრა გამოდგა, რომლის პირველი ტაიმიც 0:0 დასრულდა, არადა, სტუმრებმა ბურთი ძელს ორჯერ მოარტყეს, მასპინძელთა მხრიდან კი **ფერნანდო კავენაგიმ** და **კარლოს კარბონერომ** 4-5 მეტრიდან ცარიელ კარში ვერ გაიტანეს.

მეორე ნახევარში საგოლე მომენტების რაოდენობამ იკლო, სამაგიეროდ იმატა გოლებმა. ანგარიში სწორედ კარბონერომ გახსნა, რომელმაც მცველებს დაასწრო და „რივერი“ დააწინაურა. მოგვიანებით, სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც კავენაგიმ ვერ გამოიყენა, შეხვედრას კი წერტილი **ტეო გუტიერესმა** დაუსვა, ვინც კარბონეროს შესანიშნავი პასით ისარგებლა. „რივერმა“ ზედიზედ მეხუთე საშინაო მატჩი მოიგო ისე, რომ გოლი არ გაუშვია და **რამონ დიასის** გუნდი ჩემპიონატში მეორე ადგილზე გადავიდა.

მომდევნო ტურში, რომელიც შუა კვირაში უნდა გაიმართოს, ცენტრალური მატჩი ლიდერებს შორის შედგება - „ესტუდიანტესი“ „რივერ პლეიტს“ უმასპინძლებს.

**ტიგრე-ოლ ბოისი 2:0**

**გოლები:** 1:0 ნაუელპანი (45), 2:0 პერეს გარსია (73)

**კილმესი-ესტუდიანტესი 1:3**

**გოლები:** 0:1 კარილიო (20), 1:1 ტელეჩეა (33), 1:2 დულჩიჩი (34-საკ. კარში), 1:3 კარილიო (56)

**არ. ხუნიორსი-ველესი 2:1**

**გოლები:** 1:0 ხ. რამირესი (48), 1:1 რ. ნანი (67), 2:1 ბარსოლა (90)

**რასინგი-ოლიმპო 1:1**

**გოლები:** 0:1 ხ. ვალენსია (18), 1:1 კამპი (26)

**სან ლორენსო-ლანუსი 1:4**

**გოლები:** 0:1 ასტინა (33), 0:2 ხ. ვალდესი (37), 1:2 კალინსკი (58), 1:3 დ. გონსალესი (72), 1:4 ხ. ვალდესი (75)

**გოდოი კრუსი-ნიუელსი 0:1**

**გოლი:** 0:1 ნ. კასტრო (80)

**ხიმნასია-არსენალი 2:0**

**გოლები:** 1:0 მესა (12), 2:0 მესა (90)

**რივერი-ატლ. რაფაელა 2:0**

**გოლები:** 1:0 კარბონერო (55), 2:0 ტ. გუტიერესი (86)

**გაძევება:** კონდე (76. ატლეტიკო რაფაელა)

**როსარიო-ბელგრანი 0:0**
**კოლონი-ბოკა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტუდიანტესი | 13 | 6 | 6 | 1 | 14-8 | 24 |
| 2. რივერი | 13 | 7 | 2 | 4 | 16-12 | 23 |
| 3. კოლონი | 13 | 6 | 4 | 3 | 10-7 | 22 |
| 4. ლანუსი | 13 | 7 | 1 | 5 | 17-16 | 22 |
| 5. ხიმნასია | 13 | 6 | 3 | 4 | 19-15 | 21 |
| 6. სან ლორენსო | 13 | 6 | 3 | 4 | 15-14 | 21 |
| 7. ველესი | 13 | 6 | 2 | 5 | 23-18 | 20 |
| 8. როსარიო | 13 | 5 | 4 | 4 | 14-13 | 19 |
| 9. გოდოი კრუსი | 13 | 5 | 4 | 4 | 13-12 | 19 |
| 10. ნიუელსი | 13 | 4 | 5 | 4 | 13-10 | 17 |
| 11. ბოკა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-11 | 16 |
| 12. ტიგრე | 13 | 3 | 7 | 3 | 8-8 | 16 |
| 13. ბელგრანო | 13 | 3 | 7 | 3 | 15-17 | 16 |
| 14. ოლიმპო | 13 | 4 | 4 | 5 | 10-12 | 16 |
| 15. ატლ. რაფაელა | 13 | 3 | 6 | 4 | 16-17 | 15 |
| 16. არ. ხუნიორსი | 13 | 3 | 6 | 4 | 7-9 | 15 |
| 17. რასინგი | 13 | 3 | 4 | 6 | 15-17 | 13 |
| 18. ოლ ბოისი | 13 | 3 | 4 | 6 | 9-16 | 13 |
| 19. კილმესი | 13 | 3 | 3 | 7 | 9-15 | 12 |
| 20. არსენალი | 13 | 3 | 1 | 9 | 9-18 | 10 |

**ბომბარდირები:** 7 - კარილიო (ესტუდიანტესი), მ. სარატე (ველეს სარსფილდი); 5 - ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი)

**გასავარდნი ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. კოლონი | 108 | 134 | 1.241 |
| 16. ოლიმპო | 32 | 39 | 1.219 |
| 17. ოლ ბოისი | 108 | 130 | 1.204 |
| 18. გოდოი კრუსი | 108 | 130 | 1.204 |
| 19. კილმესი | 70 | 83 | 1.186 |
| 20. არ. ხუნიორსი | 108 | 126 | 1.167 |

**ტატო ბაციკაძე**

## ● 19-წლამდელთა ჩემპიონთა ლიგა. ოთხთა ფინალი

# ანმყო თუ არ გწყალობს, მომავალი შენია

## ბარსელონამ ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგა მოიგო

**1/2 ფინალი**

**რეალი-ბენფიკა 0:4**

**გოლები:** 0:1 ი. პერეირა (9), 0:2 ნუნუ სანტუში (15-პენ), 0:3 ნუნუ სანტუში (17), 0:4 როჩინია (56-პენ)
**გაძევება:** ხაიმე სანჩესი (15. რეალი)

**შალკე-ბარსელონა 0:1**

**გოლი:** 0:1 ელ ჰადადი (72)

**ფინალი**

**ბენფიკა-ბარსელონა 0:3**

**გოლები:** 0:1 როდრი (9), 0:2 ელ ჰადადი (33), 0:3 ელ ჰადადი (88)

**ბენფიკა (4-3-3):** გრასა - პედრო რებოშუ, ალექს ალფაიატე (83. ჟოაო გომეში), ჟოაო ნუნიეში, რაფაელ რამოსი - ესტრელა, ჟილსონ კოშტა (64. ი. პერეირა), როჩინია - რომარიო ბალდე, გონსალო გუედესი, ნუნუ სანტუში

**ბარსელონა (4-3-3):** ონდოა - ე. ეკპოლო, რ. რიერა, როდრი, კინტილია - ხ. ორტეგა, ენგუენე (72. ხუან ანტონიო), კაპტუმი (89. ებველე) - ადამა ტრაორე, ელ ჰადადი (90. მ. როლონი), ელ ოურიაჩი

**გამოუყენებელი პენალტი:** რომარიო ბალდე (14. ბენფიკა)
**გაფრთხილება:** რომარიო ბალდე, გონსალო გუედესი, ნუნუ სანტუში - ე. ეკპოლო, ხ. ორტეგა, რ. რიერა, ელ ჰადადი, ხუან ანტონიო
**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 21-9 (7-7)
**ბომბარდირები:** 11 - მუნირ ელ ჰადადი (ბარსელონა); 6 - დევანტე კოული (მანჩესტერ სიტი), ჯონ სვიფტი (ჩელსი), როჩინია (ბენფიკა).

გუშინ ნიონში ისტორიაში პირველი ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგა დასრულდა, რომლის გამარჯვებულიც „ბარსელონა“ გახდა. კატალონიელებმა ფინალურ შეხვედრაში ლისაბონის „ბენფიკას“ 19-წლადელთა გუნდი დაამარცხეს და პრესტიჟულ ტიტულს დაეუფლნენ. „ბლაუგრანამ“ ანგარიში მატჩის დებიუტში, ცენტრალური მცველის, **როდრის** გოლით გახსნა. „არწივებს“ წონასწორობის აღდგენის შანსი ძალიან მალე მიეცათ, მაგრამ **რომარიო ბალდემ** 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, რის გამოც „ბენფიკა“ მალე დაისაჯა - ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა, **მუნირ ელ ჰადადიმ** თავისი მე-10 ბურთი გაიტანა და „ბარსამ“ ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა.

მეორე ნახევარში უპირატესობას „ბენფიკა“ კი ფლობდა, მაგრამ გოლი მაინც მათ კარში გავიდა - ელ ჰადადიმ დუბლი შეასრულა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 3:0.

**ტატო ბაციკაძე**

## ● ატლეტიკო

# კოშტა მწყობრშია, კურტუა გაურკვევლობაში

საბედნიეროდ, **დიეგო კოშტას** ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. „ხეტაფესთან“ მატჩის 86-ე წუთზე ბრაზილიელ-ესპანელმა თავგანწირვით ითამაშა და მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ ამ ეპიზოდში ძელს შეეჯახა და სისხლი წასკდა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „ატლეტიკოს“ ფორვარდს ღია მოტეხილობა ჰქონდა, მაგრამ ექიმებმა ეს ინფორმაცია მალევე უარყვეს. როგორც ირკვევა, დაზიანება ზედაპირული იყო და 25 წლის ფორვარდის თქმით, იგი უკვე შემდეგ ტურში „ელჩეს“ წინააღმდეგ აპირებს თამაშს.

### კი თუ არა

პარალელურად, „ათლეტების“ პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** ამბობს, რომ ითამაშებს თუ არა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსის“ წინააღმდეგ **ტიბო კურტუა**, ჯერ გადაწყვეტილი სულაც არ არის. საქმე ისაა, რომ თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით, „ატლეტიკოს“ „ჩელსის“ წინააღმდეგ ბელგიელი მეკარის ყოველ გამოყენებაზე ლონდონელებისთვის 3 მილიონი უნდა გადაეხადა. შემდეგ, უეფამ განაცხადა, რომ მადრიდელებს უფლება ეძლეოდათ კურტუა ამ გადასახადის გარეშე ეთამაშებინათ. თუმცა ამ შემთხვევაში „ჩელსიმ“ განაცხადა, რომ თუ გუნდი კომპენსაციას არ მიიღებს, კურტუას არენდას აღარ გააგრძელებს და ახალგაზრდა გოლკიპერს „ატლეტიკოში“ აღარ დატოვებს...

*„უკვე მერამდენედ ვამბობ, რომ ტიბო „ჩელსის“ ფეხბურთელია, ჩვენ ვცდილობთ, ლონდონელებთან შეთანხმებას მივაღწიოთ იჯარის გაგრძელების თაობაზე და თან იმედი მაქვს, რომ იგი ნახევარფინალშიც ითამაშებს. თუმცა ჩვენ ჯენტლმენები ვართ და ურთიერთშეთანხმების გარეშე იმაზე უარს არ ვიტყვით, რაზეც ხელი გვაქვს მოწერილი. კურტუა ითამაშებს იმ შემთხვევაში თუ შეთანხმებას მივაღწევთ, თუ არა და, კარში დანი არანსუბია დადგება“* - განაცხადა სერესომ.



დიეგო კოშტას ტრავმა მართლაც საზარლად გამოიყურებოდა

**გიორგი პაპაბაძე**

## ● ამბები

### ფლორენტინო პერესმა რონალდო დაარწმუნა

მადრიდის „რეალის“ ბაზაზე სპეციალური სხდომა გაიმართა, რომელსაც „სამეფო გუნდის“ ექიმებთან ერთად კლუბის პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** და მთავარი ვარსკვლავი **კრიშტიანო რონალდო** დაესწრნენ. პერესმა მედიკოსებთან ერთად პორტუგალიელი დაარწმუნა, რომ მან „ბარსელონასთან“ კოპა დელ რეის ფინალი გამოტოვოს და „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩებისთვის მოემზადოს. 29 წლის **რონალდოს** ბარძაყის ტრავმა სერიოზულ პრობლემას არ უქმნის, მის მოშუშებას მხოლოდ 10 დღე სჭირდება, პრობლემა მუხლის ტრავმაა, რომელიც გადაღლის გამო გამიზეზდა. ამიტომაც, „რეალის“ უფროსობამ გადაწყვიტა, რომ რონალდომ ესპანეთის თასის ფინალი უნდა გამოტოვოს. ხოლო კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** აღნიშნა, რომ მისი გუნდის ფეხბურთელებმა იციან, თუ როგორ უნდა მოიგონ რონალდოს გარეშე.

### კლოპი და როისი ბარსაში?

„ბარსელონა“ შთამბეჭდავ სეზონს ვერ ატარებს და ბევრს ამაში დამნაშავედ **ხერარდო მარტინო** მიაჩნია, რომელიც დიდი ალბათობით დატოვებს კიდეც „კამპ ნოუს“. პრესაში კი უკვე ვრცელდება არგენტინელის შესაძლო შემცვლელთა სია. კანდიდატებს შორის ყველაზე ხშირად „დორტმუნდის“ თავკაცზე **იურგენ კლოპზე** საუბრობენ, რომელიც ფანების სიმპათიასაც იმსახურებს. გარდა ამისა, საუბარია **იოაჰიმ ლიოვზე** (გერმანიის ნაკრები), **ერნესტო ვალვერდეზე** („ბილბაო“), **ლუის ენრიკეზე** („სელტა“), **ანდრე ვილაშ-ბოაშზე** („ზენიტი“) და ცხადია, **დიეგო სიმეონეზე** („ატელტიკო“). კლოპის პარალელურად, „ბარსელონა“ „დორტმუნდის“ ლიდერის **მარკო როისის** შეძენითაც ყოფილა დაინტერესებული და კატალონიელები მზად არიან 24 წლის გერმანელში მისი გამოსასყიდი თანხა 35 მილიონი ევრო გადაიხადონ. შეგახსენებთ იმასაც, რომ ტატა მარტინოს კონტრაქტი 2015 წლის ივნისამდეა გათვლილი და თუ გუნდი მას სეზონის ბოლოს პოსტიდან გაათავისუფლებს, კომპენსაციის სახით 5 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

### ინტერს ტორესი აინტერესებს

მილანის „ინტერი“ **ფერნანდო ტორესისადმი** ინტერესს ადასტურებს. „ჩელსი“ თავდასხმის თითქმის მთლიანად გადახალისებას აპირებს და „ელ ნინიოს“ სარფიანად გასხვისებაზე უარს არ იტყვის. „ინტერი“ კი მთელი შემადგენლობის გადახალისებას გეგმავს და გუნდის ახალი პრეზიდენტი **ერიკ ტოჰირი** მზადაა სოლიდური თანხა დახარჯოს.

*„ტორესი ნამდვილად ერთ-ერთი იმათგანია, ვინც გვაინტერესებს. ეს ჩვენმა პრეზიდენტმაც აღნიშნა. როდესაც დრო მოვა, აუცილებლად გაიგებთ იმ ფეხბურთელების შესახებ, რომელიც გუნდს უნდა“* - თქვა „ნერაძურის“ გენერალურმა დირექტორმა **მარკო ფასონემ**.

### ჯეტრო ვილემსი მუნდიალზე ვერ ითამაშებს

ახალგაზრდა ჰოლანდიელი მცველი **ჯეტრო ვილემსი** სერიოზულად დაშავდა და სამწუხაროდ, არათუ ამ სეზონში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი ველარ ითამაშებს. პსვ-ს 20-წლის ფეხბურთელმა ტრავმა „ფეიენოორდთან“ მატჩში მიიღო, მან მუხლი დაიზიანა და რამდენიმე თვე უიქმებს.

*„ჯეტრო ვილემსი ამ სეზონში გუნდს ველარ დაეხმარება, მან მუხლის ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვე გაუცდება. იგი უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადება“* - ნათქვამია ეინდჰოვენელთა ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ აქამდე **ლუის ვან გაალის** ჰოლანდიის ნაკრებმა უკვე დაკარგა „რომას“ ნახევარმცველი **კევინ სტროოტმანი**, რომელსაც ასევე მუხლის ტრავმა აქვს.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მილანი

# გალიანი: ევროპალიგაზე უნდა ვითამაშოთ

## პატარა ფარაონი მილანურ დერბიში დაბრუნდება?



ადრიანო გალიანი ევროპალიგის საგზურს უმიზნებს

პირველად მიმდინარე სეზონში, „მილანმა" ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. **კლარენს ზეედორფის** გუნდმა მერვე ადგილზე აინაცვლა და ევროპალიგის ზონას მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება. არადა, სულ ახლო წარსულში, ლომბარდიული გრანდი ცხრილის ქვედა ნაწილში იყო და უფრო გადარჩენისთვის იბრძოდა, ვიდრე ევროზონაში მოსახვედრად. მეორე საქმეა, რომ ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე მოხვედრა ფინანსურად თითქმის არაფერს იძლევა და ხშირად ამბობენ, რომ ამ ტურნირზე ასპარეზობას გრანდები ერიდებიან და ამჯობინებენ, ეროვნულ ჩემპიონატზე მოახდინონ კონცენტრაცია.

ევროპალიგაზე თამაში სეზონის ადრე დაწყებას ნიშნავს, რაც გრანდებისთვის დამატებითი პრობლემაა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, „მილანი" სწორედ ამ ტურნირზე ლამობს მოხვედრას - აი, რა პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის**:

*„ჩვენ უნდა მოვხვდეთ ევროპალიგაზე და ეს განურჩევლად იმისა, რას შეიძლება ველოდოთ ფინანსურად ამ ტურნირისგან. დიახ, უნდა დავიწყოთ სეზონი 31 ივლისს და ჩავებათ ამ მეტად მნიშვნელოვან გათამაშებაში. ევროპალიგის გამო ამერიკულ ტურნეს გავაუქმებთ, რაც დიდ ფინანსებზე უარის თქმას ნიშნავს, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა. „მილანმა" უნდა ითამაშოს ევროარენაზე და რაც მთავარია, წარმატებას მიაღწიოს. იტალიური საკლუბო ფეხბურთი რეგრესირებს და უეფას რეიტინგში მეოთხე ადგილის დაკარგვის საფრთხის წინაშე ვართ - ასეთ დროს, ევროარენაზე წარმატებული ასპარეზობა გვმართებს და არა ხარჯების დაზოგვაზე ფიქრი".*

### ელ შაარავის ელირსა

ამასობაში, **სტეფან ელ შაარავი** გამოჯანმრთელდა და ინდივიდუალურად ვარჯიშს შეუდგა. „პატარა ფარაონმა" მძიმე ტრავმა გადაიტანა და გარკვეული პერიოდი სრულფასოვნად ვერ დაიტვირთება. ადრიანო გალიანიმ ამ თემაზეც გააკეთა მოკლე კომენტარი:

*„სტეფანი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ჯერჯერობით, მისი მოედანზე შეყვანა ნაადრევია. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, სერია A-ს ბოლო ორ ტურში იასპარეზებს და შესაძლოა, კიდევ უფრო ადრე, „ინტერსაც" დაუპირისპირდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ სეზონის დასკვნით ნაწილში სტეფანი დიდ სარგებელს მოგვიტანს".*

**ლაშა წიკლაური**

● პერსონა

# მაესტროს ორი მუნდიალი

## და მარადიული სიყვარული

12 აპრილს, **მარჩელო ლიპი** 66 წლის გახდა და ბუნებრივია, იტალიურ სპორტულ პრესაში მასზე ბევრი სტატია თუ მისალოცი წერილი დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ ლიპის დამოძღვრილმა იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა 2010 წლის მუნდიალი პირწმინდად ჩააგდო, აპენინებზე ის მაინც განსაკუთრებულად უყვართ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან მარჩელომ „სკუადრა აძურა" მეოთხედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი. ეს ამბავი 2006 წელს მოხდა და მას შემდეგ, ლიპის ასეთი ეპითეტი აქვს: „მაესტრო"...

დღეს, ლიპი ჩინური გუნდის, „გუანჯოუ ევერგრანდის" მთავარი მწვრთნელია და ტიტულებსა და ეპითეტებს უკვე აზიაში იხვეჭს. „კორიერე დელო სპორტი" „მაესტროს" სწორედ ჩინეთში დაუკავშირდა და საინტერესო თემებზე ესაუბრა.

### იუვენტუსი

არაერთ გუნდში მიმუშავია, მაგრამ ჩემი საკლუბო კარიერა „იუვენტუსთან" ასოცირდება. შეიძლება ითქვას, რომ „ვეკია სენიორა" ჩემი მარადიული სიყვარულია. ტურინულ გრანდში რვა წელი ვიმუშავე და არაერთი ტიტული მოვიგე. 5-ჯერ სკუდეტოს დავეუფლეთ, 1996 წელს კი ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვეთ. როდესაც ტურინულ პერიოდს ვიხსენებ, სიამაყით ვივსები. თითქოს, ჩვენ ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილნი. „იუვეში" უამრავ ბრწყინვალე ფეხბურთელს ვწვრთნიდი, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული **ჯანლუიჯი ბუფონი** და **ალესანდრო დელ პიერო** იყვნენ. ორი პროფესიონალი, რომლებიც სამაგალითონი იყვნენ თითოეული ფეხბურთელისთვის. ბედნიერი ვარ, რომ მათთან მუშაობის საშუალება მომეცა.

### კონტეს იუვე

**ანტონიო კონტეს** „იუვენტუსი" ძალიან მომწონს და ვფიქრობ, რომ ეს გუნდი მომწიფებულია ევროპაში გაიბრწყინოს. თვითონ კონტე ჩემს ახალგაზრდობას მაგონებს, მასსავით შემართული ვიყავი და ფეხბურთელებს თითოეულ შეხვედრაში მაქსიმუმს ვთხოვდი.

იმედია, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში „იუვეს" მესვეურები წამყვან ფეხბურთელებს შეინარჩუნებენ და ახალ მოთამაშეებსაც დაიმატებენ. ვიცი, რომ **პოლ პოგბაზე** დიდი მოთხოვნაა და ჩემი ღრმა რწმენით, მისი გაშვება არაფრით არ შეიძლება. პოგბა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია, რომელსაც მომატებაც შეუძლია. ვფიქრობ, თავად პოლსაც უნდა ესმოდეს, რომ „იუვეში" დარჩენა მის კარიერასაც წაადგება.

### ორი მუნდიალი

ყოველთვის გამარჯვებული ვერ იქნები და ამაში ცხოვრებამ არაერთხელ დამარწმუნა. 2006 წელს ყველაფერი კარგად აეწყო, ჩემი ყველა ჩანაფიქრი იდეალურად შესრულდა და საბოლოოდ, ტრიუმფატორები გავხდით, ოთხი წლის შემდეგ კი არაფერი გამოგვივიდა შესაძლოა, შემადგენლობის შერჩევისას შევცოდე და მართლაც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი დავტოვე სახლში, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ იმ გუნდს ჯგუფიდან გასვლა არ შეეძლო. უბრალოდ, არის მომენტები, როდესაც არაფერი გამოგდის - იმ ჩემპიონატზე იტალიას გამარჯვება არ ეწერა.

რას ვურჩევდი **ჩეზარე პრანდელის**? - „აძურას" თავკაცი საქმეს კარგად უძლვება და ზედმეტი რჩევები არ სჭირდება. ჩვენ სხვადასხვა ხედვა გვაქვს - მე ტაქტიკას ვარგებდი ფეხბურთელებს, ის კი ფეხბურთელებზე არგებს ტაქტიკას - მინდა მას წარმატება ვუსურვო და დავიტოვო იმედი, რომ ბრაზილიაში იტალია ღირსეულად წარსდგება.

**ლაშა წიკლაური**



მარჩელო ლიპი

● იტალიის ნაკრები



იტალიის ნაკრები ბრაზილიაში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს

# სკუადრა აძურა ფლუს წინააღმდეგ

ფედერკალჩოსმიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც 8 ივნისს იტალიის ეროვნული ნაკრები ამხანაგურად ბრაზილიურ გუნდ „ფლუმინენსეს" შეერკინება, ეს ამბავი კი ქალაქ ვოლტა როდონდაში მოხდება. ნაკრების და კლუბის დაპირისპირება უჩვეულო ამბავია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ასეთი რამეებიც ხდება.

აქვე ვთქვათ, რომ იტალიის ნაკრები მუნდიალზე პირველ შეხვედრას 14 ივნისს, ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან გამართავს და გამოდის, რომ „ფლუმინენსესთან" ჯახი გენერალური რეპეტიცია იქნება. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კიდევ ერთი მატჩის ორგანიზებაზე მუშაობს, რომელიც „ფლუმინენსესთან" პაექრობამდე ასევე ბრაზილიაში გაიმართება.

**ლაშა წიკლაური**

● ტორინო

# ჩერჩი ტოროში ბედნიერია

## თუმცა, წასვლას არ გამორიცხავს



ალესიო ჩერჩი ბრწყინვალე სეზონს ატარებს

მიმდინარე სეზონში, „ტორინო" კარგად ასპარეზობს და ევროსაგზურისთვის იბრძვის, ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი კი **ალესიო ჩერჩია**. 26 წლის შემტევს 13 გოლი აქვს გატანილი და 9 საგოლე პასი გაკეთებული, რაც უდავოდ შესანიშნავი შედეგია. იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად იწერება, რომ ალესიოს გადაბირებით იტალიური გრანდები არიან დაინტერესებულნი, კერძოდ, „მილანი" და „რომა". ცნობისთვის, ჩერჩი „რომას" აღზრდილია და 2002-2010 წლებში სწორედ ამ გუნდში ასპარეზობდა. „ტორინოდან" შესაძლო აბარგებაზე კომენტარი თავად ჩერჩიმ გააკეთა:

*„ჩემს შესაძლო წასვლაზე პრესაში ბევრი იწერება, მაგრამ ჯერჯერობით, ეს საკითხი არ არის აქტუალური. ტურინში თავს იდეალურად ვგრძნობ, აქ მეორე ოჯახი ვიპოვე და ჩემი წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა. თუმცა, ეს საკითხი მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არაა და თუ კლუბი სარფიან წინადადებას მიიღებს და სურვილიც იქნება გასხვისების, არც მე გამოვიდებ თავს. ისე მოვიქცევი, როგორც „ტორინოსთვის" იქნება უკეთესი. კლუბის პრეზიდენტთან იდეალური ურთიერთობა მაქვს, დავჯდებით, დავილაპარაკებთ და ყველაფერს გადავწყვეტთ".*

**ლაშა წიკლაური**

### იტალია

**უდინეზე-იუვენტუსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჯოვინკო (16), 0:2 ლორენტე (26).

**უდინეზე (3-5-2):** სკუფეტი – დომიცი, დანილო, ერტო – ბასტა, პერეირა, იებდა (70. მურიელი), ალანი, გაბრიელ სილვა – ფერნანდესი - დი ნატალე (79. ლოპესი).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – კასერესი, ოგბონა, კიელინი – ლიხტშტაინერი (75. ისლა), პოგბა, პირლო, მარკიზიო, ასამოა – ჯოვინკო (82. ვუჩინიჩი), ლორენტე (85. ოსვალდო).

**გაფრთხილება:** ერტო – ლიხტშტაინერი, ოგბონა.

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 5-9(3-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 33 | 28 | 3 | 2 | 71-22 | 87 |
| 2. რომა | 33 | 24 | 7 | 2 | 68-19 | 79 |
| 3. ნაპოლი | 33 | 20 | 7 | 6 | 63-35 | 67 |
| 4. ფიორენტინა | 33 | 17 | 7 | 9 | 56-36 | 58 |
| 5. ინტერი | 33 | 13 | 14 | 6 | 55-25 | 53 |
| 6. პარმა | 33 | 13 | 12 | 8 | 53-42 | 51 |
| 7. ტორინო | 33 | 13 | 9 | 11 | 49-42 | 48 |
| 8. მილანი | 33 | 13 | 9 | 11 | 50-44 | 48 |
| 9. ლაციო | 33 | 13 | 9 | 11 | 44-44 | 48 |
| 10. ატალანტა | 33 | 14 | 4 | 15 | 38-44 | 46 |
| 11. ვერონა | 33 | 14 | 4 | 15 | 50-57 | 46 |
| 12. სამპდორია | 33 | 11 | 8 | 14 | 40-49 | 41 |
| 13. ჯენოა | 33 | 10 | 9 | 14 | 36-43 | 39 |
| 14. უდინეზე | 33 | 11 | 5 | 17 | 35-46 | 38 |
| 15. კალიარი | 33 | 7 | 12 | 14 | 31-45 | 33 |
| 16. კიევო | 33 | 8 | 6 | 19 | 30-49 | 30 |
| 17. ბოლონია | 33 | 5 | 13 | 15 | 27-51 | 28 |
| 18. ლივორნო | 33 | 6 | 7 | 20 | 36-64 | 25 |
| 19. სასუოლო | 33 | 6 | 7 | 20 | 32-62 | 25 |
| 20. კატანია | 33 | 4 | 8 | 21 | 24-58 | 20 |

**ბომბარდირები:** 19 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 – ლუკა ტონი (ვერონა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 15 – როდრიგო პალასიო (ინტერი); 14 – ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა); 13 – ფერნანდო ლორენტე (იუვენტუსი), მატია დესტრო (რომა), მარიო ბალოტელი (მილანი)

### ესპანეთი

**ლა ლიგა. XXXIII ტური**

**ბილბაო-მალაგა 3:0**

**გოლები:** 1:0 ადურისი (4), 2:0 ადურისი (46), 3:0 ანდერი (62)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ლაპორტი, სან ხოსე, ბალენსიაგა - იტურასპე, მორანი (85. ეჩეიტა) - სუსაეტა (86. ალბიზუა), ანდერი (77. ეჩებარია), მუნიაინი - ადურისი

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - ელიზეუ, ანხელერი, ველიგტონი, ანტუნეში - კამაჩო, დარდერი - ხუანმი, პ. პერესი (46. იაკოვენკო), ამრაბატი (78. რესკალდანი) - სანტა კრუსი (78. პორტილიო)

**გაფრთხილება:** - პერესი, ველიგტონი, ხუანმი, იაკოვენკო

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 12-10 (6-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 33 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 33 | 26 | 4 | 3 | 72-22 | 82 |
| 2. რეალი | 33 | 25 | 4 | 4 | 94-32 | 79 |
| 3. ბარსელონა | 33 | 25 | 3 | 5 | 92-27 | 78 |
| 4. ბილბაო | 33 | 18 | 8 | 7 | 58-35 | 62 |
| 5. სევილია | 33 | 16 | 8 | 9 | 61-47 | 56 |
| 6. ვილიარეალი | 33 | 15 | 7 | 11 | 52-38 | 52 |
| 7. სოსიედადი | 33 | 14 | 9 | 10 | 56-50 | 51 |
| 8. ვალენსია | 33 | 12 | 8 | 13 | 46-46 | 44 |
| 9. ესპანიოლი | 33 | 11 | 8 | 14 | 37-42 | 41 |
| 10. ლევანტე | 33 | 10 | 10 | 13 | 30-41 | 40 |
| 11. მალაგა | 33 | 10 | 8 | 15 | 35-43 | 38 |
| 12. სელტა | 33 | 10 | 7 | 16 | 36-49 | 37 |
| 13. გრანადა | 33 | 11 | 4 | 18 | 30-46 | 37 |
| 14. ვალეკანო | 33 | 11 | 4 | 18 | 39-70 | 37 |
| 15. ელჩე | 33 | 8 | 11 | 14 | 27-44 | 35 |
| 16. ოსასუნა | 33 | 9 | 7 | 17 | 28-53 | 34 |
| 17. ვალიადოლიდი | 33 | 6 | 14 | 13 | 32-50 | 32 |
| 18. ხეტაფე | 33 | 8 | 7 | 18 | 29-51 | 31 |
| 19. ალმერია | 33 | 8 | 6 | 19 | 34-64 | 30 |
| 20. ბეტისი | 33 | 5 | 7 | 21 | 28-66 | 22 |

**ბომბარდირები:** 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 26 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 25 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 16 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

## პრემიერლიგას წარმოგიდგენთ europe-bet.com

ლივერპული-სიტი. გამოხმაურება

# რბოლა გრძელდება


ფილიპე კოუტინიოს დარტყმა და ანგარიში 3:2 ხდება

„ლივერპულმა" „სიტისთან" ისე ითამაშა, თითქოს სეზონის უკანასკნელ შეხვედრაში ირკვეოდა ჩემპიონის ბედი. მასპინძელმა სასწორზე დადო ყველაფერი და საბოლოოდ მიაღწია კიდეც სასურველ შედეგს. **ბრენდან როჯერსის** გუნდს რამდენიმე ფაქტორმა განსაკუთრებით შეუწყო ხელი. უპირველესად, **იაია ტურეს** ტრავმამ, რადგან რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ „სიტის" ვარსკვლავებით „გაძეძგილ" სათადარიგოთა სკამზე, **მანუელ პელეგრინის** ივუარელის შემცვლელი უბრალოდ არ ჰყავს და ვერც ეყოლება. მიზეზი, ცხადია, 30 წლის საყრდენის სათამაშო კლასია. ამას გარდა უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდა სტუმართა კაპიტანი **ვენსან კომპანი**. ბელგიელმა წააგო დუელი **მარტინ შკრტელთან** 2:0-ზე, ანგარიშის გათანაბრების შემდეგ კი პირადად ჩააბარა ბურთი მეტოქეს და საბოლოოდ მისცა წინ გასვლის საშუალება. შესაძლოა, ამ თემასაც ულტერნატივობის პრობლემასთან მივყავართ, რადგან 28 წლის ცენტრალურმა მცველმა წინა დღეს ვარჯიში ვერ ჩაამთავრა და ტურის ცენტრალური მატჩისთვის ბოლომდე მზად არც იყო.

მოდი, შევთანხმდეთ, საჩემპიონო რბოლა დასრულებული ჯერაც არ არის. „ლივერპულის" განწყობას ნამდვილად განსაკუთრებული ეთქმის და ამის დასტური იყო მატჩის დასრულების შემდეგ **სტივენ ჯერარდის** ემოციებიც. წინ ოთხი მატჩი და ოთხი ფინალიაო, გამოტყდა მერსისაიდელთა ლეგენდა. მთავარი ფინალი „წითლებს" 27 აპრილს „ენფილდზე" ელით. ამჯერად „ჩელსისთან". ლონდონელთა დამრიგებელი როჯერსის ყოფილი მასწავლებელია. სწორედ 27-ში ვნახავთ, ასწავლა თუ არა „განსაკუთრებულმა პორტუგალიელმა" შეგირდს ხეზე ცოცვა. იქამდე კი, მატჩის შემდგომ კომენტარებს გავეცნოთ.

**ბრენდან როჯერსი** (ლივერპული): „ცვლილებები არ გვჭირდება, რადგან მიუხედავად მეტოქის სახელისა, ყოველგვარი შიშის გარეშე ვთამაშობთ და არც სამომავლოდ მივცემთ საკუთარ თავს უფლებას, რომ მუხლები აგვიკანკალდეს. წინ კიდევ ოთხი ტურია, ასე რომ, დარჩენილი 12 ქულისთვის დიდი ბრძოლა მოგვიწევს. მართალია, კონკურენტებთან სოლიდური სხვაობა არ გვაქვს, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, საკუთარ თამაშზე მოვახერხოთ კონცენტრაცია. ზედიზედ მეთერთმეტე მოგებისთვის დიდი ძალისხმევა გვმართებს. შესვენების შემდეგ ველოდით კიდეც, რომ მეტოქე თამაშში დაბრუნდებოდა, რადგან „სიტი" კარგი გუნდია ძლიერი მწვრთნელით. პირველი გოლის შემდეგ მათ ირწმუნეს საკუთარი ძალების, მეორე გოლზე კი ცოტა გაუმართლათ კიდეც. ამის მერე საჭირო იყო სათამაშო სქემის შეცვლა, რათა ფლანგებზე მეტოქის აქტიურობა რამენაირად ჩაგვეცხრო. გამარჯვების გოლით დავამტკიცეთ, რომ ძლიერი ხასიათი გვაქვს და შეგვიძლია ამის ხარჯზე მეტოქის გატეხვა".

**სტივენ ჯერარდი** (ლივერპული): „ვფიქრობ, სეზონში საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენეთ, მეტიც, პირველ 30-35 წუთში იმდენი მოვახერხეთ, რომ ლიგის ყველაზე ძლიერი გუნდი მოედანზე არც ჩანდა. ამ მონაკვეთში 4-5 ბურთის გატანა შეგვეძლო. ლიგის საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ 2:0-ის შემდეგაც არასოდეს მიფიქრია, რომ ეს ანგარიში შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო. უპირატესობა გავანიავეთ, თუმცა, მადლობა ღმერთს, საბოლოოდ სასურველი შედეგი მაინც მივიღეთ. კარიერის განმავლობაში მინახავს აღმაფრენაც და დაცემაც. ამჟამად ერთ-ერთ საუკეთესო ეტაპზე ვარ და ყოველი წუთით ვტკბები. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ისევ 21 წლის ვარ. წინ ალბათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი თვე მელოდება. საბოლოო წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია. „სიტისთან" მოგება ნამდვილად ხმამაღალი განაცხადი იყო ჩემპიონობაზე, თუმცა ყველაფრის მიუხედავად სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და მუშაობა ძველებურად განვაგრძოთ".

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი): „ეს იყო შეტევაზე ორიენტირებული გუნდების ულამაზესი დაპირისპირება, რომელშიც მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით. მეტოქემ ძალიან კარგად დაიწყო. ანგარიში [illegible], შემდეგ მეორეც შეაგდო. საკუთარ მოედანზე, თანაც ორბურთიანი სხვაობის ფონზე თამაში ყოველთვის იოლია. პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთი და თითქმის მთელი მეორე ტაიმი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. არათუ ანგარიშის გათანაბრება, წინ გასვლაც შეგვეძლო. ფეხბურთში იღბალი და შეცდომა ხშირად ბევრს წყვეტს. სწორედ ჩვენი შეცდომების ხარჯზე იმარჯვა „ლივერპულმა". ცვლილებების შემდეგ რამდენიმე რეალური შანსი გავუშვით ხელიდან. მინიოლემ ფერნანდინიოსა და კომპანის საოცარი ბურთები აულო. ბოლო წუთებზე პენალტიც გვეკუთვნოდა, როცა შკრტელმა საჯარიმოდან ბურთი ხელით გამოიტანა. ამით ნამდვილად არ მინდა იმის თქმა, რომ კლატენბერგსა და მის ასისტენტებს რამეს ვაბრალებ. „ლივერპულს" უახლოეს მომავალში „ჩელსისთან" თამაში ელის, ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, რომ საჩემპიონო რბოლა დასრულებულია. ჩვენ ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას, რადგან ჯერ კიდევ არავინ იცის, რა მოხდება".

### ტრავმები

„ენფილდზე" XXXIV ტურის ცენტრალური შეხვედრის მიმდინარეობისას მეტოქეთა ბანაკიდან თითო ფეხბურთელმა მიიღო ტრავმა. მე-19 წუთზე შესაცვლელი შეიქნა იაია ტურე, ვინც მუხლის ტრავმა კარში დარტყმისას მიიღო. ფეხბურთელი რამდენიმე წუთი ცდილობდა ტკივილთან გამკლავებას, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდა და მოედანზე ადგილი **ხავი გარსიას** დაუთმო. ივუარელის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საბოლოო პასუხს ექიმები უახლოეს დღეებში გამოაცხადებენ, იქამდე კი პესიმისტური პროგნოზები ვრცელდება.

მეორე ტაიმში ბარძაყის კუნთი დაიჭიმა მასპინძელთა თავდამსხმელმა **დენიელ სტარიჯმა**. წინასწარი ინფორმაციით, ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს.

ჩელსი. გამოხმაურება

# გარემოებები ლურჯების სამსახურში


„სუონსი"-"ჩელსის" შეხვედრაში მოჰამედ სალაჰი (ბურთით) ერთ-ერთი საუკეთესო იყო

სუონსის „ლიბერთი სტედიუმზე" „ჩელსიმ" ძალიან ცუდად ითამაშა, თუმცა ამ ფონზეც კი მოახერხა 3 ქულის აღება. **ჟოზე მოურინიოს** გუნდს ამაში ხელი შეუწყო **ფილ დაუდმა**, ვინც შეხვედრის მე-16 წუთზე **ჩიკო ფლორესი** გააძევა. ესპანელმა ცენტრალურმა მცველმა **ვილიანის** წინააღმდეგ მოედნის ცენტრში დაარღვია თამაშის წესი, ზუსტად ორ წუთში კი **ანდრე შიურლე** საჯარიმოს მისადგომებთან ძირს დასცა. შესაძლოა, ფეხბურთელი ცალკე ორივე შემთხვევაში იმსახურებდა გაფრთხილებას, მაგრამ მით უფრო მეორე დარღვევის შემდეგ გაძევება მეტისმეტად მოგვეჩვენა. არბიტრმა საჯარიმო დანიშნა და მხოლოდ „ჩელსის" ფეხბურთელთა მხრიდან ზეწოლის შემდეგ გადაწყვიტა მეორე ყვითლის ჩვენება, რამაც კიდევ უფრო მეტი შეკითხვები გააჩინა. „დიახ, ველაპარაკე დაუდს და ვუთხარი, რომ ჩემი აზრით მეტოქე წესს უხეშად არღვევდა. დროის მოკლე მონაკვეთში ორი უხეშობა უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს, მიუხედავად იმისა, შეხვედრის დაწყებიდან რამდენი წუთია გასული. მსაჯმა ასე გადაწყვიტა და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის აზრს," - განაცხადა თამაშის დასრულების შემდეგ **ჯონ ტერიმ**. მოურინიოს თხოვნით, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მისი ასისტენტი **სტივ ჰოლანდი** გამოცხადდა და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

„სტუმრად „სუონსისთან" თამაში იოლი არასოდეს ყოფილა. გეტყვით, რომ „ჩელსისთან" ერთად აქ მეოთხედ ვარ და პირველად მივდივარ გამარჯვებულის რანგში. მეტოქე რთულია, რადგან მისი ტაქტიკა ბურთის ფლობაზეა დამყარებული, რის გამოც განსაკუთრებული ფიზიკური მომზადება გჭირდება. ბურთის ფლობისა და მებრძოლი ხასიათის შერწყმა, მით უმეტეს ჩემპიონთა ლიგის დამღლელი მატჩის შემდეგ, ემოციური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამოცანას კიდევ უფრო ართულებს. მიმაჩნია, რომ მსაჯმა ჩიკოს ორივე ეპიზოდი ლოგიკურად განსაჯა, რამაც „სუონსის" პოტენციალზე სერიოზულად იმოქმედა. ბამ ზედიზედ მეორე შეხვედრაში მოგვაგებინა. უზარმაზარი შრომის ხარჯზე მან დაიმსახურა ამხელა პატივი, რადგან ყოველდღიურად დიდ დროს უთმობს ინდივიდუალურ ვარჯიშს.

„ლივერპულის" გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატში სიტუაცია ჩვენთვის განსაკუთრებულად არ შეცვლილა. ცხრილის ლიდერები იმდენად ძლიერად გამოიყურებიან, რომ ჩემპიონატის ბოლო ტურებში ფანტასტიკურ ბრძოლებს უნდა ველოდოთ. სამწუხაროა, რომ რიგი წარუმატებლობების შემდეგ ჩემპიონის ვინაობის გარკვევა ჩვენზე დამოკიდებული უკვე აღარ არის".

ამბები


ლუკ შოუ

### 35 მილიონი ორ წმინდანში

„დეილი ექსპრესის" ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედს" „საუთჰემპტონიდან" ორი ფეხბურთელის გადაბირება უნდა, ლაპარაკია **ლუკ შოუსა** (18 წლის, მარცხენა მცველი, კონტრაქტი 2018 წლამდე) და **ადამ ლალანაზე** (25 წლის, მარცხენა ნახევარმცველი, კონტრაქტი 2018 წლამდე). გამოცემა ამტკიცებს, რომ ექსჩემპიონთა დამრიგებელმა ხელმძღვანელობას უკვე მოსთხოვა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებზე მოლაპარაკებების დაწყება. „ეშმაკები" მზად არიან, ორივე ტრანსფერში ერთად 35 მილიონი ფუნტი გადაიხადონ.

### ინგლისელთა ჰოლანდიელი სამიზნეები

ჰოლანდიური „დე ტელეგრააფის" ინფორმაციით, კვირას „ეინდჰოვენი"-"ფეიენოორდის" შეხვედრას (0:2) „არსენალის", „ლივერპულისა" და „ევერტონის" წარმომადგენლები დაესწრნენ. ისინი როტერდამელთა ფეხბურთელებს, 22 წლის ცენტრალურ მცველ **სტეფან დე ვრეისა** და მარჯვენა მცველ **დარილ იანმაატს** აკვირდებოდნენ. **რონალდ კუმანმა** ლიდერები ძირითადში დააყენა და არც უნანია. უკანასკნელმა შეხვედრის 76-ე წუთზე **გრაციანო პელეს** გადაცემით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელებს კლუბთან კონტრაქტები 2015 წლის ზაფხულამდე აქვთ გაფორმებული და თანამშრომლობის გაგრძელებაზე მოლაპარაკებები ჯერაც არ დაუწყიათ.

არსენალი. გამოხმაურება

# გამარჯვების ძვირი ფასი


„არსენალის" ლაზარეთს „უიგანთან" თამაშის შემდეგ ახალი ხალხი შეემატა, მათ შორის ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი (მარჯვნივ)

„არსენალსა" და **არსენ ვენგერს** პრემიერლიგაში ჩაგდებული კიდევ ერთი სეზონის შელამაზება ასოციაციის თასზე გამარჯვებით შეუძლიათ. „უიგანთან" 1/2-ფინალში მოგებამ „მეთოფეები" მარტო ფიზიკურად კი არა საკადრო თვალსაზრისითაც გამოფიტა. ჯერ კიდევ უქმეებამდე ტრავმირებულ ფეხბურთელებს **ნაჩო მონრეალი, კირან გიბსი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, აარონ რემსი** და **ლუკას პოდოლსკი** დაემატნენ. დღეს საღამოს ამ ფეხბურთელების თამაში XXXIV ტურის შეხვედრაში „ვესტ ჰემთან" კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. „დაწვრილებით ტრავმირებულ ფეხბურთელებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ არაფერიც არ გარკვეულა. ამ ეტაპზე ძნელია დარწმუნებით ითქვას, საქმე გვაქვს ბანალურ გადაღლილობასთან თუ კუნთის პრობლემებთან. მეორე მხრივ ველოდებით რამდენიმე ტრავმირებულის დაბრუნებასაც. მაგალითად როსიცკის. საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რა შემადგენლობით ვითამაშებთ ლონდონურ დერბიში, მოგვიანებით მივიღებთ," - განაცხადა არსენ ვენგერმა და იქვე დასძინა, რომ: „თამაშის დასრულების შემდეგ უკვე შემიძლია მშვიდად ამოვისუნთქო, რადგან გუნდმა უზარმაზარი ტვირთი მოიხსნა ბეჭებიდან. „უიგანმა" ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა."

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ალეხანდრო საბელია

# არგენტინის მტერი არგენტინაა

**არგენტინის** ნაკრები ბრაზილიაში გასამართი მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. თუმცა ნაკრებს აქვს გარკვეული ხარვეზები და ამაში მთავარ დამნაშავედ ბევრი ნაკრების თავკაც ალეხანდრო საბელიას მიიჩნევს, რომელზედაც დიდი ზეწოლაა და მას კრიტიკოსები არ აკლია. თუმცა თავად 59 წლის სპეციალისტი თავს ძალიან მშვიდად და თავდაჯერებულად გრძნობს, იგი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება და საკუთარი მოსაზრებები fifa.com-ს გაუზიარა



ალეხანდრო საბელია და ლეო მესი

**- გულწრფელად გვითხარით, არ ნერვიულობთ მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად?**

- ზედმეტად წინ ყურება არ მიყვარს. ჯერ შესარჩევ მატჩებზე და ბრაზილიაში მოხვედრაზე ვიყავი კონცენტრირებული. შემდეგ, უშუალოდ ბოლო ორ შეხვედრაზე პერუსთან და ურუგვაისთან. ამის მერე წილისყრაზე და ამხანაგურ მატჩებზე. ამიტომ, მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ ახლა ალბათ ცოტა უფრო მეტად ვნერვიულობ.

**- ოჯახის წევრებსა და მეგობრებს თუ ესაუბრებით მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- ნაკლებად. სახლში საქმეზე ლაპარაკი არ მიყვარს და ოჯახის წევრები ხმას მიწყობენ, რადგან იციან, თუ რამხელა ზეწოლაა ჩემზე. სახლშიდაც მუშაობა უფრო აქტიურად მაშინ გიწევს, როდესაც კლუბის მწვრთნელი ხარ. ახლა კი უქმეებს ხშირად მშვიდად ვატარებ ოთახში, ტელევიზორის წინ და მატჩს-მატჩზე ვუყურებ, სავარძელი მწყობრიდან გამომყავს (იცინის). იგივე სიტუაციაა ჩემს მეგობრებთან ერთადაც, მათ იციან, რომ, როდესაც სახლში ვარ, განტვირთვა მჭირდება.

**- ხალხი არგენტინის ნაკრებზე სხვადასხვა რამეს ამბობს. ზოგიერთის აზრით, გუნდი ძალიან იოლ ჯგუფშია, ხოლო ზოგი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ადვილი მეტოქეები არ არსებობენ. ამ ორი მოსაზრებიდან თქვენ რომელს ემხრობით?**

- არსებობს მესამე ვარიანტიც, სადღაც ამ ორს შორის მყოფი. ჩვენ საკუთარი თავის ყველაზე დიდი მტრები ვართ. თუ კარგ თამაშს ვაჩვენებთ, ჯგუფის სათავეში უპრობლემოდ აღმოვჩნდებით, მაგრამ თუ 100%-ით მობილიზებულნი არ ვიქნებით, ყველა გუნდი გაგვირთულებს ცხოვრებას და შეიძლება გაგვიჭირდეს.

**- რას გრძნობთ, როდესაც თქვენი ნაკრების წევრი ფეხბურთელების მატჩებს უყურებთ თავიანთ კლუბებში?**

- ვნერვიულობ! მატჩებს ჩემი შტაბის წევრებთან ვანაწილებ, რადგან ბევრი შეხვედრა ერთდროულად იწყება. უპირველეს ყოვლისა, ვაკვირდებით და ვიმედოვნებთ, რომ არც ერთი მათგანი არ დაშავდეს. როდესაც ნაკრების წევრი რომელიმე მოთამაშე ეცემა, ერთი სული მაქვს, როდის წამოდგება იგი. მათთან ერთად განვიცდი ხოლმე. მიხარია თითოეულის კარგი თამაში, მაგრამ მთავარია არავინ არ მიიღოს ტრავმა.

**- როდესაც ასე დაძაბული უყურებთ მატჩებს, ალბათ, სიამოვნების მიღება ძნელია...**

- მე სიამოვნებას ისეთი მატჩების ყურებისას ვიღებ, რომლებშიც არც ერთი ნაკრების წევრი არ თამაშობს.

**- ტრავმის რისკი ყოველთვის არის და ეს კითხვა ბევრს უჩნდება - აქვს არგენტინას ერთგვარი სათადარიგო გეგმა, ლიონელ მესის დაშავების შემთხვევაში?**

- სათადარიგო გეგმა ყოველთვის უნდა გქონდეს. არ დაგვავიწყდეს, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთელებზე ვსაუბრობთ და ხშირად „გეგმა B" „გეგმა A"-ს მაგვარია, რადგან შესაბამისი შემცვლელები გყავს. ხოლო თუ ეს ასე არ არის, მაშინ უკვე სიტუაციასთან ადაპტაცია გიწევს.

**- გყავთ მესის შესაბამისი შემცვლელი?**

- ჩვენ გვითამაშია ლეოს გარეშე, მაგრამ ფაქტია ის, რომ იგი შეუცვლელია. მსოფლიოში არ არსებობს ნაკრები ან კლუბი, რომელიც მესისთან ერთად და მის გარეშე ერთნაირად ითამაშებდა. ჩვენ მისი იმედი გვაქვს, მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ რომელიმე მატჩში დაგვაკლდება, რამე უნდა მოვიფიქროთ. მაგალითად, რომში იტალიასთან მესი არ გვყავდა და არც სერხიო აგუერო იყო, მაგრამ ადაპტირება შევძელით და ცუდად არ გვითამაშია. მსგავსი რამ რომ განმეორდეს, არ გვინდა, მაგრამ თუ განმეორდა, მზად უნდა ვიყოთ.

**- რას გრძნობდით, როდესაც მესიმ ახლახან ტრავმა მიიღო?**

- მან ერთი თვე აქ გაატარა და ახლოდან ვაკვირდებოდი. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ხოლო როდესაც მომჯობინდა და თამაში განაახლა, ძალიან გამიხარდა.

**- ორი წლის წინ თქვენ გვითხარით, რომ კრიტიკა არ გაღელვებდათ, რადგან ეს სასარგებლოც კი არის, მაგრამ რას იტყვით დღეს, როდესაც სერიოზული კრიზისია და განსაკუთრებით დაცვის ხაზის?**

- ამის გამო დამწუხრებული არ ვარ, ეს გასაგებია. როდესაც დაცვას ადარებ იმ პოტენციალს, რომელიც თავდასხმაში გვაქვს, ცხადია დაცვის ხაზი უფრო სუსტად გამოიყურება. ვცდილობ, შენიშვნები გავაანალიზო და ზოგერთი შეიძლება სასარგებლოც იყოს, ზოგიერთი არა. თუმცა ყველაფერს ვერ მოვუსმენ და ვერ წავიკითხავ. მე ისევე ვარ, როგორც სხვები - რაღაც ნაწილს ვაქცევ ყურადღებას, რაღაც ნაწილს ნაკლებად.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს ნაკრებზე გაკეთებული ზოგიერთი განცხადება ზედმეტად მკაცრი, კრიტიკული და ხისტია?**

- არა, ეს შეფასება გადამეტებულად მიმაჩნია. ეს არგენტინის ნაკრებია და აქ საკლუბო დონეზეც იგივე ხდება, „ბოკაზე" და „რივერზე" სხვებზე მეტი საუბარია. ხოლო ნაკრების მთელ ქვეყანას აინტერესებს. თამაშის წესები ასეთია, ეს ყველაფერი ვიცოდი, სანამ პოსტზე მოვიდოდი.

**- მედიაში საუბრობენ იმაზეც, რომ კარლოს ტევესს ნაკრებში დაბრუნება ეკუთვნის. ამაზე რას იტყვით?**

- როგორც უკვე ვთქვი, მოსაზრებებს ვითვალისწინებ, ვაკვირდები და მერე ვიღებ გადაწყვეტილებას.

**- იგი იტალიაში კარგად თამაშობს, არა?**

- არ მიყვარს იმ ფეხბურთელებზე ლაპარაკი, რომლებიც ნაკრებში არ არიან. ეს ეხება ტევესსაც და სხვებსაც. თუმცა მესმის თუ რატომ ლაპარაკობენ მასზე უფრო მეტს, ვიდრე სხვებზე.

**- რას გთხოვენ ქუჩებში ფანები?**

- გარეთ ხშირად არ გავდივარ, მაგრამ როდესაც გავდივარ, არგენტინელი ხალხისგან ისეთ განწყობას ვხედავ, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე მოგვეგოს. მე გავიზარდე იმის მოსმენით, რომ მსოფლიოში საუკეთესოები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერს ვიგებდით. თუმცა ეს ნორმალურია, ჩვენ უბრალოდ ასეთები ვართ. ზოგჯერ გვგონია, რომ იმაზე უფრო უკეთესები ვართ, ვიდრე სინამდვილეში, მაგრამ რეალობა დედამიწაზე გვაბრუნებს ხოლმე. ზედმეტი თავდაჯერება კარგი არ არის. მუდმივად უნდა იმუშაო და მიწაზე მყარად იდგე.

**- წარმატება გაშინებთ?**

- წარმატება შეიძლება იყოს საშიში თუ რეალობის შეგრძნებას დაკარგავ. ყოველთვის ვცდილობ ვისწავლო წაგებისგან და მაინც წარმატების წყურვილით დავრჩე მოგების მერე. რასაკვირველია, ჯობია მუდამ იგებდე და იცოდე, წარმატება როგორ შეინარჩუნო.

**- გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორი სცენარი იქნება თქვენთვის საუკეთესო მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- შეიძლება უნდა მეფიქრა, მაგრამ ასე არ მომხდარა. შეიძლება მხოლოდ 2-3 წამი წარმოვიდგინე არგენტინა ფინალში. ვფიქრობ, რომ ახლა ჯობია გონება სხვა რაღაცებით მქონდეს დაკავებული.

**გიორგი პაპაბაძე**







ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი



მარცხნიდან: ოთარ ერანოსიანი, ალექსანდრე დოკვაძე, ჯემალ შალამბერიძე, ზაალ კვაჭატაძე, მიხეილ კაზანჯიანი და თორნიკე პურიჭამიაშვილი; დგანან დავით ნიკლაური, ბეჟან ჭიჭინავა, ედიკ მარდანოვი და თემურ ოჩიგავა.

# ექვსი ვარშავული ჯილდო

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა მოკრივეთა ფელიქს შტამმის სახელობის A კატეგორიის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი; მონაწილეობნენ 22 ქვეყნის წარმომადგენლები. საქართველოს სპორტულ ღირსებას ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **დავით ნიკლაურის** ხელმძღვანელობით 6 სპორტსმენი იცავდა. მათ ორი ოქროს, ოთხი ბრინჯაოს მედალი და გუნდური მესამე ადგილი დაიმსახურეს.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ახალქალაქელმა **ოთარ ერანოსიანმა** ოთხ მეტოქეს სძლია, მათ შორის ფინალში პოლონელ დამიან კირიოლს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსგავს წარმატებას მიაღწია **ზაალ კვაჭატაძემ** (თბილისი) 69 კილოში. გადამწყვეტ პაექრობაში მან ტაჯიკი ანავარ იუნუსოვი დაამარცხა. ხოლო მიხეილ **კაზანჯიანმა** (თბილისი, 49 კგ), **ჯემალ შალამბერიძემ** (ქუთაისი, 64) **ალექსანდრე დოკვაძემ** (რუსთავი, 91) და **თორნიკე პურიჭამიაშვილმა** (გორი, +91) მესამე ადგილები დაიკავეს. მაისის მიწურულს ეს მოკრივეები გერმანიისა და ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირებში მოსინჯავენ ძალებს.

■ ■ ■

გუშინ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დაიწყო ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 2014 წლის ნანჯინგის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების საგზურებიც თამაშდება. საქართველოდან რინგზე 7 მოკრივე გავა: **ლევან კლდიაშვილი** (ქუთაისი, 52), **უჩა მაისურაძე** (რუსთავი, 56), **ლაშა გურული** (რუსთავი, 60), **ნუკრი ადამია** (ფოთი, 64), **გიორგი ხარაბაძე** (რუსთავი, 69), **ბექა დანელია** (ფოთი, 75), **რატი ტლაშაძე** (გორი, 81). ჩვენი მორკრივეები შეჯიბრებაში დღეიდან ჩაებმებიან.

ვაჟა დანელია

● ჰოკეი

# ხუთი ნაგებით ბოლო ადგილზე



ლუქსემბურგში დამთავრდა ყინულის ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონის პირველობა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. გასულ უქმეებამდე ჩვენმა გუნდმა სამი შეხვედრა დათმო. ბოლო ორ ტურშიც დამარცხდა, შესაბამისად, მასპინძლებთან - 0:19 და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან - 1:6. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: საამიროები-ჩრდილოეთ კორეა 1:12, ჰონკონგი-ბულგარეთი 1:6, ბულგარეთი-კორეა 4:1, ლუქსემბურგი-ჰონკონგი 8:0.

| | თ | მ | დღ/მ | დღ/წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 0 | 48:13 | 15 |
| კორეა | 5 | 4 | 0 | 0 | 1 | 54:11 | 12 |
| ლუქსემბურგი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 43:16 | 9 |
| ჰონკონგი | 5 | 1 | 1 | 0 | 3 | 17:27 | 5 |
| საამიროები | 5 | 1 | 0 | 1 | 3 | 14:34 | 4 |
| საქართველო | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 3:78 | 0 |

ბულგარეთმა საგაისოდ II დივიზიონის B ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ვაჟა დანელია



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერანი კალათბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდის უცვლელი კაპიტანი და მწვრთნელი, საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, ი. ჯავახიშვილის სახელობის მედლის კავალერი, ჭეშმარიტი პატრიოტი, უსაყვარლესი ქალბატონი

**ლამარა გენგაშვილი**

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს*

● ბატუტზე ხტომა

# მხოლოდ ორი საგზურით

პორტუგალიურ გიმარაეშში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა 24-ე ევროპის ჩემპიონატი. ქართველთაგან საკვალიფიკაციო ეტაპზე თავი გამოიჩინეს 16-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონებმა სინქრონულ ხტომებში **ანა ოდიშვილმა** და **თეონა ჯანჯღავამ**, რომლებმაც 79.200 ქულით ყველას აჯობეს. სამწუხაროდ, ფინალში შეცდომა დაუშვეს და 14.100 ქულით მე-7 ადგილით დაკმაყოფილდნენ. 43.500 ქულით ჩემპიონობა ალინა კუზნეცოვამ და ანასტასია პოპოვამ (რუსეთი) დაიკავეს.

ინდივიდუალურ ხტომებში იყოჩალეს ახალგაზრდებს შორის თეონა ჯანჯღავამ და **ზურა ნოზაძემ**: ჯანჯღავა საკვალიფიკაციოზე 90.575 ქულით მეოთხე იყო, რითაც 2014 წლის მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების საგზური მოუპოვა საქართველოს. ნოზაძე საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-5 იყო. ფინალში ჩვენმა ახალგაზრდებმა საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს და, შესაბამისად, მე-8 და მე-7 ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

ახალგაზრდებში გოგონათა შორის **ქრისტინე სორდიამ** (86.375) 29-ე, **ანა ოდიშვილმა** (61.775) 51-ე ადგილები დაიკავეს, ხოლო ბიჭებში **ლაშა გავაშელი** (65.130) 49-ე იყო.

უფროსებში იყოჩალა **თენგიზ კოშკაძემ** - 66 მონაწილეს შორის მან 104.090 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა 2015 წლის ევროპის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად. 97.530 ქულით **გიორგი ფუტკარაძე** 36-ე ადგილზე გავიდა. ქალებში: 20. **თამარ კაკაშვილი** (90.265), 21. **ნანა გოგაშვილი** (90.250), 40. **ლუბა გოლოვინა** (63.755).

სინქრონულ ხტომებში 13. **ნანა გოგაშვილი, თამარ გოგაშვილი** (48.000) 14. თენგიზ კოშკაძე, გიორგი ფუტკარაძე (80.300).

ასე რომ, პორტუგალიიდან ჩვენი ბატუტზე მხტომელები უმედლოდ, მაგრამ ორი საგზურით დაბრუნდნენ.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

# შიაულიაიში ფედერაციის თასზე

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) წინა კვირის მაჩვენებლების გათვალისწინებით განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ქართველთაგან **სოფიო შაფათავამ** ბოგოტაში მიღწეული წარმატებით 15 საფეხურით წინ წაიწია. ამჟამად 290 ქულით მე-200 ადგილზეა. შემდეგ მოდიან: 308 (303). **ოქსანა კალაშნიკოვა** (149), 376 (377). **ეკატერინე გორგოძე** (108), 454 (453). **მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (81), 635 (639). **სოფიო ქვაცაბაია** (42), 1201 (1197). **მარიამ ბოლქვაძე** (5), 1263 (1251). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

**წყვილებში:** 50 (51). კალაშნიკოვა (1777), 165 (161). შაფათავა (415), 420 (425). გორგოძე (121), 447 (453). ქვაცაბაია (108), 769 (769). ჩახნაშვილი-რანცინგერი (3), 1265 (1264). ჭალაგანიძე (5), 1314 (1310). ბოლქვაძე (3).

საქართველოს ქალთა ნაკრები (სოფიო შაფათავა, ოქსანა კალაშნიკოვა, ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია, კაპიტანი - მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი, დელეგაციის ხელმძღვანელი **ლალი ზერეკიძე**) ამჟამად შიაულიაიში (ლიტვა) იმყოფება, სადაც 16-19 აპრილს ფედერაციის თასზე ევრო-აფრიკულ მეორე ზონაში ბოსნია-ჰერცეგოვინის, ეგვიპტის, ფინეთის, ლიხტენშტეინის, ლიტვის, ჩერნოგორიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებ გუნდებთან ერთად პირველი ზონის ორი საგზურისთვის ირძოლებს.



ალექსანდრე მეტრეველი

■ ■ ■

ვაჟთა ჩოგბურთში ასეთი მდგომარეობაა: ATP-ს კლასიფიკაციაში 5 ჩვენებურია: 310 (313). **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (145 ქულა), 844 (864). **ალექსანდრე მეტრეველი** (19), 1256 (1345). **გიორგი ჯავახიშვილი** (5), 1483 (1480). **გიორგი ცივაძე** (3), 2133 (2121). **მიხეილ ხმიადაშვილი** (1).

წინა კვირას ალექსანდრე მეტრეველმა ჩიმკენტში (ყაზახეთი) იყოჩაღა - ერთეულთა თანრიგში ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია, მათ შორის ფინალში სლოვაკ ფილიპ ჰორანსკის - 6:4, 6:3 და მთავარი პრიზი მოიპოვა, თან სარეიტინგო 19 ქულაც დაიმსახურა, რომელიც მომდევნო კვირას დაერიცხება. მეტრეველი ამჟამადაც ჩიმკენტში იმყოფება და ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს. პირველ წრეში მისი მეტოქე კვალიფიკაციიდან აღზევებული კუაიშვკ აბიევი (ყაზახეთი) იქნება.

საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით განვლეს გიორგი ჯავახიშვილმა და გიორგი ცივაძემ. ჯავახიშვილმა ადილ ელტაევს (ყაზახეთი) მოუგო - 6:0, 6:1, ცივაძემ კი ბოგდან იალიევი (ყაზახეთი) დაამარცხა - 6:2, 6:2, მთავარ ბადეში ისინი, შესაბამისად, იარასლაუ შილას (ბელარუსი) და რონალდ სლობოდჩიკოვს (რუსეთი) დაუპირისპირდებიან.

წყვილებში მეტრეველმა და დენის ევსეევმა (ყაზახეთი) მე-3 ნომრად განთესილ ვლადიმირ ივანოვსა (ესტონეთი) და ივან ნვედელკოსთან (რუსეთი) წააგეს - 7:6, 1:6, 3:10, ხოლო ცივაძე-ჯავახიშვილის დუეტმა ასპარეზობის მეორე ნომერ კირილ დმიტრიევსა და ანდრეი პლოტნისთან (ორივე-რუსეთი) დათმო პაექრობა - 7:6, 6:7, 5:10.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

# სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ხანტი-მანსიისკში გუშინ განახლდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის მე-4 ეტაპის შეხვედრები. მე-5 ტურში ექვსიდან მხოლოდ ორი პაექრობა გამოდგა შედეგიანი: სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა **ნანა ძაგნიძემ**, რომელმაც შავი ფიგურებით 98-ე სვლაზე აიძულა მონგოლი ტუვშინთუგს ბატჩიმეგი, დანებებულიყო. მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (ჩინეთი) თეთრებით ნაფისა მუმინოვასთან (უზბეკეთი) მსგავსი შედეგის მისაღწევად მხოლოდ 31 სვლა დასჭირდა. დანარჩენ პარტიებში დაზავდნენ: ჟაო სიუე (ჩინეთი)-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ოლგა გირია (რუსეთი)- ანა უშენინა (უკრაინა), ანა მუზიჩუკი (სლოვენია)-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)-კატერინა ლაგნო (უკრაინა).

ხუთი ტურის შემდეგ: ჰოუ იფანი - 4,5, მუზიჩუკი - 3,5, ჟაო სიუე - 3, სტეფანოვა, ლაგნო, კოსტენიუკი, უშენინა, გირია, ძაგნიძე - 2,5-2,5,. კოსინცევა - 2, მუმინოვა - 1,5, ბატჩიმეგი - 0,5 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: კოსტენიუკი-ძაგნიძე, ლაგნო-ბატჩიმეგი, მუმინოვა- კოსინცევა, სტეფანოვა-ჰოუ იფანი, უშენინა-მუზიჩუკი, ჟაო სიუე-გირია.

ვაჟა დანელია



ნანა ძაგნიძე

● თარიღი

## 15-20 აპრილი

15. 1934. დაიბადა **გურამ პაპიტაშვილი** — ძიუდო, მწვრთნელი

15. 1945. დაიბადა **რევაზ ძოძუაშვილი** — ფეხბურთი.\იხ.“ლელო,“10.04.10”\.

15. 1966. დაიბადა **ოთარ მჭედლიშვილი** — ველოსპორტი

15. 1971. დაიბადა **გივი სისაური** – თ\ჭიდაობა

16. 1972. დაიბადა **ლუკა—ელდარ კურტანიძე** — თ\ჭიდაობა

17. 1978. დაიბადა **გოდერძი შველიძე** — რაგბი

18. 1991. დაიბადა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** — თ\ჭიდაობა

19. 1974. დაიბადა **გიორგი ვაზაგაშვილი**—ძიუდო

20. 1949. დაიბადა **ირაკლი ჯაფარიძე** – ფიგურული ციგურაობა

● გვილოცავენ...

# 80 წლის ლელოს კვლავ აღმასვლით ევლოს!

უძველესი და უპოპულარულესი სპორტული გაზეთი „ლელო“ 80 წლისაა. რვა ათეული წელიწადია „ლელო“ არის სპორტის მოყვარულთათვის ყველა იმ სიახლის მაცნე, რაც ქართულ თუ უცხოურ სპორტში ხდება.

თაობები ალიზარდნენ გაზეთის ფურცლებზე. ყოველთვის მოუთმენლად ელოდა მკითხველი ჩვენი ქვეყნის მთასა და ბარში, ქალაქსა და სოფელში გაზეთის ახალი ნომრის მოსვლას. პროფესიულ დონეზე მომზადებული ინფორმაციები იზიდავდა და იზიდავს ერთგულ მკითხველს, რომლებიც ხარობენ გაზეთის ბოლოდროინდელი სასიკეთო ფერისცვალებით. იმის მიუხედავათ, რომ დღეს ბეჭდვურ მედიას არაერთი სპორტული ჟურნალ-გაზეთი შეემატა, „ლელო“ მაინც რჩება ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ფლაგმანად.

80 წლის იუბილეს ვულოცავთ ყოველი ქართული ოჯახისთვის ესოდენ ახლობელი გაზეთის რედაქციას, მკითხველს.

კვლავ მრავალჯერ გვეხილოს გაზეთში ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების თვალსაჩინო მიღწევებზე მომზადებული პუბლიკაციები.

*გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ რედაქცია.*

ჭიდაობა



ჯონი ხეცურიანი (მარცხნიდან მეორე)

# 14 მედალი ანტალიიდან

ანტალიაში, „გამარჯვების თასის" ბოლო დღეს - კვირას ჩვენმა მოჭიდავე ჭაბუკებმა კიდევ 4 მედალი მოიპოვეს – 1 ოქრო და 3 ბრინჯაო. ამჯერად უფრო წარმატებით ბერძენ-რომაელები გამოვიდნენ, თორემ „თავისუფალთა" ანგარიშზე 1 ბრინჯაოა. მას სამტრედიელი **ივერი ჯულაყიძე** (63) დაეუფლა, ვინც თანატოლებში საქართველოს წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანია. ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონი ამჯერად **ჯონი ხეცურიანი** (50) გახდა, რომელმაც ფინალში ყაზახი **ალისერ ტოლუგენონი** დაამარცხა, მესამეზე კი **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (63) და **გიორგი ბარბაქაძე** (85) გავიდნენ.

ამდენად, ანტალიაში ჩვენმა სამივე ნაკრებმა 14 მედალი მოიპოვა – 5 ოქრო და 9 – ბრინჯაო. აქედან 5 ჯილდო – 2 ოქრო და 3 ბრინჯაო თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა მონაგარია, 7 მედალი – 3 ოქრო და 4 ბრინჯაო ბერძენ-რომაელებმა მოინადავლეს, 2 ბრინჯაო კი გოგოების გუნდზე მოდის.

„თავისუფალთაგან" ჩემპიონები **შმაგი თოდუა** (54) და **გივი მაჭარაშვილი** (100) გახდნენ, მესამეზე კი **თეიმურაზ ვანიშვილი** (46), **მამუკა ჩაჩუა** (58) და ზემოხსენებული ჯულაყიძე გავიდნენ. მისასალმებელია, რომ თოდუამ და მაჭარაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საკუთარი ფავორიტობა – პირველი ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორია, მეორე – ამავე ასაკში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი. წლეულს ორივე მართლაც ჩინებულ სეზონს ატარებს, ჩავარდნების გარეშე. ანტალიაში თოდუამ ფინალში რუსი **სულეიმანოვი** დაამარცხა, მაჭარაშვილმა კი მასპინძელ **ალტინ ოგუზანს** აჯობა. გუნდურ ჩ ათვლაში ჩვენი ნაკრები მესამეზე გავიდა რუსეთისა და თურქეთის შემდეგ.

ბერძენ-რომაელთაგან ოქროს მედლები არავის დაუთმეს **ნუგზარ წურწუმიამ** (42), **გურამ ხეცურიანმა** (76) და ჯონი ხეცურიანმა ირგუნეს, მესამეზე კი **თორნიკე მელაძე** (42), **გიორგი კურტანიძე** (58), ჭიკაიძე და ბარბაქაძე გავიდნენ. ამათი ჩემპიონებიდან უფრო გამოცდილები წურწუმია და ჯონი ხეცურიანი არიან – ისინი შარშანაც გამოდიოდნენ ამ გუნდში, თუმცა მათზე ტიტულოვანი ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორი კურტანიძეა. წურწუმია თითქოს წონის შეცვლას აპირებდა, მაგრამ უმჩატესში დარჩა. ამჯერად მან ფინალში მასპინძელი **კემალ კერემი** დაამარცხა. გადამწყვეტ შეხვედრებში ხეცურიანებმა, ყაზახებს აჯობეს – გურამმა **იელდოშ მაზმოლი** დაჯაბნა, ჯონიმ კი – **ალისერ ტოლუგენონი**.

დასასრულს გოგოების მედალოსნებზეც ვთქვათ – **გვანცა კარელიძე** (38) და **ანი ნაზარაშვილი** (56) მესამეზე გავიდნენ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კარელიძე ანტალიაში შარშანაც მესამეზე გავიდა, რაც ქართველ ქალთა პირველი მედალია.

სამივე ნაკრები ევროპის პირველობისთვის ემზადება, ეს ტურნირი მოსამზადებელი ეტაპის ერთ-ერთი ნაწილია. თანაც – საკმაოდ ავტორიტეტული და მისასალმებელია ჩვენებურთა ასეთი წარმატება. თან ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 6-11 მაისს ბულგარულ სამოკოვში გაიმართება, ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გაიცემა – 2-2 საგზური სამივე ნაკრებზე. იმედია, ჩვენები არა მარტო ევროპულ მედლებს მოიპოვებენ, არამედ – ამ ლიცენზიებსაც და მერე ჩინეთშიც წარმატებით გამოვლენ. ასევე გასახარია გოგოების ნაკრების პროგრესიც – მიზანმიმართული მუშაობით მათ უკვე მომავალ ციკლში კარგი შედეგები ექნებათ.

**ირაკლი თავაძე**

სამბო. ევროპის ასაკობრივი პირველობა

# ჭელიძე და მუმლაძე ამაღლდნენ

სამწუხაროდ, დღეს გვიწევს სამბოს ევროპული ფედერაციის დაუდევრობის გამოსწორება, რომელმაც ორი ჩვენებურის ევროპული მედალი თურმე შეცდომით მოგვაწოდა. როგორც გუშინ საქართველოს სამბოს ფედერაციაში გვითხრეს, ახალგაზრდებში **ლერი ჭელიძე** (57) ჩემპიონი გამხდარა, ჭაბუკებში კი **ჯაბა მუმლაძე** (87) მეორეზე გასულა. არადა, კვირას გამოქვეყნებულ ოქმებში ჭელიძე მეორე ადგილზე ეწერა, მუმლაძე – მესამეზე. გუშინდელ წერილში გაკვირვებაც გამოვთქვით ჭელიძის ვერცხლის გამო, რადგან ის თავის ასაკში ძალიან ძლიერი ძიუდოისტია – ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორია. ამიტომაც გაგვიკვირდა ახლა მისი წაგება აზერბაიჯანელ **ფუად მამადოვთან**, რომელიც ნამდვილად არაა ასე გამორჩეული ფალავანი.

სხვათა შორის, კვირა სალამოს აღნიშნულმა საიტმა ახალგაზრდებში **რევაზ წულუკიძეც** (100) ჩემპიონად გამოაცხადა, მაგრამ შეცდომა მალევე გამოასწორა და ნახევარ საათში პირველ ადგილზე რუსი **არტემ გაიბაევი** დაწერა. სამწუხაროდ, სამბისტთა საერთაშორისო თუ რუსული (რომელიც ნამყვანის როლს იჩემებს სპორტის ამ სახეობაში) ფედერაციები სისტემატურად გამოირჩევიან მსგავსი უზუსტობებით და ეს არაა მათი უხეში შეცდომის პირველი შემთხვევა. თუ სამბოს ოდესმე ოლიმპიადის პროგრამაში მოხვედრა, ან, უბრალოდ, საკუთარი სახეობის პოპულარიზაცია სურს, საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევაზე უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს. მართალია, როგორც იქნა, ძლივს მოაბეს თავი პირდაპირ რეპორტაჟს, მაგრამ მისი ხარისხი არც ისე მაღალია, სრულად მიიღო ინფორმაცია ტექნიკურ შედეგებზე და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მაშინ ოქმებში ასეთი ლაფსუსები არ მოსდიოდათ. ასეთ პირობებში აჯობებს, ჩვენმა ფედერაციამაც აქტიურად აამუშაოს საკუთარი საიტი, რომელიც შექმნილი კია, მაგრამ დიდი ხანია, ინფორმაციები არ განახლებულა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ფალავნები გასულ უქმეებზე ესპანურ კასერესში გამოდიოდნენ ევროპის ჩემპიონატში ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის. სხვა მხრივ ყველაფერი ისეა, როგორც გუშინ გაცნობეთ, მხოლოდ ხარისხობრივი შკალა შეიცვალა. ჩვენებმა ამ ტურნირში 19 მედალი მოიპოვეს – 10 ახალგაზრდებმა, 7 – ჭაბუკებმა და 2 – გოგოებმა. ახალგაზრდების 10 მედლიდან 4-4 ოქრო-ვერცხლია, 2 – ბრინჯაო. **ავთანდილ ცინცაძის** შეგირდთაგან ჩემპიონები **ლერი ჭელიძე** (57), **ლაშა პარასკებაშვილი** (62), **მიხეილ მეზურნიშვილი** (82) და **ზაურ მამარდაშვილი** (90) გახდნენ, **გიორგი მელქუაშვილი** (48), **ლერი ბედინაძე** (52), **ლერი ჭელიძე** (57), **თორნიკე ჭოველიძე** (68) და **რევაზ წულუკიძე** (100) მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი **ომარ ნიაზაშვილი** (74) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+100) გავიდნენ.

ჭაბუკთა 7 მედლიდან 4 ოქროა, რომლებიც **ირაკლი კუპატაძემ** (52), **გიორგი მეტრეველმა** (65), **თორნიკე მახათაძემ** (70) და **ირაკლი გოგიამ** (87) მოიპოვეს. მუმლაძის ამბის გარკვევის შემდეგ მათ ორი ვერცხლი გაუხდათ - **კობა მჭედლიშვილიც** (75) ფინალში დამარცხდა. სამაგიეროდ, ამ გუნდის მწვრთნელ **მირიან პავლიაშვილს** ბრინჯაოს მედალოსანი დაურჩა მხოლოდ ერთი - **დავით წურწუმია** (60). ბარემ აქვე გამარჯვებულ გოგოებსაც დავასახელებთ – ახალგაზრდებში **ელენე ქებაძემ** (+80) იყოჩაღა, 17-წლამდელებში – **სალომე აბაშიძემ** (56).

კვირა სალამოს ვერც გუნდური ჩათვლის შედეგები გავარკვიეთ, ახლა კი ესეც შესაძლებელია. საბედნიეროდ, ქართველებს დასათვლელი აქაც მოგვეძევება – ახალგაზრდულმა ნაკრებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა თავის ასაკში, ჭაბუკები კი მეორეზე გავიდნენ. ახალგაზრდებმა 54 ქულა დააგროვეს და 10 ქულით ჩამოიტოვეს მეორეზე გასული რუსები, 30-ით – მესამეადგილოსანი სომხები. ჭაბუკებმა 42 ქულა დააგროვეს და მხოლოდ ერთით ჩამორჩნენ რუსებს, თვითონ კი 20-ით ჩამოიტოვეს მესამეზე გასული სომხები.

**ირაკლი თავაძე**

იუბილარი. გურამ პაპიტაშვილი – 80

# ცხოვრებას ახლა რომ ვიწყებდე, ისევ მწვრთნელობას ავირჩევდი!

**ქართული სპორტის დიდი მოამაგე, ჭიდაობის ცნობილი ქართველი სპეციალისტი გურამ პაპიტაშვილი დღეს, 15 აპრილს იუბილარია. იგი 80 წლის გახდა. საქართველოში ძიუდოს ფუძემდებელს მთელი ქვეყანა იცნობს. მის აღზრდილ ფალავნებს ბევრი დიდი გამარჯვება მოუპოვებიათ და უამრავჯერ მოუტანიათ გულშემატკივარისთვის ზღვა სიხარული. ასაკის მიუხედავად, ბატონი გურამი დღესაც წარმატებით ემსახურება საყვარელ საქმეს.**

— ცხოვრებას ახლა რომ ვიწყებდე, იგივე გზის გავლას ვისურვებდი. ბავშვობიდან მინდოდა პედაგოგობა, მიყვარდა სპორტი და ჭიდაობის მწვრთნელის პროფესიაც ზუსტად ის იყო, რაც გულით მენადა. თავდაპირველად, როდესაც გორელ მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელი გავხდი, ბევრ მათგანზე ასაკით რამდენიმე წლით უმცროსი ვიყავი, მაგრამ ისინი ისე ურთიერთობდნენ ჩემთან, თითქოს გამოცდილი სპეციალისტი ვწვრთნიდი.

**— თქვენი აღზრდილი ფალავნების შესახებ ბევრი გვსმენია. მომდევნო თაობების მწვრთნელების საქმიანობას როგორ შეაფასებთ?**

— თანამოაზრეებთან ერთად პირველი ნაბიჯები გადავადგმევინეთ ძიუდოს საქართველოში, მაგრამ რა დარჩებოდა ამ ნალვაწიდან, თუ სახეობა არ განვითარდებოდა? საბედნიეროდ, ჩვენმა მწვრთნელებმა, ნაყოფიერად განაგრძეს მუშაობა და ტიტულოვან ძიუდოისტებს დღესაც უზრდიან ქვეყანას. უსაზღვროდ მიხარია ყველა ჩვენი მწვრთნელის წარმატება. მოგეხსენებათ, ბოლო წლებში რამდენჯერმე გახდა საქართველოს ძიუდოს ნაკრები გუნდურ პირველობაში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი. ზედაპირულად კი არა, სიღრმისეულად წარმოვიდგინოთ, რამხელა შრომაა გაწეული ესოდენ გრანდიოზული შედეგების მისაღწევად.

**— გორში არა მხოლოდ ძლიერი ფალავნების, არამედ ძლიერი მწვრთნელების აღზრდის ტრადიციაცაა? რა კრიტერიუმებს ეყრდნობოდით მათი შერჩევისას?**

— მწვრთნელი, პირველ ყოვლისა, კარგი პედაგოგი უნდა იყოს. შეგირდებთან ურთიერთობის ცოდნა ზედმიწევნით აუცილებელია. აუცილებლად კარგად უნდა მცნობოდა, ვისაც ამ საპასუხისმგებლო საქმეში გვერდზე დავიყენებდი. მაგალითად, მრავალი წელიწადია რაც მე და გივი ზაუტაშვილი ერთად მოვდივართ. როცა საკავშირო ნაკრებში მიმიწვიეს, გორში მუშაობისთვის დრო აღარ მრჩებოდა და ადგილზე გივის ვთხოვე საქმის გაძღოლა. მან შესანიშნავად ამიბა მხარი და სპორტსმენები ჩემსა და ზაუტაშვილს შორის განსხვავებას ველარც ხედავდნენ. 50-იან წლებში გორში თავისუფალი ჭიდაობის განვითარებასაც ჩავუყარეთ საფუძველი, მაგრამ ასევე დროის სიმცირის გამო მთლად ჩოხიან სახეობებზე გადმოვერთე და იქ ნუგზარ სხირელი შევარჩიე სექციის ხელმძღვანელად. ყველამ იცის, როგორ შესანიშნავად გაართვა თავი საქმეს ნუგზარმა და უმაღლესი დონის სპეციალისტი გახდა. მეამაყება, რომ გორის დარბაზში მომუშავე ყველა მწვრთნელი ადგილობრივი სკოლის აღზრდილია. დარბაზში შესულს ახალგაზრდა მწვრთნელები ხშირად მეკითხებიან რჩევას. მადლობელი ვარ უფროსი თაობის კოლეგებისადმი მათი ასეთი დამოკიდებულებისთვის. მარადიული არავინაა. გორის ძიუდოს სჭირდება ახალი თავკაცი, ამ საქმეში გია თენაძეს ჩემს მემკვიდრედ მივიჩნევ. მას ბევრი შეუძლია ძიუდოს განვითარებისთვის.

**— სამწვრთნელო კარიერაში განცდილი ყველაზე ბედნიერი წუთები გაიხსენეთ.**

— მადლობა ღმერთს, ასეთი გასახსენებელი ბევრი მაქვს. კარიერის საწყის ეტაპზე, 1962 წლის ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში, სადაც ჩვენი ფალავნები პირველად მონაწილეობდნენ, ანზორ ქიბროწაშვილის გამარჯვებამ ყველაზე მეტად გამახარა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვმუშაობდი საკავშირო ნაკრებში და ანზორის წარმატების შესახებ დილის 6 საათზე რადიოში მოვისმინე. უმალვე გორის ჯერაც ცარიელ ქუჩებში გამოვვარდი, ბედნიერი კაცი ვიყავი! სპორტმა მძიმე წუთების გარკვეულწილად შემსუბუქების უნარიც მომცა. 1983 წელს საქართველოს ნაკრები საკავშირო პირველობისთვის გორში ემზადებოდა. 13 ივლისს მოსკოვში უნდა გავფრენილიყავით, 9-ში კი შვილი დამეღუპა. ფალავნები, რასაკვირველია, მოვიდნენ შინ და მომისამძიმრეს. ძალა მოვიკრიბე და ვთხოვე, თუ ჩემი ტკივილის შემსუბუქება უნდოდათ, ეჭიდავათ, ებრძოლათ თავდაუზოგავად. დამპირდნენ და შეასრულეს კიდეც. უკან დაბრუნებულები შინ ჯილდოებით მესტუმრნენ.

**— შრომას, სიხარულთან ერთად, ალბათ, დიდი ემოციური დატვირთვაც ახლდა.**

— რასაკვირველია. ხშირად ისე ვიცლებოდი განცდებისგან, რომ სიხარულის გამოხატვის უნარიც აღარ მრჩებოდა. ორჯერ ისე მოხდა, რომ შე-


მარცხნიდან: ბორის გოგიჩაიშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი

დეგის პირდაპირ მოსმენას თავი ავარიდე. 1969 წელს ქიბროწაშვილმა სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. მინდოდა წერტილი კარიერისთვის ოქროს მედლით დაესვა. საკავშირო პირველობის ფინალი მოლდოველ უსიკთან ძალიან დაძაბულად წარიმართა, ბოლომდე ველარ ვუყურე, დარბაზიდან გავედი. ქართველების შეძახილით მივხვდი, რომ შეხვედრა ანზორმა მოიგო. 1972 წლის ოლიმპიადაზე შოთა ჩოჩიშვილის ფინალურ შეხვედრაში სტარბრუკთან (ბრიტანეთი) ჰანტეიმდე მივიდა საქმე. მსაჯების გადაწყვეტილების მიღების დრო რომ დადგა, ყურები დავიხშე და თავი ჩავლუნე. შოთას გამარჯვებას იმით მივხვდი, რომ ჩემს გვერდიდან მთელი ჩვენი დელეგაცია წამოხტა და ტატამზე შევარდა.

**— როგორც ძიუდოს ფუძემდებელი საქართველოში, რას ურჩევთ ახალგაზრდებს?**

— ძიუდოს რელსებზე გადასვლა, ცხადია, იოლი არ იყო, მაგრამ რაკი ქართული ჭიდაობა და სამბო მაღალ დონეზე გვქონდა განვითარებული, ძიუდოშიც არ დააყოვნა შედეგებმა. 1962 წელს ევროპის ჩემპიონები რომ გახდნენ ანზორ ქიბროწაშვილი და ანზორ კიკნაძე, ძიუდო სულ ოთხი თვის შემოსული იყო საქართველოში. ამიტომ ყოველთვის ვეუბნები ახალგაზრდებს, რომ თუ გვინდა წარმატებები ძიუდოში განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა ავითვისოთ ქართული ჭიდაობა, ის არის ჩვენთვის სპორტის დედა ენა.

**— მსოფლიოში ძიუდოს ამჟამინდელი განვითარების დინამიკით თუ ხართ კმაყოფილი?**

— შარშან, საერთაშორისო ფედერაციის ინიციატივით, ძიუდოში აიკრძალა ფეხში შესვლა, რაც, ჩემი აზრით, ამ სახეობას უფრო ლამაზს გახდის. 1970-იან წლებამდე წესები სწორედ ასეთი იყო. ამას წინათ თბილისის გრან პრის ვესწრებოდი და ვხედავდი, როგორ ენატრება და უყვარს ქართველ გულშემატკივარს ეფექტური ჭიდაობა, როგორ რეაგირებდნენ ისინი ლამაზ ფანდებზე. ჭიდაობა მისი სილამაზისთვის უყვართ საქართველოში!

**— „ლელო" 80 წლის გახდა. ეს ლეგენდარული გაზეთი და თქვენ, ფაქტობრივად, თანატოლები ხართ...**

— „ლელო" ქართულ სპორტთან ერთადაა შეზრდილი, ჩვენი სპორტის მატიანეა. „ლელოს" ფურცლებზე მოხვედრა ყველა თაობის სპორტსმენის ოცნება იყო. ამ გაზეთში დაბეჭდვა ლამის უკვდავებად მიგვაჩნდა. ერთხელ, ბაკურიანში ვიყავით შეკრებაზე, „ლელოში" თურმე გორელ მოჭიდავეებზე კარგი წერილი დაბეჭდილა, ამურ სამადალაშვილმა აიღო გაზეთი და დილითვე ჩვენთან გამოიქცა. შეჯიბრებისთვის მომზადების ხალისი გაგვიორმაგდა მისი წაკითხვით. ეს გაზეთი ნამდვილი სტიმული იყო ქართველი სპორტსმენისთვის გამარჯვებების მოსაპოვებლად. ამიტომ წარმატებებს ვუსურვებ ახლაც და მომავალშიც ჩვენს „ლელოს", მის ყველა თანამშრომელს და ერთგულ მკითხველს!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

სპორტი და მეცნიერება

# მიზანი — სპორტის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომლის უპირველესი დანიშნულებაა ერის გაჯანსაღება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და საქართველოს სპორტსმენების ღირსეული გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზობებში. ამ მიმართებით გადაუდებელი ამოცანაა სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მთელი სისტემის ახლებურად გააზრება, მართვის თანამედროვე მოდელების ჩამოყალიბება; სპორტული განათლებისა და მეცნიერების განვითარება. ყოველივე ეს კი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების პრობლემებთან.

განათლება - სოციალური მეცნიერებაა, იგი შეისწავლის და ნერგავს იმ ქმედებათა პროცესს, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისკენ. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა-განმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. ყველა ახალ ეტაპზე კაცობრიობა მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას განათლებაში შექმნილი მდგომარეობით და სვამდა საკითხს - როგორი უნდა იყოს განათლება დღეს და როგორ უნდა ვითარდებოდეს იგი ხვალინდელი დღის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ძიების პროცესი, ისევე როგორც თვით კაცობრიობის განვითარება, განუწყვეტელია.

როგორც ამ ენციკლოპედიური განმარტებიდან ჩანს, ადამიანის ფიზიკური განვითარება აუცილებელი პირობაა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის, რაც დაწყებითი და საბაზო განათლების ძირითად მიზანს წარმოადგენს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებას პროფესიონალი კადრები უნდა ემსახურებოდეს. ჩვენს ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში კი დაბალ დონეზეა ფიზიკური აღზრდის სწავლება, მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა. მიზეზი? ქვეყნის ფიზიკური აღზრდის 4176 მასწავლებლიდან მხოლოდ 1637 აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება, დანარჩენი 2539-დან კი 821-ს საერთოდ არ გააჩნია უმაღლესი განათლება. ვფიქრობთ, ეს სტატისტიკა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ:

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით საქართველო ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა მსოფლიოში;

მაღალია ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა;

სწრაფი ტემპით მატულობს ფიზიკურად სუსტად განვითარებულ მოზარდთა რაოდენობა, რის გამოც არადამაკმაყოფილებელია სამხედრო სამსახურში გაწვეულთა ფიზიკური მომზადება;

საგანგაშოა, რომ დღეისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, მაშინ, როდესაც მსოფლიოს მეტ-ნაკლებად ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს რიცხვი 40-60 პროცენტს აღწევს.

დღითი დღე იზრდება ნარკომანთა და სხვა მავნე ჩვევების მიმდევარი ახალგაზრდების რიცხვი; ოფიციალური სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობა 4,3 მილიონს შეადგენს, ხოლო დარეგისტრირებული ნარკომანი 250 000, ანუ ყოველ 17 ადამიანზე ერთი ნარკომანი გვყავს. გამაოგნებელი ციფრებია. უფრო გამაოგნებელია ის, რომ ამ სენით დაავადებულთა უდიდესი ნაწილი ახალგაზრდები არიან.

ზემოთ მოყვანილი სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებად იქცა ქვეყანაში ერთადერთი უმაღლესი სპორტული სასწავლებლის - სპორტის აკადემიის გაუქმება, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი სასპორტო განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. გაუქმებამდე სპორტის აკადემიაში მუშაობდა 200-მდე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელთა 90% სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო.

არსებობის 70 წლის განმავლობაში აკადემიამ გამოუშვა 20 000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში წარმატებით მოღვაწეობს.

აკადემიის დიპლომი დღესაც აღიარებულია მთელ მსოფლიოში.

სპორტული შედეგების თვალსაზრისით, აკადემიის 17 კურსდამთავრებული 19 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონთა რიცხვი კი 300-ს აჭარბებს, ხოლო მათი აღმზრდელი მწვრთნელ-პედაგოგების 80% სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს განვითარების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი მეცნიერებაა. მაგრამ დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოში სპორტული მეცნიერება აღარ არსებობს. არადა, სპორტის უმაღლესი სასწავლებლის გაუქმებამდე, სპორტის აკადემია წარმოადგენდა უმაღლესი დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას, რომლის კათედრებზე და სამეცნიერო ლაბორატორიებში მიმდინარეობდა ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სპორტის პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, სპორტულ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, მოძრაობის ბიომექანიკასა და სპორტის თეორიაში, ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, სპორტის სხვადასხვა სახეობების სწავლების თეორიასა და მეთოდიკაში.

სპორტის სფეროში სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგი იყო, რომ პირველად ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების რესპუბლიკებს შორის, საქართველოში არსებობდა სადისერტაციო საბჭო, სადაც დისერტაციები დაიცვეს რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ესტონეთის, უნგრეთის და საქართველოს მკვლევარებმა. ყოველწლიურად ქვეყნდებოდა 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო; მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, საერთაშორისო სასწავლო და საწვრთნელ პროგრამებში (მათ შორის გაცვლით პროგრამებში) გაფორმებული იყო სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები საზღვარგარეთის ქვეყნების სპორტული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან, რაც დღეს პრაქტიკულად მოშლილია — 7 წელიწადი გავიდა ქართული სპორტის ერთ-ერთი საფუძვლის მოშლის დღიდან.

მაგრამ ამ კოშმარს ბოლო მოეღო და ახალმა მთავრობამ, რომელმაც პრიორიტეტებად - **განათლება, ჯანდაცვა და სოფლის მეურნეობა გამოაცხადა,** სპორტული განათლების, როგორც განათლების შემადგენელი ნაწილის აღიარების საფუძველზე 2013 წლის 28 მარტს მიიღო დადგენილება, აღედგინა სამართლიანობა და **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მდიდარი ტრადიციების გაგრძელების მიზნით,** დააფუძნა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც მიზნად განესაზღვრა აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება. პროფესიული, სამოყვარულო და მასობრივი სპორტისთვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სრულყოფილად წარმართვა.

საქართველო ევროპული ორიენტაციის ქვეყანაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტშიც ამ გზით უნდა ვიაროთ. ცხადია, პირველ რიგში უნდა წავიდეთ ცხოვრების ჯანსაღი წესის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვის პერმანენტული პროპაგანდის გზით. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას სპორტის უმაღლესმა სასწავლებელმა, როგორც სპორტის სპეციალისტების მომზადების ერთადერთმა დაწესებულებამ ქვეყანაში. ახლადდაფუძნებული სპორტის უნივერსიტეტის უპირველესი მიზანი იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომელსაც ექნება ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება დაფუძნებული თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებზე, შეეძლება კომპეტენტურად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.

**ამ მიმართულებით სპორტის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი), 2014-2015 სასწავლო წელს მიღება განხორციელდება მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე. სადაც ვვარაუდობთ, რომ 2014-2015 სასწავლო წელს პირველ კურსზე მივიღებთ 300-350 სტუდენტს და მათ მაღალ დონეზე სწავლებასა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები, რომელთა შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე, რომელიც სპორტის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადდა 2014 წლის 17 მარტს და საბუთების მიღება დაიწყება 17 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით.**

**ჯემალ ძაგანია**
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორი

®

კალათბურთი. საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი



# სეზონის პირველი ჩემპიონი შსს აკადემიაა

საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებს შორის ყველაზე ადრე 20-წლამდელთა პირველობა დასრულდა, რომლის ფინალშიც ერთმანეთს "შსს აკადემია" და "ქუთაისი" დაუპირისპირდნენ. სერია ორ მოგებამდე იყო.

პირველ შეხვედრაში, თბილისში შსს-ელებმა იმარჯვეს. განმეორებითი ფინალი გუშინ ქუთაისში გაიმართა და ასევე "შსს აკადემიას" გამარჯვებით დასრულდა – 73:61. როგორც მოგახსენეთ, სერია ორ მოგებამდე იყო და საქართველოს ჩემპიონი ქუთაისშივე გამოცხადდა – "შსს აკადემია".

გამარჯვებულთაგან სნაიპერი **ლევან ლოლიშვილი** გახდა (22 ქულა), ხოლო **შოთა გელაზონიამ** ორმაგი დუბლი შეასრულა – 21 ქულა, 16 მოხსნა.

*- ქუთაისში თამაში სხვა ფენომენია, ასეთ ატმოსფეროში მოედანზე გასვლა ნებისმიერი სტუმრისთვის რთულია. ვიცოდით, "ქუთაისი" არაფერს დათმობდა, თუმცა ამისთვის მზად ვიყავით, რთული ბრძოლით, მაინც მოვახერხეთ გამარჯვება,* - გვითხრა ნამატჩევს "შსს აკადემიას" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ნიკოლაძემ.**

უფრო ვრცლად 20-წლამდელთა პირველობის დასკვნით მატჩებზე ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ლეგიონის კვირა

# მანუ და გიო: სერიული ბრძოლები ბარსასთან და რეალთან

ქართული კალათბურთი ახალ ეტაპზე ავიდა: პირველად ისტორიაში ევროლიგის პლეი ოფში ორი ქართველი ითამაშებს. თან ვისთან?! - **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაის" „ბარსელონასთან" მოუწევს დაპირისპირება, **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსს" - „რეალთან". სადღეისოდ, ეს ესპანური გუნდები ევროლიგის მოგების უმთავრეს ფავორიტთა შორის არიან და მათ წინააღმდეგ გამოსვლა ქართველთათვის შესანიშნავი გამოცდა და რეკლამა იქნება. თან, რაც მთავარია, მეოთხედფინალური სერია სამ მოგებამდეა და შესაძლოა გიორგის და მანუს „რეალთან" და „ბარსასთან" ხუთ-ხუთი მატჩის ჩატარებამ მოუწიოთ.

პირველი შეხვედრები დღეს გაიმართება, მასპინძლის რანგში ესპანური კლუბები მოგვევლინებიან. მომდევნო მატჩები 17 აპრილს იგეგმება...

## შვიდის შვიდი

ესპანეთის ჩემპიონატში, მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა „კახასოლის" მეშვიდე ნომერმა **ბექა ბურჯანაძემ**, რომელმაც „გრან კანარიასთან" 13 წუთი ითამაშა და პირადი რეკორდი დაამყარა - 7 ქულა ჩააგდო, რასაც 2 მოხსნა შემატა. ბექამ 2-2 ორქულიანი და სამიანი სტყორცნა და მხოლოდ ერთმა შორეულმა ტყორცნამ ვერ მიაღწია მიზანს.

რაც ასევე მნიშვნელოვანია, ბურჯანაძის „კახასოლმა" შინ მეხუთეადგილოსანი „გრან კანარია" 73:60 დაამარცხა.

ამ მოგებით სევილიელები „ლაბორალსა" და „ხუვენტუდს" დაეწივნენ და მათთან მეშვიდე-მეცხრე ადგილებს ინაწილებენ. ყველას 14 მოგება და 13 მარცხი აქვს. იმასაც შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში საუკეთესო რვა გუნდი გადის.

## NO DEFENCE

რვაეულში მეექვსე პოზიციაზეა **ვიქტორ სანიკიძის** „სარაგოსა", რომელსაც „გრან კანარიას" გადასწრების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი გაანყო კატალონიურ „ხუვენტუდთან".

ნინა ტურში „ბარსას' მძლეველმა სარაგოსელებმა „ხუვენტუდთან" მატჩი, ფაქტობრივად ჩააგდეს და მწვრთნელიც ყოველი წუთშესვენებისას ერთსა და იმავეს გაიძახოდა - No defence! (არაა დაცვა). შედეგად, „ხუვენტუდმა" 82:57 გაიმარჯვა.

სანიკიძის მონაგარი 22 წუთში 8 ქულა და 7 მოხსნა იყო.

## თორმეტი

პლეი ოფს უახლოვდება იტალიის ვერცხლის ლიგაში მოასპარეზე **ნიკა მეტრეველი.** მისმა „როსეტომ" ბოლო ტურში „ფირენძეს" აჯობა - 94:86. როსეტოელებს 29 ტურის შემდეგ 15 მოგება მოუგროვდათ და მეცხრე ადგილზე არიან, საპლეიოფო ზონაში მყოფ „მატერას" მხოლოდ ერთი გამარჯვებით ჩამორჩებიან. ყველაფერს რეგულარული ეტაპის ბოლო ტური გადაწყვეტს, რომელშიც „როსეტო" „ფერარას" ესტუმრება, ხოლო „მატერა" „კაზაპუსტერლენგოს" მიიღებს.

„ფირენძეს" ძლევაში ნიკა მეტრეველის წვლილი ასეთი იყო: 26 წუთი, 12 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი, 1 დაფარება. ნიკამ მაღალი პროცენტული სიზუსტით სტყორცნა: 3-3 ორქულიან-სამიანიდან 2-2 ჩააგდო, რასაც 2 საჯარიმო მიამატა.

## მესამე ორმაგი

საფრანგეთის მესამე ლიგაში სეზონის მესამე ორმაგი დუბლი მიითვალა **გიორგი მდივანმა**, რომლის ანგარიშზეა 13 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა. ქართველმა მეფარემ „მონბრისონის" მაისურით „სენტ ბრიუსთან" მატჩში მოედანზე 44 წუთი გაატარა.


გიორგი მდივანი

რიცხვი 44 პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ შეხვედრა 40 წუთში ვერ ჩაეტია და დამატებით დროში გაგრძელდა. საბოლოოდ კი მდივანის „მონბრისონის" გამარჯვებით დასრულდა - 95:91.

გიორგის თანაგუნდელებს მიმდინარე სეზონში 7 მოგება აქვთ და პლეი ოფში გასვლას ვერ ახერხებენ, მომდევნო მატჩს 19 აპრილს „ლურდესთან" ჩაატარებენ.

## მეოთხედფინალურ ზონას ლაპუელებიც უტრიალებენ

მეტრეველის „როსეტოსავით" საპლეიოფო რვაეულთან ახლოსაა ლაპუას „კორიკობრატი". ფინეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ამ გუნდში ორი ქართველი ირიცხება: **გივი ბაქრაძე და არჩილ პულუზაშვილი.**

9 და 12 აპრილს ლაპუელებმა ორი მნიშვნელოვანი მატჩი ჩაატარეს, ჯერ „კატაიასთან" 72:89 დათმეს, შემდეგ უშუალო კონკურენტ „ვილპასთან" 95:90 გაიმარჯვეს.

პირველ შეხვედრაში ბაქრაძემ 13 წუთი ითამაშა და მატჩი 3 ქულით დაასრულა, მეორეში 7 წუთში თითო მოხსნა-პასი ჰქონდა. პულუზაშვილი მხოლოდ „კატაიასთან" მატჩში გამოჩნდა, ისიც 1 წუთით.

„კორიკობრატს" 16 მოგება აქვს და მეათე ადგილზეა. მას მერვეადგილოსანი „კოუვოტი" ორი გამარჯვებით უსწრებს. მომდევნო ტურში, 16 აპრილს ერთმანეთს სწორედ „კორიკობრატი" და „კოუვოტი" დაუპირისპირდებიან. სტუმარი ბაქრაძისა და პულუზაშვილის გუნდი იქნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**


ბექა ბურჯანაძე #7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ალაფა


საქართველო-აშშ

# ტონგელების იმედად

**დღეს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში მასპინძელთა გუნდს, ჰონგ კონგის ნაკრებს დაუპირისპირდება. ჩვენმა გუნდმა ფინალში გასასვლელად მეტოქეს აუცილებლად უნდა მოუგოს და მინიმუმ ოთხი ლელო გაუტანოს.**

თუმცა, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისთვის ეს საკმარისი არ არის. თავის მხრივ, ტონგას ნაკრებმა აშშ-ის გუნდს უნდა მოუგოს რვა და მეტი ქულის სხვაობით. ამ შემთხვევაში ჩვენ და კუნძულელები თანაბარ ქულებს დავაგროვებთ. რადგან „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ტონგას სძლიეს, პირველობაც მათ ერგებათ.

ცხადია, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში აშშ-ის ნაკრებია, რომელსაც წაგებაც კი ხელს აძლევს. ოღონდ ამერიკელები უნდა ეცადონ, შვიდ ქულაზე მეტი სხვაობით არ დამარცხდნენ.

ტრავმა მოირჩინა და კაპიტნის ვარჯიშზე სრული დატვირთვით გაისარჯა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **როლანდ კვაჭაძე**. სამწუხაროდ, ისევ ვერ ითამაშებს **გიორგი აფციაური**. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში კიდევ ერთი ცვლილებაა. მესამე ხაზში ფრანგული „ლილის" მორაგბე გიორგი სორდია ისასპარეზებს.

**საქართველო**

15. დავით გულიტაშვილი, 14. მურაზ გიორგაძე, 13. გიორგი ფრუიძე, 12. რევაზ ბროძელი, 11. დევი დევსურაშვილი, 10. რეზო ჯინჭველაშვილი, 9. თემურ თუთბერიძე. 1. ზაურ ხარებავა, 2. ბადრი ალხაზიშვილი, 3. გიორგი მარგველანი, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. საბა შუბითიძე (კაპ), 7. გიორგი სორდია, 8. ვახტანგ ამირანაშვილი.

16. გიორგი თორაძე, 17. ბექა კაკაბაძე, 18. ფარნავაზ გასვიანი, 19. დავით პაპავაძე, 20. ჟორა მღებრიშვილი, 21. გიორგი ბაბუნაშვილი, 22. შალვა შამიაშვილი.

**A ჯგუფი**

**III ტური**

საქართველო-ჰონგ კონგი, ტონგა-აშშ

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აშშ - 9 ქულა, 2. საქართველო - 5, 3. ტონგა - 5, 4. ჰონგ კონგი - 0

**B ჯგუფი**

**III ტური**

ურუგვაი-ნამიბია, კანადა-იაპონია

**სატურნირო მდგომარეობა**

1. იაპონია - 7 ქულა, 2. ნამიბია - 6, 3. ურუგვაი - 6, 4. კანადა - 2.

ევროპის ჩემპიონატი

# ისევ მეხუთესთვის, ისევ იტალია

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები დღეს პოლონეთის ქალაქ პოზნანში ევროპის ელიტურ ჩემპიონატში მეორე შეხვედრას გამართავს. „უმცროსი ბორჯღალოსნები" მეხუთე ადგილისთვის ნახევარფინალში იტალიელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.**

საქართველოს ნაკრებმა, პირველ მატჩში მარცხის მიუხედავად, შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. იტალიელებს ორჯერ მიჯრით უკვე მოვუგეთ გასულ გათამაშებებში და, იმედია, ჩვენი მორაგბეები ამჯერადაც შეძლებენ მეტოქის დამარცხებას. ეს საშუალებას მოგვცემს, მე-5 ადგილისთვის ვიბრძოლოთ და მომავალ წელიწადს ისევ შესარჩევი ტურნირის გარეშე ვითამაშოთ ელიტური ევროპული ქვეყნების შეჯიბრებაზე.

გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი მეტოქე შოტლანდიისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის მოგებული იქნება. ცხადია, ამ წყვილში ფავორიტები „სკოტები" არიან.

უაღრესად საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი მოწინავე ოთხეულში. ჩვენი მძლეველი ირლანდიის ნაკრები საფრანგეთის გუნდს დაუპირისპირდება. ცხადია, საინტერესოა ვნახოთ, რამდენად სერიოზულ ძალას წარმოადგენს „უმცროსი სამყურები". ფრანგები ამ შეჯიბრების ფავორიტები არიან და მათი დაპირისპირება ირლანდიელებთან მიახლოებით წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის, რამდენად დიდია ჩამორჩენა.

**საქართველო**

15. ირაკლი სვანიძე, 14. ბექა ნონიაშვილი, 13. დავით ლობჟანიძე, 12. გიორგი კოშაძე, 11. თორნიკე მანაგაძე, 10. თორნიკე ხურცილავა, 9. ვასილ ლობჟანიძე. 1. ნიკა ნეფარიძე, 2. ვანო მარგალიტაძე, 3. შაქრო ლომსიანიძე, 4. გიორგი ჯავახია, 5. ოთარ გიორგაძე, 6. მიხეილ გორგასლიძე, 7. თორნიკე ზოიძე, 8. ბექა გორგაძე.

16. ლუკა გოგინავა, 17. ლაშა ტაბიძე, 18. მიხეილ ბაბუნაშვილი, 19. გიორგი ხუროშვილი, 20. ლაშა მამუჩარაშვილი, 21. კოტე ახობაძე, 22. სანდრო ილურიძე, 23. გიორგი მელაძე.

**ნახევარფინალი**

ინგლისი-უელსი, საფრანგეთი-ირლანდია

**V ადგილისთვის**

საქართველო-იტალია, შოტლანდია-პორტუგალია

ლეგიონერები

# მონპელიე პლეი ოფშია, ლიონი ელიტაში

**საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტური დარჩა. 24-ე ტურის შეხვედრების შემდეგ გათამაშებას ისევ ახლახან გალიდერებული მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის „მონპელიე" უდგას სათავეში.**


ბურთით ვიქტორ კოლელიშვილი

ჩვენებურთა ეს გუნდი ბოლო ტურებში შესანიშნავად ასპარეზობს და თამამად აცხადებს პრეტენზიას ჩემპიონობაზე. მონპელიელებმა 24-ე ტურში სტუმრად ითამაშეს „გრენობლთან" და 36:30 დაამარცხეს.

პიველი ტაიმი „მონპელიემ" ბევრად აგრესიულად ითამაშა და უკეთესი ხარისხის რაგბი აჩვენა. ჩვენებურთა გუნდი შესვენებაზე 21-ქულიანი უპირატესობით წავიდა - 27:6. „ალპელებმა" მეორე ნახევარში ანგარიშის შემცირება კი შეძლეს, მაგრამ მატჩი ვეღარ გადაარჩინეს. „მონპელიეს" ამ მოგების შემდეგ 70 ქულა დაუგროვდა და დარჩენილი ორი მატჩი რომ წააგოს კიდეც, პლეი ოფში მაინც მოხვდება.

გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 74-ე წუთზე შეცვალეს, ორი წუთით ადრე კი მოედანი ნარიაშვილმა დატოვა.

„მონპელიეს" ერთი ქულით ერთბაშად ორი გუნდი ჩამორჩება. ესენი არიან: „ტულონი" და „კლერმონი". **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა" სტუმრად მოუგო **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოს" - 22:20. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი მასპინძლებმა 17:6 მოიგეს. ტულონელებმა ხელი მეორე ტაიმშიღა გამოიღეს და **ფრედერიკ მიშალაკის** ფეხჩუბინობის წყალობით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

მიქაუტაძე თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა მოედანზე მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე გამოჩნდა.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" შინ დაამარცხა საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონი, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" - 23:11. ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა და „ვულკანებმა" მეტოქის წინააღმდეგობა დასკვნით 10 წუთში გატეხეს. ზირაქაშვილი თადარიგში იყო და თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

65 ქულა დააგროვა და მე-4 ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი", რომელმაც შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა მეორე დივიზიონში დაქვეითებული „ბიარიცი" - 37:7. ქართველ შერკინების ბურჯს არ უთამაშია.

62 ქულით მისთვის უჩვეულო, მეექვსე ადგილზეა ფრანგული რაგბის გრანდი, **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზი", რომელმაც საკუთარ მოედანზე **კარლენ ასეიშვილისა და გოდერძი შველიძის** „ბრივი" დაამარცხა - 16:9. ბრეგვაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს, შველიძემ მოედანი ექვსი წუთით ადრე დატოვა. კაკოვინი და ასეიშვილი ტრავმირებულნი არიან.

**დავით ქუბრიაშვილისა და ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ" სტუმრად წაზგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბაიონთან" - 19:24. მიუხედავად ამისა, პარიზელები პლეი ოფში მოხვედრის შანსს ისევ ინარჩუნებენ. „სტად ფრანსე" „ტულუზს" სულ რაღაც სამი ქულით ჩამორჩება.

ქუბრიაშვილი და ჟვანია თადარიგში იყვნენ და მოედანზე ერთდროულად, 71-ე წუთიდან გამოჩნდნენ.

**გიორგი ჟღენტის** „პერპინიანმა" შინ დაამარცხა „ოიონაქსი" 22:12 და სატურნირო ცხრილში გადაუსწრო. შერკინების ქართველ ბურჯს არ უთამაშია.

**I დივიზიონი**

**XXIV ტური**

კლერმონი-კასტრი 23:11, ბორდო-ტულონი 20:22, მეტრო რასინგი-ბიარიცი 37:7, პერპინიანი-ოიონაქსი 22:12, გრენობლი-მონპელიე 30:36, ბაიონი-სტად ფრანსე 24:19, ტულუზი-ბრივი 16:9.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მონპელიე - 70 ქულა, 2. ტულონი - 69, 3. კლერმონი - 69, 4. მეტრო რასინგი - 65, 5. კასტრი - 62, 6. ტულუზი - 62, 7. ბორდო - 59, 8. სტად ფრანსე - 59, 9. ბრივი - 56, 10. გრენობლი - 51, 11. პერპინიანი - 50, 12. ოიონაქსი - 48, 13. ბაიონი - 48, 14. ბიარიცი - 26.

**XXV ტური**

**კასტრი-მონპელიე, ოიონაქსი-ტულუზი, პერპინიანი-ტულონი, ბიარიცი-ბრივი, გრენობლი-ბაიონი, მეტრო რასინგი-კლერმონი, სტად ფრანსე-ბორდო.**

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების სამი ტურიღა დარჩა. **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონს" პირველი დივიზიონის საგზურის ოფიციალურად გასაფორმებლად ერთი ქულა სჭირდება. ლიონელები ახლა 104 ქულით პირველ ადგილზე არიან და უახლოეს მდევარ „აჟენს" 15 ქულით უსწრებენ. 27-ე ტურში „ლიონმა" სტუმრად მოუგო „დაქსს" - 34:13. კოლელიშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლას განაგრძობს **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა და ირაკლი მირცხულავას** „ტარბი", რომელმაც შინ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „მონ დე მარსანს" - 29:28. ქართველი მორაგბეებიდან მხოლოდ ნემსაძემ ითამაშა. მან მოედანზე სრული 80 წუთი დაყო.

დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის **თამაზ მჭედლიძის, მერაბ შარიქაძისა და გურამ კავთიძის** „ბურგ ან ბრესი", რომელმაც შინ მოუგო **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიეს" - 19:13. მჭედლიძემ სრულად ითამაშა, შეყლაშვილი მე-60 წუთზე შეცვალეს, შარიქაძემ მოედანზე ექვსი წუთით მეტი დაყო.

ჯერ ისევ ემუქრება დივიზიონის დატოვების საფრთხე **ალექსანდრე თოდუას, გიორგი თეთრაშვილის, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძისა და ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბის", რომელმაც შინ დაამარცხა „ოში" - 22:15. თოდუამ მიჯრით მეორედ ითამაშა ფულ ბეკის პოზიციაზე თავიდან ბოლომდე, ნაცარაშვილი მოედანზე 46-ე წუთიდან გამოჩნდა, სხვა ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.


ალექსანდრე თოდუა (მარცხნივ)

**II დივიზიონი**

**XXVII ტური**

ალბი-ოში 22:15, ბურგ ან ბრესი-ბეზიე 19:13, დაქსი-ლიონი 13:34, ტარბი-მონ დე მარსანი 29:28, ორიაკი-პო 16:18, ბურგუენი-კარკასონი 20:29, ნარბონი-კოლომიე 22:19, აჟენი-ლა როშელი 33:18.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 104 ქულა, 2. აჟენი - 89, 3. ლა როშელი - 87, 4. ნარბონი - 81, 5. პო - 81, 6. ტარბი - 75, 7. ბურგუენი - 59, 8. ორიაკი - 59, 9. მონ დე მარსანი - 58, 10. კოლომიე - 57, 11. ბეზიე - 54, 12. ალბი - 50, 13. დაქსი - 49, 14. კარკასონი - 44, 15. ბურგ ან ბრესი - 40, 16. ოში - 35.

**XXVIII ტური**

მონ დე მარსანი-ალბი, ლა როშელი-ორიაკი, კოლომიე-ბურგ ან ბრესი, ბეზიე-ბურგუენი, აჟენი-დაქსი, ოში-ნარბონი, ლიონი-ტარბი, კარკასონი-პო.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჩოგბურთი

# გასული კვირის ამბები

გასულ კვირას, ქალთა და მამაკაცთა პროფესიულ ტურში ოთხი ტურნირი გაიმართა, გარდა ამისა, რამდენიმე საინტერესო ამბავიც შევიტყვეთ...

1. ქალთა ტურში ბოლო ტურნირები გაიმართა ფედერაციის თასის ნახევარფინალების წინ. ბოგოტაში პირველ ნომრად **ელენა იანკოვიჩი** იყო განთესილი, რომელმაც ფინალამდე დამაჯერებელი გზა განვლო, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ვერ გაუსწორდა **კაროლინ გარსიას**. 20 წლის ფრანგმა პირველივე ცდიდან აიღო WTA-ის ტიტული. თანაც მან კოლუმბიაში დუბლი შეასრულა, როცა წყვილების ტურნირი მოიგო **ლარა არუაბარენასთან** ერთად.

2. გარსიამ ბოგოტაში ფინალი ორ სეტში მოიგო, პოლონეთის კატოვიცეში კი მის თანამემამულეს **ალიზ კორნეს** დიდი ჯაფა დაადგა ტიტულის ასაღებად. თუმცა ამ ჩოგბურთელს უყვარს მარათონული მატჩები. პოლონეთში კორნემ ხუთი შეხვედრა ჩაატარა და აქედან ოთხი სამსეტიანი იყო. თანაც, **კლარა კუკალოვასთან** და **აგნიეშკა რადვანსკასთან** მატჩებში კორნემ ერთი სეტი „მშრალი" ანგარიშით დათმო. სამსაათიან ფინალში ფრანგმა ერთი მატჩბოლი მოიგერია იტალიელ **კამილა ჯორჯის** წინააღმდეგ.

3. ჰიუსტონში ამერიკულ გრუნტზე ესპანური ფინალი გაიმართა - **ფერნანდო ვერდასკო ნიკოლას ალმაგროს** წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა შარშანაც ითამაშა ჰიუსტონის ფინალში, მაგრამ დათმო გადამწყვეტი მატჩი **ჯონ ისნერთან**. სხვათა შორის, ამერიკელმა ამჯერად, პირველივე წრეში წააგო **დასტინ ბრაუნთან**. რაც შეეხება ფინალს, ალმაგრომ ისევ წააგო, ვერდასკომ კი ბოლო ოთხ წელიწადში პირველი ტიტული დაისაკუთრა.

4. ATP-ის კიდევ ერთი ტურნირი კასაბლანკაში გაიმართა და აქაც ესპანური ფინალი ვიხილეთ: მთავარი პრიზი გაითამაშეს **გილერმო გარსია-ლოპესმა** და **მარსელ გრანოლერსმა**. გილერმომ წააგო პირველი სეტი, მაგრამ მაინც მოახერხა გამარჯვება. საინტერესოა, რომ გრანოლერსმა პატიოსნად განაცხადა - ტიტულს არ ვიმსახურებდიო. *„ეს ორივესთვის რთული მატჩი იყო. ვფიქრობ, კარგი თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ რამდენიმე უხეში შეცდომა დავუშვი. არ დამიმსახურებია ტიტული კასაბლანკაში. კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ გავატარე ეს კვირა და მონტე კარლოს მასტერსზეც საკუთარი ძალებში დარწმუნებული მივემგზავრები"*, - განაცხადა გრანოლერსმა.

5. დევისის თასზე გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **კარსტენ არიენსმა** განაცხადა, რომ აღარ გამოიძახებს ნაკრებში მსოფლიოს 25-ე ჩოგანს **ფილიპ კოლშრაიბერს**. *„დღეს ვაცნობე ფილიპს, რომ აღარ მოვიწვევ მას დევისის თასის მატჩებში მონაწილეობისთვის. ეს გადაწყვეტილება ორი მიზეზით მივიღე: ჯერ ერთი, მას მუდმივი პრობლემები აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, ხშირად ექმნება კონფლიქტი გუნდის სხვა წევრებთან"*.

6. შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** აღნიშნა, რომ მისთვის სასიამოვნოა **საბინ ლისიცკის** მწვრთნელობა, გარდა ამისა, **როჯერ ფედერერთან** ერთად მიქსტში გამოსვლის სურვილი გამოთქვა.

*„მომწონს საბინთან ერთად მუშაობა, რადგან მასში ძალიან დიდ პოტენციალს ვხედავ. კმაყოფილი ვარ მისი ძლიერი მონდომებით და საქმისადმი პროფესიული მიდგომით. მე მას 10 წლის ასაკიდან ვიცნობ და ვფიქრობ, სწორი მიმართულებით მიდის. მას არსენალში ყველა საჭირო იარაღი აქვს, უბრალოდ, უნდა ისწავლოს ნებისმიერ სიტუაციაში სწორი არჩევანის გაკეთება.*

*რაც შეეხება მიქსტში პარტნიორს, ერთხელ, ჰოპმანის თასზე როჯერ ფედერერთან ერთად ვითამაშე. შესანიშნავი იყო. თუ ის შემომთავაზებს უიმბლდონზე ერთად გამოსვლას, უარს არ ვიტყოდი"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ფედერერი და ჰინგისი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ინდიანამ პირველი გაიფორმა?

გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პლეი ოფის თითქმის ყველა მონაწილეა ცნობილი. ვაკანტურია მხოლოდ ერთი საგზური. „ლეიკერსთან" მოხსნებში დიდი უპირატესობის წყალობით (52:32), „მემფისმა" მოახერხა დასავლეთის ერთ-ერთი აუთსაიდერის დამარცხება და ახლა, მერვე ადგილისთვის ბრძოლაში ერთი მოგებით სჯობნის „ფინიქსს". მიუხედავად ამისა, „სანზს" კიდევ დარჩა „გრიზლისის" გასწრების შანსი.

გუშინ, „მემფისი" და „ფინიქსი" არიზონაში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. თუმცა „სანზს" ამ მატჩში მოგება არ აძლევს პლეი ოფში მოხვედრის გარანტიას. „ფინიქსმა" რეგულარულის ბოლო მატჩში უნდა დაამარცხოს „საკრამენტო", თან იმედი უნდა ჰქონდეს, რომ პარალელურ შეხვედრაში „მემფისი" წააგებს „დალასთან". საქმე ისაა, რომ თანაბარი მაჩვენებლების შემთხვევაში, პლეი ოფის საგზური „მემფისს" ერგება, რადგან რეგულარულში ოთხიდან სამი მატჩი მოუგო „სანზს".

* * *

მას შემდეგ, რაც "მაიამიმ" ორი დღის წინ წააგო გასვლითი შეხვედრა „ატლანტასთან", „ინდიანამ" აღმოსავლეთში პირველობის კარგი შანსი მიიღო, ოღონდ ამისთვის „პეისერსს"გუშინ საკუთარ მოედანზე უნდა დაემარცხებინა „ოკლაჰომა".

შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოვიდა. **კევინ დურანტი** და კომპანია ბოლო წამამდე ცდილობდა საჭირო გამარჯვება წაერთმია „ინდიანასთვის". სირენამდე 58 წამით ადრე, **დევიდ უესტმა** კევინ დურანტს ანგარიშის გათანაბრებაში ხელი შეუშალა, საპასუხო შეტევაში კი **ლენს სტივენსონმა** სამქულიანი მოათავსა კალათში. სხვათა შორის, ამ კალათბურთელმა მეხუთე სამმაგი-დუბლი ჩაიწერა აქტივში, რაც მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგია. „ოკლაჰომამ" ვერ შეძლო 6-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება დურანტის ფანტასტიკური სროლის მიუხედავად.

ზუსტი საჯარიმოების წყალობით, „ინდიანამ" შეინარჩუნა უპირატესობა და კონფერენციის მოგების ბრწყინვალე შანსიც მიიღო. ამისთვის საჭიროა ოთხშაბათს „ორლანდოს" დამარცხება, რაც **ფრენკ ფოგელის** შეგირდებისთვის იოლ ამოცანად მოსჩანს.

**ნიუ იორკი–ჩიკაგო 100:89**

19:22, 26:17, 32:25, 23:25

**ნ-ი:** ჰარდუეი (20), ენტონი (17), სმიტი (17), ფელტონი (14), სტაუდმაიერი (12), შამპერტი (10), ჩენდლერი (1+12 მოხსნა).

**ჩ:** ბატლერი (17), ნოა (13+17 მოხსნა+9 პასი), გიბსონი (13), დანლივი (13), ოგასტინი (12), ჰაინრიხი (11).



ინდიანა-ოკლაჰომა

**დეტროიტი–ტორონტო 107:116**

26:42, 23:21, 37:24, 21:29

**დ:** მონრო (23+10 მოხსნა), სტაკი (18), ჯენინგსი (17), დრამონდი (14+17 მოხსნა), სინგლერი (14).

**ტ:** დეროზანი (30), ლოური (28), ვალანჩუნასი (18), ვასკესი (14), ჰეიესი (2+10 მოხსნა).

**ბრუკლინი–ორლანდო 97:88**

25:28, 21:21, 33:21, 18:18

**ბ:** ტელეტოვიჩი (20), პლამლი (17+11 მოხსნა), ჯონსონი (17), უილიამსი (16), პირსი (10).

**ო:** ჰარისი (18), ოლადიპო (14), ნიკოლსონი (12), ო'ქუინი (10), ჰარკლესი (10).

**ინდიანა–ოკლაჰომა 102:97**

22:21, 25:24, 27:21, 28:31

**ი:** უესტი (21), ჯორჯი (20+12 მოხსნა), უოტსონი (20), სტივენსონი (17+10 მოხსნა+11 პასი), მაინმი (11), სკოლა (10).

**ო:** დურანტი (38), უესტბრუკი (21+9 მოხსნა), ბატლერი (13), იბაკა (11).

**პორტლენდი–გ. სტეიტი 119:117 (ო)**

23:19, 21:33, 32:23, 29:30, 14:12

**პ:** ოლდრიჯი (26), მეტიუზი (24), ბატუმი (18+12 მოხსნა), მო უილიამსი (18), ლოპესი (16), ლილარდი (13).

**გ-ს:** კარი (47), ტომპსონი (25), იგუოდალა (15).

**საკრამენტო–მინესოტა 106:103**

30:28, 17:24, 28:24, 31:27

**ს:** კაზინსი (35+15 მოხსნა), მაკლემორი (19), ტომასი (14), უილიამსი (13), მაკალუმი (11), ტომპსონი (6+11 მოხსნა).

**მ:** ლავი (43+11 მოხსნა), დენგი (21+14 მოხსნა), მბა ა მუტე (12), ბრიუერი (10), რუბიო (0+11 პასი).

**ლეიკერსი–მემფისი 90:102**

27:23, 25:30, 17:34, 21:15

**ლ:** მიქსი (20), ჯონსონი (15+15 მოხსნა), ნ. იანგი (14), ჰილი (10+10 მოხსნა).

**მ:** კონლი (24), გასოლი (18+15 მოხსნა), მილერი (13), რენდოლფი (10), ლი (10).

## მონტე კარლო. ძირითადი ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ნადალი (ესპ, 1) | ნადალი (ესპ, 1) | | | | |
| | | | | | |
| გაბაშვილი (რუს) | | | | | |
| სიმონი (საფ) | | | | | |
| როჟე ვასელენი (საფ) | | | | | |
| ანდუხარი (ესპ) | | | | | |
| სეპი (იტა) | | | | | |
| იუჟნი (რუს, 13) | | | | | |
| დიმიტროვი (ბულ, 12) | | | | | |
| გრანოლერსი (ესპ) | | | | | |
| რამოსი (ესპ) | | | | | |
| ნიემინენი (ფინ) | | | | | |
| სისლინგი (ჰოლ) | | | | | |
| შარდი (საფ) | | | | | |
| | ფერერი (ესპ, 6) | | | | |
| ფერერი (ესპ, 6) | | | | | |
| ვავრინკა (შვეიც, 3) | ვავრინკა (შვეიც, 3) | | | | |
| | | | | | |
| ჩილიჩი (ხორ) | | | | | |
| ვერდასკო (ესპ) | | | | | |
| მაუ (საფ) | | | | | |
| ტიემი (ავსტრია) | | | | | |
| მატიო (საფ) | | | | | |
| ალმაგრო (ესპ, 15) | | | | | |
| რობრედო (ესპ, 11) | | | | | |
| გოფენი (ბელ) | | | | | |
| ბენეტო (საფ) | | | | | |
| მელცერი (ავსტრია) | | | | | |
| დელბონისი (არგ) | | | | | |
| ლუ (ტაივ) | | | | | |
| | რაონიჩი (კან, 8) | | | | |
| რაონიჩი (კან, 8) | | | | | |

**მონაკოს მასტერსის გამარჯვებულები**

1969 - ტომ ოკერი
1970 - ჟელკო ფრანულოვიჩი
1971, 1972, 1973 - ილიე ნასტასე
1974 - ენდრიუ პატისონი
1975 - მანუელ ორანტესი
1976, 1982 - გილერმო ვილასი
1977, 1979, 1980 - ბიორნ ბორგი
1978 - რაულ რამირესი
1981 - ჯიმი კონორსი
1983, 1987 - მატს ვილანდერი
1984 - ჰენრიკ სუნდსტრიომი
1985, 1988 - ივან ლენდლი
1986 - იოაკიმ ნისტრიომი
1989 - ალბერტო მანჩინი
1990 - ანდრეი ჩესნოკოვი
1991. 1993 - სერხი ბრუგერა
1992, 1995, 1996 - ტომას მუსტერი
1994 - ანდრეი მედვედევი
1997 - მარსელო რიოსი
1998 - კარლოს მოია
1999, 2001 - გუსტავო კუერტენი
2000 - სედრიკ პიოლინი
2002, 2003 - ხუან კარლოს ფერერო
2004 - გილერმო კორია
2005, 06, 07, 08, 09, 10, 11, 12 - რაფაელ ნადალი
2013 - ნოვაკ ჯოკოვიჩი

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ცონგა (საფ, 9) | ცონგა (საფ, 9) |
| | | | | | |
| | | | | | კოლშრაიბერი (გერ) |
| | | | | | ბოლელი (იტა) |
| | | | | | ბაუტისტა აგუტი (ესპ) |
| | | | | | პოსპიშილი (კან) |
| | | | | | სოუზა (პორ) |
| | | | | | ფონინი (იტა, 10) |
| | | | | | იანოვიჩი (პოლ, 16) |
| | | | | | ლოდრა (საფ) |
| | | | | | დონსკოი (რუს) |
| | | | | | როსოლი (ჩეხ) |
| | | | | | შტეპანეკი (ჩეხ) |
| | | | | | კარლოვიჩი (ხორ) |
| | | | | ფედერერი (შვეიც, 4) | |
| | | | | | ფედერერი (შვეიც, 4) |
| | | | | ბერდიხი (ჩეხ, 5) | ბერდიხი (ჩეხ, 5) |
| | | | | | |
| | | | | | ჰაასე (ჰოლ) |
| | | | | | ტურსუნოვი (რუს) |
| | | | | | ბალერე (მონ) |
| | | | | | გარსია ლოპესი (ესპ) |
| | | | | | გულბისი (ლატ) |
| | | | | | დოლგოპოლოვი (უკრ, 17) |
| | | | | | ანდერსონი (ს. აფრ, 14) |
| | | | | | მონფილსი (საფ) |
| | | | | | კარენო ბუსტა (ესპ) |
| | | | | | დოდიგი (ხორ) |
| | | | | | პერი (საფ) |
| | | | | | მონტანიესი (ესპ) |
| | | | | ჯოკოვიჩი (სერ, 2) | |
| | | | | | ჯოკოვიჩი (სერ, 2) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მარათონი დასრულდა


ტეემუ სელიანე

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და ორ დღეში სტარტს აიღებს სტენლის თასის გათამაშება. ბოლო სათამაშო დღის წინ, პრაქტიკულად ყველაფერი გარკვეული იყო, ამიტომაც ჰოკეის მოყვარულთა ყურადღება ორმა მოვლენამ მიიპყრო, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა სატურნირო მდგომარეობასთან.

ორმა ლეგენდარულმა ვეტერანმა - „ანაჰაიმის" ფორვარდმა **ტეემუ სელიანემ** და „ნიუ ჯერსის" გოლკიპერმა **მარტინ ბროდომ** უკანასკნელი მატჩი ჩაატარეს რეგულარულ ჩემპიონატში. „ანაჰაიმს" წინ ელის პლეი ოფი, „ნიუ ჯერსისთვის" კი სეზონი დასრულებულია, შესაბამისად, დასრულდა ბროდოს კარიერა.

სხვათა შორის, სელიანე „კოლორადოსთან" მატჩის შემდეგ შეხვედრის პირველ, მეორე და მესამე ვარსკვლავად აღიარეს და თამაშის შემდეგ, მან მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერთან** ერთად საპატიო წრე შეასრულა. ჟიგერიც, სავარაუდოდ, ამ სეზონის შემდეგ წავა დიდი ჰოკეიდან.

***

რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობის მხრივ გუშინდელი დღის ინტრიგას, გასარკვევი იყო დასავლეთ კონფერენციაში ორი მეოთხედფინალური წყვილი, აგრეთვე აღმოსავლეთში პლეი ოფის ორ დაპირისპირებაში საკუთარი მოედნის უპირატესობა.

„ვაშინგტონმა", რომელმაც ჩააგდო სეზონი და ვერ გავიდა სტენლის თასზე, ბოლო მატჩში საკუთარი გულშემატკივრების წინაშე შეირცხვინა თავი, როცა პირველ 40 წუთში მხოლოდ ოთხი დარტყმა შეასრულა „ტამპა ბეის" კარის მიმართულებით, ბულიტების სერიაში კი ვერც ერთი შაიბის გატანა ვერ შეძლო. შესაბამისად, გუშინდელი მოგებით, „ტამპამ" გაუსწრო „მონრეალს" და მასთან საკუთარი მოედნის უპირატესობა მიიღო.

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 3:2**

1:1, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ჟიდლიცკი-11 (ზეიჯაკი-30, ელიაში-35), 1:1 ლ. ერიქსონი-10 (სოდერბერგი-31, მარჩანდი-28), 2:1 ზეიჯაკი-18 (იაგრი-42, მერილი-9), 3:1 ჟიდლიცკი-12 (ბრუნერი-14, იაგრი-43), 3:2 მარჩანდი-25 (სოდერბერგი-32, ლ. ერიქსონი-27).

**ფილადელფია-კაროლინა 5:6 (ბ)**

1:3, 3:1, 1:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სკინერი-32 (რაილი ნეში-14, კომისარეკი-3), 0:2 ე. სტაალი-20 (ტლუსტი-13, ფოლკი-26), 1:2 რიდი-22 (აკესონი-1, შტრაიტი-33), 1:3 მალორტა-7 (კომისარეკი-4), 1:4 ე. სტაალი-21 (ტლუსტი-14, ფოლკი-27), 2:4 ტიმონენი-6 (ჟირუ-58, ვორაჩეკი-39), 3:4 სიმონდსი-28 (მაკგინი-1), 4:4 კუტურიე-13, 4:5 სკინერი-33 (ლოკტიონოვი-15, ლინდჰოლმი-12), 5:5 სიმონდსი-29 (შტრაიტი-34, ტიმონენი-29).

**ბულიტები გაიტანეს:** ე. სტაალი (კაროლინა).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 0:1 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0, 0:1

**ბულიტები გაიტანეს:** მეტიუ კარლი (ტამპა ბეი).

**სტ ლუისი-დეტროიტი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 აბდელკადერი-9 (ლაშოფი-5, დაციუკი-19), 0:2 შიჰენი-9 (ტატარი-20), 0:3 აბდელკადერი-10 (დაციუკი-20, კინდლი-17).

**ბაფალო-აილენდერსი 3:4 (ბ)**

1:0, 1:1, 1:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მაკბეინი-6 (კნაპი-1), 2:0 ელისი-4 (მ. ფოლინო-12, მაკეიბი-1), 2:1 ლი-8 (ნილსენი-32, ბეილი-29), 2:2 ლი-9 (ბეილი-30, ნილსენი-33), 3:2 ტ. მიტჩელი-2 (რისტოლაინენი-2, ტალინდერი-6), 3:3 ნელსონი-14 (ჰამონიკი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ნელსონი (აილენდერსი).

**პიტსბურგი-ოტავა 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ი. იოკინენი-21 (კუნიტცი-33, ლეტანგი-11), 1:1 ტარისი-26 (ე. კარლსონი-54, ჰოფმანი-3), 2:1 სტემპნიაკი-12 (ბენეტი-4, გიბონსი-12), 2:2 სტოუნი-4 (მაკარტური-32, ვირჩიოკი-19).

**ბულიტები გაიტანეს:** ტარისი (ოტავა), სპეცა (ოტავა).

**მინესოტა-ნეშვილი 3:7**

2:1, 1:4, 0:2

**გოლები:** 1:0 ჰაულა-6 (პომინვილი-29, სპარჯონი-21), 2:0 პომინვილი-30 (მოულსონი-28, ჰაულა-9), 2:1 ქლუნი-3 (გოსტადი-11), 3:1 პარიზე-29 (მ. კოივუ-43, პომინვილი-30), 3:2 ელისი-6 (ეკჰოლმი-8, კ. სმიტი-27), 3:3 შ. უებერი-23 (ჰორნკვისტი-31), 3:4 იოსი-13 (იარნკროკი-6, სპალინგი-17), 3:5 კ. სმიტი-23 (იოსი-27, კ. უილსონი-22), 3:6 იარნკროკი-2 (კ. სმიტი-28, ელისი-21), 3:7 კ. სმიტი-24 (სპალინგი-18, იარნკროკი-7).

**ვანკუვერი-კალგარი 5:1**

2:0, 3:1, 0:0

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-15 (ბუტი-10, ჰ. სედინი-38), 2:0 დ. სედინი-16 (ედლერი-15, ჰ. სედინი-39), 3:0 კორადო-1, 4:0 კესლერი-25, 4:1 გოდრო-1 (კობორნი-18, ბრინი-2), 5:1 ი. უებერი-6 (გარისონი-26, ზალევსკი-1).

**ანაჰაიმი-კოლორადო 3:2 (ო)**

0:1, 0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მელოუნი-3 (ჰოლდენი-15, რ. უილსონი-6), 0:2 ელიოტი-1 (ტელბოტი-19, ბორდელო-5), 1:2 მარუნი-11 (მ. პერო-25, ლავჯოი-13), 2:2 ს. კოივუ-11 (ვატანენი-14, კოლიანო-21), 3:2 ბონინო-22 (სმიტ-პელი-8, ვატანენი-15).

**ფინიქსი-დალასი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სკევიური-8 (ფიდლერი-17, გონჩარი-20), 1:1 დოუნი-23 (ზ. მიხალეკი-8, ბოდკერი-32), 2:1 მოსი-8 (ერატი-26, ჰალპერნი-7).

## პლეი ოფის კალენდარი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-დეტროიტი**

18 აპრილი. ბოსტონი-დეტროიტი
20 აპრილი. ბოსტონი-დეტროიტი
22 აპრილი. დეტროიტი-ბოსტონი
24 აპრილი. დეტროიტი-ბოსტონი
26 აპრილი. ბოსტონი-დეტროიტი*
28 აპრილი. დეტროიტი-ბოსტონი*
30 აპრილი. ბოსტონი-დეტროიტი*

**ტამპა ბეი-მონრეალი**

16 აპრილი. ტამპა ბეი-მონრეალი
18 აპრილი. ტამპა ბეი-მონრეალი
20 აპრილი. მონრეალი-ტამპა ბეი
22 აპრილი. მონრეალი-ტამპა ბეი
24 აპრილი. ტამპა ბეი-მონრეალი*
27 აპრილი. მონრეალი-ტამპა ბეი*
29 აპრილი. ტამპა ბეი-მონრეალი*

**პიტსბურგი-კოლამბუსი**

16 აპრილი. პიტსბურგი-კოლამბუსი
19 აპრილი. პიტსბურგი-კოლამბუსი
21 აპრილი. კოლამბუსი-პიტსბურგი
23 აპრილი. კოლამბუსი-პიტსბურგი
26 აპრილი. პიტსბურგი-კოლამბუსი*
28 აპრილი. კოლამბუსი-პიტსბურგი*
30 აპრილი. პიტსბურგი-კოლამბუსი*

**რეინჯერსი-ფილადელფია**

17 აპრილი. რეინჯერსი-ფილადელფია
20 აპრილი. რეინჯერსი-ფილადელფია
22 აპრილი. ფილადელფია-რეინჯერსი
25 აპრილი. ფილადელფია-რეინჯერსი
27 აპრილი. რეინჯერსი-ფილადელფია*
29 აპრილი. ფილადელფია-რეინჯერსი*
30 აპრილი. რეინჯერსი-ფილადელფია*

**დასავლეთი**

**კოლორადო-მინესოტა**

17 აპრილი. კოლორადო-მინესოტა
19 აპრილი. კოლორადო-მინესოტა
21 აპრილი. მინესოტა-კოლორადო
24 აპრილი. მინესოტა-კოლორადო
26 აპრილი. კოლორადო-მინესოტა*
28 აპრილი. მინესოტა-კოლორადო*
30 აპრილი. კოლორადო-მინესოტა*

**სტ. ლუისი-ჩიკაგო**

17 აპრილი. სტ. ლუისი-ჩიკაგო
19 აპრილი. სტ. ლუისი-ჩიკაგო
21 აპრილი. ჩიკაგო-სტ. ლუისი
23 აპრილი. ჩიკაგო-სტ. ლუისი
25 აპრილი. სტ. ლუისი-ჩიკაგო*
27 აპრილი. ჩიკაგო-სტ. ლუისი*
29 აპრილი. სტ. ლუისი-ჩიკაგო*

**ანაჰაიმი-დალასი**

16 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი
18 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი
21 აპრილი. დალასი-ანაჰაიმი
23 აპრილი. დალასი-ანაჰაიმი
25 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი*
27 აპრილი. დალასი-ანაჰაიმი*
29 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი*

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი**

17 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი
20 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი
22 აპრილი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე
24 აპრილი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე
26 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი*
28 აპრილი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე*
30 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი*

*- საჭიროების შემთხვევაში

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| რედინგი-ლესტერი | 1:1 |
| **იტალია** | |
| უდინეზე-იუვენტუსი | 0:2 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-მალაგა | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| დინამო (დრ)-მიუნხენი | 4:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ლიპშტადტი-ესენი | 1:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიჟონი-მეცი | 2:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტვენტე II-პსვ II | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| ეშტორილი-ფერეირა | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| **Setanta Cup** | |
| სტ. პატსი-სლიგო | 1:5 |
| **დანია** | |
| ნორდსიელანდი-ესბერგი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპიოკარნა-გიოტებორგი | 1:1 |
| კალმარი-ელფსბორგი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ანგელჰოლმი | 2:3 |
| ლანდსკრონა-ლიუნგსკილე | 0:0 |
| ჰამარბიუ-დეგერფორსი | 5:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კიასო-ლოკარნო | 4:1 |
| **თურქეთი** | |
| ელაზიგი-გაზიანთეფი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-სიგმა | 2:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ჟილინა | 4:1 |
| **რუსეთი** | |
| ვოლგა-დინამო | 0:5 |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-არსენალი | 0:3 |
| ანგუშტი-სკა ენერგია | 0:1 |
| უფა-გაზოვიკი | 1:0 |
| ნეფტიხიმიკი-ენისეი | 3:2 |
| როტორი-ნალჩიკი | 2:2 |
| ბალტიკა-მორდოვია | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-ბოტოსანი | 2:1 |
| ვიიტორული-ბრაშოვი | 0:0 |
| პანდური-საჯეატა | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| დიჟონი-ლიმოჟი | 81:69 |
| **ჰოკეი** | |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-კოშიცე | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-სეიპა | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ბრნო | 4:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონაკო** | |
| კოლშრაიბერი-ბოლელი | 6:3, 6:4 |
| შტეპანეკი-კარლოვიჩი | 6:1, 6:2 |
| სოუზა-ფონინი | 7:5, 5:7, 4:6 |
| პერი-მონტანიესი | 5:7, 6:4, 2:6 |
| დონსკოი-როსოლი | 5:7, 1:6 |
| რამოსი-ნიემინენი | 6:2, 7:5 |
| როჟე ვასელენი-ანდუხარი | 6:2, 5:7, 6:7 |
| რობრედო-გოფენი | 6:4, 6:1 |
| ბაუტისტა აგუტი-პოსპიშილი | 6:2, 6:2 |

## მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი


მარკ მარკესი

# ჰონდა დუბლებს შეეჩვია

ამერიკის ქალაქ ოსტინში მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი გაიმართა. და აშშ-ის გრანპრიზეც გამოჩნდა, რომ სეზონის სტარტზე სხვებზე უკეთ არიან მზად „ჰონდას" პილოტები.

ისევე, როგორ წინა ეტაპზე, ახლაც პოული მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **მარკ მარკესმა** მოიგო, თუმცა ისევ წააგო სტარტი „იამაჰას" წევრ **ხორხე ლორენსოსთან.** წინა ეტაპთან კიდევ ერთი პარალელის გავლება შეიძლება - კერძოდ, ლორენსომ ორი კვირის წინ ტრასაზე შეცდომა დაუშვა და ფინიშამდე მისვლა ვერ შეძლო, ამჯერად კი სტარტზე ფალსტარტი დაუფიქსირეს, რის გამოც ესპანელი პიტლეინზე შესვლით დაისაჯა და მხოლოდ მეათე ადგილზე გავიდა.

ამან გზა გაუხსნა „ჰონდას" სეზონში მეორე დუბლისკენ. ფინიშის შემდეგ მარკესმა აღიარა, რომ ჩვეულებრივზე იოლად მოიგო ეტაპი, ხოლო მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი **დანი პედროსა** გავიდა.

ჩააგდეს აშშ-ის გრანპრი „იამაჰას" წევრებმა: ლორენსოზე უკვე გითხარით, რაც შეეხება **ვალენტინო როსის**, იტალიელი საბურავების შერჩევაში შეცდა და მერვე ადგილით დაკმაყოფილდა.

**აშშ-ის გრანპრი**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 21 წრე; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +4,124; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +20,976; 4. **შტეფან ბრადლი** (Honda LCR) - +22,790; 5. **ბრედლი სმიტი** (ბრიტ, Yamaha Tech 3) - +22,963; 6. **პოლ ესპარგარო** (ესპ, Yamaha Tech 3) - +26,567; 7. **ანდრეა იანონე** (იტა, Ducati Pramac) - +28,257; 8. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +45,519...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 50; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 36; 3. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 28; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 27; 5. **ალეშ ესპარგარო** (ესპ, Forward Yamaha) - 20; 6. **ანდრეა იანონე** (იტა, Ducati Pramac) - 15; 7. **შტეფან ბრადლი** (Honda LCR) - 13; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, Honda Aspar) - 13...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფერარიში ბოსი შეიცვალა


სტეფანო დომენიკალი

მიმდინარე სეზონის სამ რბოლაში „ფერარის“ პილოტებმა - **ფერნანდო ალონსომ** და **კიმი რაიკონენმა** 33 ქულა დააგროვეს, რითაც იტალიური საჯინიბო მეხუთე ადგილზეა კონსტრუქტორთა ჩათვლაში. ამ მომენტისთვის, „ფერარის“ პილოტებს თითქმის ერთი წელია არ მოუგიათ ეტაპი ფორმულა 1-ში - ბოლო გამარჯვება 2013 წლის 12 მაისით თარიღდება, როცა ალონსო პირველი მივიდა ფინიშთან ესპანეთის გრანპრის შემდეგ. ასეთი სერია იტალიურ გუნდს ბოლო 20 წელია არ ჰქონია.

ამიტომაც, გასაკვირი არ ყოფილა გუშინ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ფერარის“ შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** დატოვა ხელმძღვანელის პოსტი.

*„ყოველი ადამიანის პროფესიულ ცხოვრებაში არსებობს განსაკუთრებული მომენტი, როცა მან უნდა გამოიჩინოს სითამამე და მიიღოს რთული გადაწყვეტილება,* - განაცხადა დომენიკალიმ. *- მოვიდა დიდი ცვლილებების დრო. როგორც გუნდის ხელმძღვანელმა, ავიღე პასუხისმგებლობა შექმნილ სიტუაციაზე და წასვლის გადაწყვეტილება მივიღე. ეს არჩევანი გუნდის სასარგებლოდ გავაკეთე“.*

„ფერარის“ პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** მიიღო დომენიკალის გადადგომა და სპეციალისტს საქმისადმი ასეთი მიდგომისთვის მადლობა გადაუხადა.

*„მას წარმატებას ვუსურვებ კარიერის შემდგომ ეტაპზე“,* - დაამატა დე მონტეძემოლომ თავის ოფიციალურ განცხადებაში.

დომენიკალიმ „ფერარის“ სტრუქტურაში მუშაობა 1991 წელს დაიწყო, გუნდი კი 2008 წელს ჩაიბარა. მან ხელმძღვანელის პოსტზე **ჟან ტოდტი** შეცვალა, რომელიც, თავის მხრივ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი გახდა. დომენიკალის მთავარი მიღწევა 2008 წელს, კონსტრუქტორთა თასის მოგებაა.

გუნდის ახალ ხელმძღვანელად დაინიშნა **მარკო მატიაჩი**, რომელიც დღევანდელ დღემდე „ფერარის“ მარკის უფროსი იყო ჩრდილოეთ ამერიკაში.

# გოქშოუ შუმახერის შესახებ

კომაში მყოფი **მიხაელ შუმახერის** მენეჯერმა **საბინე კემმა** მონაწილეობა მიიღო გერმანული ტელეარხის ARD-ის ტოქ-შოუში. ბუნებრივია, კემთან ინტერვიუ მთლიანად მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ჯანმრთელობას მიეძღვნა. მენეჯერის სიტყვებით, მიხაელის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.

*„არსებობს მცირე პროგრესი, რაც გვახარებს და იმედს გვაძლევს,* - განაცხადა კემმა. *- მაგრამ კონკრეტული ინფორმაცია პირადი ხასიათისაა და მის შესახებ მხოლოდ შუმახერის ოჯახის წევრებმა იციან“.*

ამასთან, კემმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გრენობლის კლინიკის ექიმები ვერ იძლევიან პროგნოზს მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე, რადგან თავის ქალისა და ტვინის ტრავმის ყოველი შემთხვევა ცალ-ცალკე უნდა იქნას განხილული.

ამ კონტექსტში კემი კრიტიკით გამოვიდა პრესისა და მედიცინის ექსპერტების მისამართით, რომლებსაც არ გააჩნიათ შუმახერის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ მაინც აკეთებენ დასკვნებს.

*„ვფიქრობ, ეს არასწორია, რადგან ყველა ექიმი მსჯელობს იმის მიუხედავად, რომ საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია მომხდარის შესახებ,* - განაცხადა კემმა. *- ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ხშირად მათი აზრები ინტერნეტით ვრცელდება, არადა, რეალურ სურათთან ის მიახლოებულიც არ არის“.*


მიხაელ შუმახერი

კალათბურთი

# უკრაინას შანსი აქვს


კამილ ნოვაკი

FIBA-ევროპას გენერალურ მდივანს **კამილ ნოვაკს** მიაჩნია, რომ უკრაინას ყველა შანსი აქვს იმისთვის, 2015 წლის ევრობასკეტს უმასპინძლოს.

*„ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხი FIBA-ევროპას ხელმძღვანელთა სხდომაზე. გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ უკრაინის კალათბურთის ფედერაციას და კიდევ გარკვეული დრო მივცეთ ამ ორგანიზაციას. ვიცით, რომ პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში ძალიან რთულია. არსებობს ვარიანტი, რომ უკრაინამ ევრობასკეტი რომელიმე სხვა ქვეყანასთან ერთად ჩაატაროს“,* - ამბობს ნოვაკი.

*„არ მსურს ახალი ჭორები და სპეკულაციები ამ თემაზე. მაგრამ ვფიქრობ, უკრაინამ დაიმსახურა ის, რომ მას კიდევ დავუტოვოთ დრო საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ალმასკომის მომდევნო სხდომაზე, რომელიც მაისში გაიმართება, ჩვენ კიდევ ერთხელ წამოვწევთ ამ საკითხს“,* - დაამატა FIBA-ევროპას გენერალურმა მდივანმა.

კრივი


მენი პაკიაო

# მოგება 32 ნაკერის ფასად

**ტიმოტი ბრედლისთან** გამართული ბრძოლის შემდეგ, ფილიპინელ **მენი პაკიაოს** 32 ნაკერი დაადეს. შაბათს, „პაკმენმა“ საჩემპიონო შეხვედრა ქულებით მოიგო. ბრძოლის ბოლოს, საფინალო გონგამდე დაახლოებით 15 წამით ადრე, მოკრივეები თავებით შეასკდნენ ერთმანეთს, რის შედეგადაც, ფილიპინელმა მარცხენა წარბი დაიზიანა.

ექიმის თქმით, მენიმ „ვარსკვლავის ფორმის“ ჭრილობა მიიღო, რის გამოც მეტი ნაკერის დადება გახდა საჭირო, ვიდრე ეს „ჩვეულებრივი ჭრილობის“ შემთხვევაში ხდება. დაზიანების გამო, ფილიპინელი ოფიციალურ პრესკონფერენციაზე ერთი საათის დაგვიანებით მივიდა.

შეგახსენებთ, რომ მენი პაკიაოსა და ტიმოტი ბრედლის ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდა და სამივე მსაჯმა უპირატესობა აზიელ მოკრივეს მიანიჭა. პაკიაომ ამერიკელს ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ტიტული წაართვა.

ცურვა

# ფელპსი ბრუნდება!


მაიკლ ფელპსი

ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი, 18-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** 24-26 აპრილს „არიზონას გრანპრიზე“ გამოვა, - იტყობინება NBC Sports. ეს იქნება ლეგენდარული მოცურავის პირველი ოფიციალური სტარტი ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის შემდეგ. ამასთან, ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წელს, ფელპსი მონაწილეობას მიიღებს აშშ-ისა და წყნარი ოკეანის ჩემპიონატში, გაისად კი მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრება.

არ არის გამორიცხული, „არიზონას გრანპრიზე“ გამოვიდეს ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი **რაიან ლოხტე**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608